CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 19 ნოემბერი, 2009 წელი. №254 (2292) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ევროკავშირისა და რუსეთის რთული სამიტი
A8

მისი შემოდგომის გაზაფხული
A9

ქართული დღე იაპონიაში
A14

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საადაზღვევო ჯგუფი

ამერიკის პოლიტიკა უფრო ხმამაღლა უნდა გაცხადდეს

ინტერვიუ სენატორ ჯონ მაკეინთან

- საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დღემდე უაღრესად დაძაბულია. მაღალია პროვოკაციების საფრთხეც. როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?

- ვითარება დაძაბული რჩება იმის გამო, რომ რუსეთი არღვევს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებას, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზის მიერ იყო ინიცირებული. რუსეთი განაგრძობს სამხედრო ნაგებობების აშენებას, რაც ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების უდავო დარღვევაა. რუსეთი არ წყვეტს პროვოკაციულ მოქმედებებს, იქნება ეს საერთაშორისო წყლების დარღვევა თუ საქართველოს მოქალაქეების უკანონო დაკავება. რუსების მიერ პროვოკაციის შემდგომი ესკალაციის შესაძლებლობა ძალიან მაშფოთებს.

- აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის "გადატვირთვა" გამოაცხადა, რამაც საქართველოში გააჩინა ეჭვი, რომ შეიცვლებოდა ვაშინგტონის დამოკიდებულება თბილისის მიმართ.

ასევე ხშირად გვესმის იმის თაობაზეც, რომ ობამას ადმინისტრაციას საქართველოსთან დკავშირებით მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკა ჯერ არ აქვს.

გაგრძელება A3 გვერდზე



აშშ-ს აზიური პოლიტიკის შეცვლა სჭირდება

ამერიკის პრეზიდენტმა თავისი პირველი ოფიციალური აზიური ტურნე დაიწყო. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, რომ მისი დღის წესრიგი მხოლოდ სტატუს კვოს გამყარებას - ჩვეულ პარტიორებთან ჩვეული ურთიერთობების "გაძლიერებასა" და იქ ამერიკული "სამუდამო" პოზიციების მოპოვებას ეძღვნება. კიდევ უფრო ცუდი კი ის არის, რომ ამერიკული ადმინისტრაცია უსაფრთხოების სფეროში არსებული იმ კავშირების შენარჩუნებასა და კიდევ უფრო გაფართოებას მოითხოვს, რომლებიც ვაშინგტონმა ცივი ომის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა აღმოსავლეთ აზიაში დომინანტური მდგომარეობის მოპოვება შეძლო. ვაშინგტონმა იაპონია დაამარცხა და ალიანსების ქსელი შექმნა, რითიც იაპონური იმპერიის ხელახალი აღორძინება გამორიცხა და საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ზრდის შეჩერება შეძლო. ჩინეთთან ცივი ომი 30 წლის განმავლობაში აღიარების გარეშე გრძელდებოდა, ჩრდილოეთ კორეასთან უკვე 60 წელზე მეტია, კვლავ "გამოუცხადებლად" გრძელდება და თან მართლაც ძალიან ცივია.

გაგრძელება A7 გვერდზე

ზაზა ფაჩულია: "ჰოუქსში" ყველა ყველას ეწდობა

ზურაბ თალაკვაძე

ძალიან კარგად დაიწყო წლევანდელი რეგულარული ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა". ჯორჯიელები წლიდან წლამდე, ანუ ქართველი ცენტრის გუნდში მისვლიდან რომ პროგრესირებენ, კარგად ვიცით, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ახალგაზრდა გუნდისგან ასეთ სოლიდურ სტარტს ჯერ მაინც არ ველოდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პირველი 11 შეხვედრიდან "ატლანტამ" რამდენიმე ფავორიტს მოუგო და, თავისთავად, ფეერიული და სასიამოვნო იყო ამ გუნდის მიერ სტუმრად "ბოსტონ სელტიქსის" დამარცხება.

ამ მომენტისთვის მაიკ ვუდსონის ბიჭები 9 მოგებითა და 2 წაგებით არა მარტო თავის დივიზიონში, არამედ მთლიანად აღმოსავლეთში საუკეთესონი არიან და, გამთენიისას "მაიამი ჰიტთან" გამარჯვების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიმყარებენ პოზიციებს.

გაგრძელება A13 გვერდზე



ზაზა ფაჩულია ყველა მატჩში მაქსიმუმს აკეთებს

CMYK - 1

ბელორუსი სტუმრები თბილისსა და აფხაზეთში

ბელორუსის ეროვნული კრების დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოში შეხვედრებით კმაყოფილია. სერგეი მასკევიჩის შეფასებით, ერთი მხრივ, კარგად ჩანს, რომ ქვეყანამ გადაიტანა დიდი სტრესი, მეორე მხრივ კი, ნამდვილად არსებობს მისწრაფება ცივილიზებული განვითრებისკენ.

მასკევიჩი კმაყოფილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან და საპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრით. "ასეთი შეხვედრები ახალი სტიმული იქნება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების, აგრეთვე, კავკასიური კონფლიქტების მოგვარებისთვისაც", - აღნიშნა მასკევიჩმა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე განიხილეს რეგიონში შექმნილი ვითარება და ის ინიციატივები, რომლებიც პარლამენტის მიერ საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით მზადდება.

"ქრისტიან-დემოკრატი" გიორგი ახვლედიანის განცხადებით, ბელორუსი დეპუტატები დაინტერესდნენ, რამდენად არის კონფლიქტი ეთნიკური, რამდენად შესაძლებელია, კონფლიქტი მოგვარდეს დიპლომატიური გზით და მომავალში აღარ გამწვავდეს. ქართველმა დეპუტატებმა ბელორუს კოლეგებს ურჩიეს, არჩევანი გააკეთონ ცივილიზებული მსოფლიოს სასარგებლოდ და არ მოხვდნენ რუსეთის, "ჰამასის" და ნიკარაგუას კამპანიაში, რასაც, როგორც გიორგი ახვლედიანი აცხადებს, ბელორუსი ხალხი არ იმსახურებს.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კი, ბელორუს დეპუტატებთან შეხვედრის შემდეგ იმედოვნებს, რომ საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში ბელორუსს არჩევანი გაუადვილდება, თუ საქართველოს სიმართლეში ბოლომდე დარწმუნდებიან.

მისი თქმით, დელეგაცია საკმაოდ დელიკატური მისიით არის ჩამოსული და ამიტომ ქართველი დეპუტატები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ისინი ქართული მხარის სიმართლეში დაერწმუნებინათ. "ვფიქრობ, თუ ისინი დაინახავენ, რომ ქართული მხარე საერთაშორისო სამართლის პრინციპების მხარეს დგას, ბევრად უფრო ადვილი იქნება არჩევანის გაკეთება", - განაცხადა ბაქრაძემ და აღნიშნა, რომ ბელორუსი დეპუტატები ყველა ინფორმაციას ყურადღებით მოეკიდნენ.

პროგრამის პირველადი ვარიანტის მიხედვით, ბელორუსი დიპლომატები გუშინ თემურ იაკობაშვილს, გრიგოლ ვაშაძეს, გია ბარამიას და დიმიტრი სანაკოევს უნდა შეხვედროდნენ, თუმცა საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთან დაგეგმილი შეხვედრები გადაიდო. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თემურ იაკობაშვილის განმარტებით, ამის მიზეზი ის გახდა, რომ სტუმრებმა "ბათუმში წასვლა მოინდომეს". "სტუმრები ბათუმში მიდიან. იქ ჩასვლა მათი სურვილი იყო. იმდენი ველაპარაკეთ მასზე რომ იქ ჩასვლის სურვილი გამოთქვეს," - სწორედ ამით ხსნის იაკობაშვილი დეპუტატების ვიზიტის პროგრამის ცვლილებას.

ის ბელორუსის დელეგაციის საქართველოში ვიზიტს მნიშვნელოვანს უწოდებს. "ბელორუსის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლა ხორციელდება, რათა ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარონ. ბელორუსი ცდილობს, დიპლომატიურ მანევრებს მიმართოს, რათა არ მოუწიოს მძიმე გადაწყვეტილებების მიღება. დელეგაციის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მათ ნახონ რეალობა, პირველი პირებისგან მოისმინონ, კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე და რა საფრთხეს ატარებს რუსეთის ასეთი ქცევები. ვფიქრობთ, ასეთი ვიზიტი სარგებლიანი იქნება", - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

თბილისის პარალელურად, გუშინ სეპარატისტულ აფხაზეთში ბელორუს პარლამენტართა დელეგაცია ჩავიდა. აფხაზური მხარის ინფორმაციით, ბელორუსი პარლამენტარები აფხაზური ე.წ. პარლამენტის სპიკერს ნუგზარ აშუბასა და ე.წ. დეპუტატებს შეხვდნენ. ამას გარდა, ბელორუსმა სტუმრებმა შეხვედრა სერგეი შამბასთანაც გამართეს.

სეპარატისტული აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა მიიჩნევს, რომ ბელორუსის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი რთულად გადასაწყვეტი საკითხია. "ის, რომ ბელორუს პარლამენტართა დელეგაცია აქ იმყოფება, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ პროცესი მიდის. ბელორუსი ახლოა ამასთან, ვინაიდან ამ საკითის განხილვა გადაწყვიტა", - განაცხადა შამბამ ბელორუს პარლამენტარებთან შეხვედრის შემდეგ.

სეპარატისტთა ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე აცხადებს, რომ აფხაზეთი დაინტერესებულია დიპლომატიური და მეგობრული ურთიერთობების დამყარებაში ისეთ სახელმწიფოებთან როგორებიცაა ბელორუსი.

შამბას თქმით, "ადრე თუ გვიან ბელორუსის მიერ აფხაზეთისა დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი გადაწყდება. ხოლო ის, თუ როდის მოხდება ეს ამას დრო გვიჩვენებს".

სიღნაღობა

წელს პირველად სიღნაღში "სიღნაღ ქალაქობა" გაიმართება. ღონისძიება სავარაუდოდ 28 ნოემბერს მოეწყობა, რადგან უამინდობის გამო სიღნაღობის გამართვა ერთხელ უკვე გადაიდო.

ღონისძიებაზე იქნება მწვადის ფესტივალი, ხალხური რეწვის და სოფლის ნობათის გამოფენა. გარდა ამისა, წარმოდგენილი იქნება მეღვინეობა-მევენახეობა-მეხილეობა, ქალაქის ცენტში დაიდგმება არყის სახდელი ქვაბი. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები იცეკვებენ და მუსიკალური ნომრებს შეასრულებენ.

როგორც რადიო "ჰერეთს" სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნოდარ კოჭლამაზაშვილმა განუცხადა, ღონისძიების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1000 ლარი დაიხარჯება.

სეპარატისტებმა ქართველ მოსწავლეებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს

ოსი მილიციელების მიერ 4 ნოემბერს დაკავებული სოფელ ტირძნისის მცხოვრები არასრულწლოვნები - გიორგი რომელაშვილი, ალეკო საბაძე, ვიქტორ ბუჩუკური და ლევან ხმიადაშვილი ცხინვალის დროებითი დაკავების იზოლატორში კიდევ 50 დღის განმავლობაში დარჩებიან.

მოზარდებს დაკავებიდან ათ დღეში ბრალად წაუყენეს საბრძოლო მასალებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შენახვა, აღმკვეთ ღონისძიებად კი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. **"გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება. ინფორმაციას ყოველ კვირას მივიღებთ და მუდმივად საქმის კურსში ვიქნებით. პირადად მე დაკავებულები არ მინახავს, რადგან ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. დაკავებულებს "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის წევრები ნახულობენ და ვიცი, რომ მოზარდები ნორმალურ პირობებში არიან და თავს კარგად გრძნობენ,"** - განაცხადა პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენლის მოადგილემ მერაბ ჩიგოევმა.

დაკავებულების მშობლებმა "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით, მისცემოდათ მოზარდების მონახულების საშუალება.

"მათ ამ თხოვნით ყოველი შეხვედრის დროს მივმართავთ, თუმცა "წითელი ჯვრის" წარმომადგენლები ცხინვალში ჩვენს შეყვანაზე უარს ამბობენ და ამის მიზეზი, სავარაუდოდ, ოსური მხარის უარია," - განაცხადა დაკავებულ ვიქტორ ბუჩუკურის დედამ ეკა ბუჩუკურმა.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის რეჟიმი დაკავებულ ქართველ მოზარდებთან მშობლების დაშვების საკითხს განიხილავს.

"ამ საკითხზე მოლაპარაკებებში, ერთი მხრივ, "წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის წევრები მონაწილეობენ, რომლებსაც შესაბამისი თხოვნით მშობლები მიმართავენ, მეორე მხრივ კი, ამ საკითხს ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები გადაწყვეტენ. ცხინვალის დროებითი დაკავების იზოლატორში ქართველ მოზარდებთან მშობლების დაშვების თარიღი ჯერ დადგენილი არ არის," - განაცხადა მერაბ ჩიგოევმა.

4 ნოემბერს დაკავებული ქართველი მოზარდებისთვის ორთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ ქართულმა მხარემ არ იცოდა. **"ჩვენთვის ამის შესახებ არ იყო ცნობილი. ოსურ მხარეს ასეთი ინფორმაცია არ მოუწოდებია. ამ საკითხს, რა თქმა უნდა, აუცილებლად დავაყენებთ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შეხვედრაზე, რომელიც ხვალ გაიმართება,"** - აღნიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა.

დაკავებული მოზარდების გათავისუფლების საქმეში დახმარებას ოფიციალური თბილისი საერთაშორისო თანამეგობრობას სთხოვს. თუმცა, ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მერვე რაუნდზე, რომელიც 11 ნოემბერს გაიმართა.

საარჩევნო ბარიერი კონსენსუსის ბარიერად იქცა

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისში საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის გუშინდელი შეკრება უშედეგოდ დასრულდა. ამისი მიზეზი ბარიერის საკითხი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო უმრავლესობისა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა ყველა საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკური გაერთიანება - "ალიანსი საქართველოსთვის" 30-პროცენტიანი ბარიერის წინადადებას არ დათანხმდა. ალიანსის წევრები აცხადებენ, რომ ბარიერი მათთვის პრინციპული საკითხია. სახელისუფლებო გუნდი ალიანსს "ხისტი პოლიტიკის" გამო საყვედურობს.

გუშინ მუშა ჯგუფმა კენჭი უყარა საარჩევნო სისტემისა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესების მარეგულირებელ პაკეტს. კონსენსუსის არარსებობის გამო, როგორც აღვნიშნეთ, პროექტი ჩავარდა.

პაკეტი ორი ალტერნატიული პროექტის სახით იყო წარმოდგენილი. ერთი პროექტი ხელისუფლებამ მოამზადა, ხოლო მეორე - ალასანიას გუნდმა.

საპარლამენტო უმრავლესობა ალასანიას პოლიტიკურ დაჯგუფებას რადიკალიზმში ადანაშაულებს. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ პავლე კუბლაშვილის შეფასებით, ალიანსის ზედმეტი ამბიციების გამო ამდენი შრომა წყალში ჩაიყარა. **"მათ ბარიერის შესახებ აბსოლუტურად არაკონსტრუქციული შემოთავაზებები ჰქონდათ. ამ ერთი საკითხის გამო ალიანსმა, ფაქტობრივად, ჩაშალა ის შეთანხმება, რაც აბსოლუტურად მიღწევადი იყო ცალკეულ, ძალიან მნიშვნელოვან საკითხებში."**

ალიანსს 50-პროცენტიანი ბარიერის მოთხოვნისთვის ასეთი არგუმენტაცია აქვს: **"ჩვენ ვაპირებთ, რომ თბილისს ჰყავდეს უმრავლესობით არჩეული მერი. ამ შემთხვევაში იგი მაღალი ნდობით ისარგებლებს,"** - განაცხადა გუშინ ალიანსის ერთ-ერთმა წევრმა მამუკა კაციტაძემ. ალიანსის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ მედიასთან კომენტარში განმარტა, რომ ისინი მზად იყვნენ, ნაწილობრივ კომპრომისზე წასულიყვნენ და 50-ის ნაცვლად, 45-პროცენტიან ბარიერს დათანხმებოდნენ.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა პაკეტის ჩავარდნის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს. **"გარკვეული საკითხების ან საკითხებში ვიღაცის პრინციპულობის გამო მთელი მოლაპარაკება ჩავარდა. არავინ უნდა გახდეს პროცესის შემაფერხებელი ფაქტორი,"** - შენიშნა "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ლევან ვეფხვაძემ. შეხვედრის დასრულების შემდეგ აღშფოთებას ვერ მალავდა "ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურიაც.

უშედეგო შეხვედრის მიუხედავად, "ალიანსი საქართველოსთვის" ამავე საკითხებზე მუშაობის გაგრძელების მომხრეა. პავლე კუბლაშვილის შეფასებით კი, აღნიშნულ ფორმატში მუშაობის რესურსი ამოიწურა.

მომდევნო შეხვედრა, სავარაუდოდ, მომავალ კვირას საქართველოს პარლამენტში შედგება.

საკუთარი ინფორმაცია

ახალი კომისია პროკურატურიდან მასალებს გამოიხმობს

ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტის შემსწავლელი კომისია მომავალი სხდომისთვის პროკურატურიდან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ყველა მასალას გამოიხმობს. ამის შესახებ გადაწყვეტილება გუშინ კომისიის სხდომაზე მიიღეს. როგორც კომისიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გამსახურდიამ აღნიშნა, აუცილებელია კომისია პირველ რიგში გაეცნოს გამოძიების ხელთ არსებულ მასალას. "როგორც ვიცი, 2003 წელს დაიწყო აღნიშნული ფაქტის გამოძიება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო გამოძიების ხელთ არსებული მასალა დღემდე არ გამხდარა საჯარო და პირველ რიგში პროკურატურიდან ამ მასალას გამოვითხოვთ", - განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ.

როგორც მან აღნიშნა, ეს შეეხება 2003 წლიდან დღემდე არსებულ ყველა მასალას. გარდა ამისა, კომისია ითხოვს შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ყველა მასალას, რომლის თანახმად, თავის დროზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

"ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, პროკურატურისთვის გასაგზავნ წერილს კომისია დახურულ ფორმატში შეიმუშავებს.

გარდა ამისა, კომისიის სხდომაზე გუშინ დოკუმენტური ფილმი "დინების საწინააღმდეგოდ" აჩვენეს. აღნიშნული ფილმი პარტია თავისუფლების დაფინანსებით და ორგანიზებით გადაიღეს.

კონსტანტინე გამსახურდიას განმარტებით, ის უშუალოდ იყო ამ ფილმის გადაღებაში ჩართული. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ფილმის იმ რესპოდენტებს, რომლებსაც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ბოლო დღეებში ჰქონდათ ურთიერთობა ან ფლობდნენ გადმოცემით რაიმე ინფორმაციას, დაბარებული იქნებიან კომისიაში ჩვენების მისაცემად. თუმცა დასაბარებელი პირების თანმიმდევრობა ჯერჯერობით არ არის განსაზღვრული. კომისიის გადაწყვეტილებით ასევე მოხდება კომისიაში ისტორიკოსების, ფსიქოლოგებისა და გამომძიებლების მიწვევა, რომლებიც კომისიის წევრებს მიღებული ინფორმაციის გაანალიზებაში დაეხმარებიან.

კომისიის მომავალი სხდომის თარიღი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ამერიკის პოლიტიკა უფრო ხმამაღლა უნდა გაცხადდეს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

- ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ შეცვლილა. ვფიქრობ, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა უფრო მკაცრად უნდა გამოკვეთოს აზრი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად და უნდა იყოს უფრო კრიტიკული რუსეთის მიმართ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით. პოლიტიკა შეიძლება არ შეცვლილა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან სასარგებლო მესიჯი იქნებოდა, როგორც რუსეთისთვის, ასევე ქართველი ხალხისთვის, ამ პოლიტიკის ხმამაღლა გაცხადება.

- შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოსთვის სამხედრო შეიარაღების ექსპორტი აკრძალა. აკრძალვის მიზეზად საქართველოს მიმართ "პოლიტიკის გადამუშავება" დაასახელა. თქვენ უჭერთ მხარს ამ აკრძალვას?

- ვფიქრობ, რომ აკრძალვა უნდა მოიხსნას და, რა თქმა უნდა, ეს შეიარაღება უნდა იყოს მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის. უნდა გავაგრძელოთ წვრთნა. ჩვენ შეგვიძლია ამ გადაწყვეტილების მიღება და შეგვიძლია საქართველოს სამხედრო ძალებს აღმოვუჩინოთ დახმარება თავდაცვითი შესაძლებლობების გასამყარებლად.

ჩვენ ძალიან მადლიერები ვართ იმის გამო, რომ ქართველი ხალხი და საქართველოს მთავრობა შეერთებულ შტატებსა და ჩვენი ალიანსის წევრებს ეხმარება ავღანეთში. ქართველი ხალხი მსხვერპლს იღებს და, ვფიქრობ, რომ ეს უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული ამერიკის შეერთბული შტატების მიერ. ასევე იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოს მთავრობისა და ხალხის მხრიდან ეს დახმარება გაგრძელდება.

- საქართველოში ვიზიტი თუ გაქვთ დაგეგმილი?

- ჩვენ საქართველოში ჩასვლას დეკემბერში ვაპირებდით, მაგრამ, როგორც ჩანს, აშშ-ში ჯანდაცვის საკითხის განხილვა, ალბათ, ხელს შეგვიშლის ამ ვიზიტში. იმედია მომავალი წლის დასაწყისში მოვახერხებთ წასვლას.

- საქართველოს მიმართ განსაკუთრებით კარგი დამოკიდებულება გაქვთ. რა არის მიზეზი თქვენი ასეთი გულშემატკივრობის?

- ჩემი აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი მოუთხრობელი წარმატების ისტორია ქართული ეკონომიკისა და ქართველი ხალხის ამბავია. მომსწრენი ვართ დრამატული ეკონომიკური პროგრესის, პოლიტიკური დებატებისა... რა თქმა უნდა, არის ჩავარდნები, წარუმატებლობა და კრიტიკის საბაბი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიუხედავად რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის პირობების უხეში დარღვევებისა, საქართველოში მაინც წინსვლაა, რაც საკმაოდ საყურადღებოა.

- ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლების მიმართ ისმის კრიტიკა დემოკრატიიდან გადახვევის შესახებ. ამბობენ, რომ მომავალი ადგილობრივი არჩევნები ქვეყანაში დემოკრატიის გამოცდა იქნება. თქვენ თუ გაქვთ ხოლმე საუბრები საქართველოს ხელისუფლებასთან დემოკრატიაზე და მისი წინსვლის აუცილებლობაზე?

- ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს არა მხოლოდ ვიზიტების დროს, არამედ ჩვენი კომუნიკაციების დროსაც, როგორც ხელისუფლებასთან, ასევე მათ წარმომადგენლებთან აქ, ვაშინგტონში. ჩვენ გვსურს ვიხილოთ ღია სამოქალაქო საზოგადოება. არის გარკვეული სფეროები, რომელთა კრიტიკაც მართებულად ხდება, მაგრამ, როცა ვუყურებთ ზოგად პროგრესს, რომელიც საქართველოში არსებობს, როგორც ეკონომიკურად, პოლიტიკურად, ასევე სოციალურად. ძნელია ვერ დაინახო, რომ ქართველებმა გრძელი გზა გაიარეს. მათ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი - და ვიცი, რომ ქართველი ხალხი თვითონ აღიარებს ამას - მაგრამ, ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხი ძალიან ამაყობს იმ უდიდესი წარმატებებით, რომლებსაც ვარდების რევოლუციის შემდეგ მიაღწია.

არჩევნებს რაც შეეხება, არჩევნები ყველა ქვეყანაში გამოცდაა და ეს საკმაოდ რთულად გასავლელი გზაა. არ მოველი, რომ უნაკლო არჩევნები ჩატარდება საქართველოში, მაგრამ ვფიქრობ, გვაქვს უფლება, შესამჩნევი პროგრესის მოლოდინი გვქონდეს.

ესაუბრა ია მეურმიშვილი "ამერიკის ხმის" ქართული რედაქცია

შედეგები და პრიორიტეტები

საქართველოს ხელისუფლებამ ნატო-ს შტაბ-ბინაში მიმდინარე წლის შედეგები წარადგინა და სანაცვლოდ 2010 წელს გასატარებელი რეფორმების ვალდებულებები აიღო. გუშინ ბრიუსელში ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე, ასევე თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები მიიღო. ბარამიძის ინფორმაციით, ნატო-მ ძალიან მაღალი შეფასება მისცა ავღანეთში აისაფის ოპერაციაში საქართველოს მიერ სამხედრო ნაწილის გაგზავნას. ნატო-ს წევრი ქვეყნების შეფასებით, ეს სერიოზული ნაბიჯია.

ᲓᲐᲗᲝ ᲒᲐᲛᲘᲡᲝᲜᲘᲐ

ოფიციალურ შეხვედრაზე საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამის პირველი წლის დასრულება განიხილეს. ქართულმა მხარემ ალიანსის ხელმძღვანელობას 2009 წლის განმავლობაში გატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მანამდე კი, ოქტომბრის დასაწყისში, საერთაშორისო სამდივნოს წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებოდნენ და წლიური ეროვნული პროგრამის მიმდინარეობა შეისწავლეს. აღნიშნული პროგრამა დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და სხვა სფეროებში მიმდინარე რეფორმებს მოიცავს. ბრიუსელში მყოფი ქართული დელეგაციის თქმით, ამჯერად საქართველომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმიდან წლიურ ეროვნულ პროგრამაზე გადასვლა სწრაფად და ხარისხიანად შეძლო. რასმუსენთან შეხვედრის შემდეგ გიგა ბოკერიამ, ძირითადად, პოლიტიკური შეფასებები გააკეთა: **"ძალიან მნიშვნელოვანი დღე იყო. წლიური ანგარიში პოზიტიურად შეაფასეს, ბუნებრივია რეფორმების გაგრძელების მოწოდებებით, მაგრამ იყო მკაფიო სიგნალი იმის შესახებ, რომ საქართველო სწორი მიმართულებით მიდის - იმ გზით, რაც ქართველმა ხალხმა აირჩია."**

ნატო-ს გენერალურ მდივანთან მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ "24 საათი" ბრიუსელში მყოფ გიორგი ბარამიძეს ესაუბრა. მისი მტკიცებით, 2009 წელს გაწეული საქმიანობის განხილვისას საქართველოს არც ერთი სფეროში საყვედური არ მიუღია. ბარამიძე აცხადებს, რომ პრაქტიკულად ყველა მიმართულებით არის სერიოზული პოზიტიური ძვრები. ამიტომ საქართველოს მხოლოდ ამ პროცესების გაგრძელების შესახებ აძლევენ რეკომენდაციებს. საქართველოს სამხედრო, ანტიკორუფციული და სასამართლო რეფორმებში აღებული მიმართულებით მუშაობის გაგრძელებისკენ მოუწოდებენ. ასევე თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს სადაზვერვო სფეროში. ამასთან ერთად, ალიანსი მიმდინარე წლის დასასრულისა და მომავალი წლის განმავლობაში საქართველოს დამატებით დემოკრატიული ინსტიტუტების გაგრძელების ვალდებულებას უყენებს. **"რა თქმა უნდა, მომავალ წელს ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორი იქნება საკონსტიტუციო რეფორმის კომისიის მუშაობის, ასევე საარჩევნო კოდექსის მუშაობის შედეგები. ხოლო, შემდეგ წელს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ადგილობრივი არჩევნები, პრესის თავისუფლების განმტკიცება."** ბარამიძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება აღნიშნული გამოწვევების შესრულებას შეძლებს. მისი თქმით, ხელისუფლებას ამის მზადყოფნა რომ არ ჰქონდეს, ვალდებულებებს არც აიღებდა. მეტი დამაჯერებლობისთვის მან ნატოს სხვა პროგრამები გაიხსენა, რომლებსაც, მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ კარგად გაართვა თავი, კერძოდ - აიპაპი, "ინტენსიური დიალოგი." გარდა ამისა, გუშინდელი მონაცემებით, წლიური სამოქმედო გეგმა 2009 წელს ქვეყანამ წარმატებით გაიარა. ბარამიძის აზრით, ხელისუფლების ინტერესია, რომ სხვადასხვა სფეროში დაწყებული რეფორმები ბოლომდე მიიყვანოს. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას უკეთესი საარჩევნო კოდექსი ჰქონდეს. ბარამიძე მიიჩნევს, რომ **"ისეთი არჩევნები უნდა ჩავატაროთ, რომ შენიშვნები რაც შეიძლება ნაკლები გვქონდეს და არავის სალაპარაკო არ იყოს. რაც შეეხება პრესის თავისუფლებას, მომავალ წელს "მეორე არხი" პოლიტიკურ მაუწყებლად ჩამოყალიბდება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება როგორც არასაპარლამენტო, ასევე საპარლამენტო პოლიტიკური პარტიებისთვის. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, ყველა მიმართულებით პროგრესი გვექნება."**

გარდა ამისა, გიორგი ბარამიძის თქმით, ნატო ძირითად აქცენტებს იმ საკითხებზე აკეთებს, რომლებიც უკვე კარგად არის ცნობილი. ეს მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება არ არის. აქ მოიაზრება თავდაცვის რეფორმა, სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტები თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ანტიკორუფციული ღონისძიებების გაგრძელება. ბარამიძის თქმით, დღეს საქართველოს სამხედრო სფეროში საუკეთესო შეფასებები აქვს - იმ თვალსაზრისით, რომ საქართველომ ომის შემდგომ პერიოდში განვითარებისთვის სწორი რეაგირება მოახდინა. კერძოდ, სამხედრო დოქტრინის, სტრატეგიული დოკუმენტების გადასინჯვა დაიწყო, რეფორმებში შესაბამისი კორექტივები შევიდა. ბარამიძემ განაცხადა, რომ **"ბოლო დროს უფრო მეტი აქცენტი წვრთნასა და სწავლებაზე გაკეთდა. ეს ხელს შეუწყობს ჩვენი ჯარის თავსებადობას ნატო-ს ჯართან."**

ბარამიძე მიიჩნევს, რომ ამ ყველაფერთან ერთად, რუსეთთან კონფლიქტის დარეგულირება და ამ კონტექსტში ჟენევის მოლაპარაკებების წარმართვა მოიაზრება. ამავე კონტექსტში განიხილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის კეთილდღეობისკენ მიმართული პოლიტიკის გატარება. რაც შეეხება საკუთრივ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის შემაკავებელ ფაქტორებს, ბარამიძე აცხადებს, რომ **"მთავარია, რასმუსენმა პირად შეხვედრაზეც, საქართველო-ნატო-ს საბჭოზეც და 17 ნოემბერს ედინბურგის ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზეც საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვასა და ნატო-ს მხრიდან მის მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილი და პოლიტიკური პოზიციაა, რადგან რუსეთმა კარგად იცის, რომ ასეთ პრინციპულ საკითხებში დათმობები არ იქნება. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთი იძულებული იქნება, ეს პრინციპები გაიზიაროს და მათ პატივი სცეს."**

მოსკოვისთვის საქართველოს კანონი მიუღებელია

რუსეთს "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონი შესწორებების შემდეგაც მიუღებლად მიაჩნია. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ცნობით, ამის შესახებ სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა. მისი თქმით, რუსული მხარე ყურადღებით გაეცნო ვენეციის კომისიის დასკვნას, რომელიც "ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში" შესწორებების შეფასებას ეხება. სამინისტროს ინფორმაციით, მოსკოვი მთლიანობაში იზიარებს ვენეციის კომისიის რჩევას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა კანონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და იმ დებულებების ამოსაღებად, რომლებიც "ცხინვალის კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ჰუმანიტარული მისიების საქმიანობას ზღუდავს".

"საქართველოს მიერ შეთავაზებული შესწორებები ძალაში ტოვებს კანონის საკვანძო დებულებებს, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჰუმანიტარულ საქმიანობას, უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებებს ზღუდავს და უცხოურ კომპანიებს ეკონომიკურ საქმიანობას უკრძალავს", - განაცხადა ნესტერენკომ. მისივე თქმით, რუსეთს აბსურდულად მიაჩნია, რომ აღნიშნული კანონის მიხედვით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის ეკონომიკური და კულტურული ზარალის, აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს ეკისრება. საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, აკაკი მინაშვილის შეფასებით, უმჯობესი იქნება, თუ რუსეთი თავს დაანებებს საყვედურებს ვენეციის კომისიასთან მიმართებაში და თავად შეასრულებს ევროსაბჭოს ვალდებულებებს.

მინაშვილის თქმით, კანონში უკვე აისახა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და მასზე მუშაობა აღარ გაგრძელდება. მისი განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერი ტვირთის შესვლა და ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობის წარმოება მხოლოდ საქართველოს ნებართვით უნდა განხორციელდეს. "რუსეთს ურჩევნია, თავად შეასრულოს ევროსაბჭოს ვალდებულება და ვენეციის კომისიას გადაუგზავნოს თავდაცვის შესახებ კანონი", - განაცხადა აკაკი მინაშვილმა. მისი თქმით, მიუხედავად ამ კანონისა, რომელიც რუსეთს უცხო ქვეყნის ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ნებართვას აძლევს, ევროსაბჭომ რუსეთს ვალდებულება დააკისრა, კანონი ვენეციის კომისიას გადაუგზავნოს, რაც დღემდე არ შესრულებულა.

უკრაინა H1N1 გრიპის მეორე ტალღას დეკემბერ-იანვარში ელოდება

უკრაინის ჯანდაცვის სამინისტრო ქვეყანაში H1N1 გრიპის მეორე ტალღას დეკემბერ-იანვარში ელოდება. ამის შესახებ "ინტერფაქს-უკრაინა" იუწყება.

უკრაინის მთავარი სანიტარული ექიმის მოადგილის ლიუდმილა მუხარსკაიას პროგნოზით, უკრაინაში H1N1 გრიპის მეორე ტალღა დეკემბერ-იანვარში იქნება, მესამე ტალღა კი 2010 წლის შემოდგომაზე. ამის შესახებ მან გუშინ გრიპისა და რესპირატორული დაავადებების აღკვეთის შესახებ გამართულ სელექტორულ შეკრებაზე განაცხადა, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრი ვასილი კნიაზევიჩი ხელმძღვანელობდა. შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბოლო კვირის განმავლობაში სიტუაციის სტაბილიზაცია შეიმჩნეოდა. სულ დღემდე 1,400 მლნ ადამიანი დაავადდა, მათგან 328 ადამიანი გარდაიცვალა. უკრაინის 5 რეგიონი კი ეპიდზღვარზე იმყოფება.

უკრაინაში ლაბორატორიულად დადასტურებული H1N1 გრიპის ვირუსის 166 შემთხვევაა გამოვლენილი, მათგან 15 გარდაიცვალა.

მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდს ეწვია

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზუგდიდში იმყოფებოდა. მან გაზსადენის ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. პრეზიდენტთან ერთად, გახსნის ცერემონიას ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, შპს "სოკარ ენერჯ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ამაირ მამედოვი და "სუპერ ჯორჯია გაზის" დირექტორი ანაკ მამედოვი ესწრებოდნენ.

დასახელებული პუნქტების გაზიფიკაციის შედეგად, ზუგდიდში პოტენციურ აბონენტთა რიცხვი 1100 შეადგენს, ხოლო "სოკარ ჯორჯიას" მიერ შემუშავებული 3-წლიანი საინვესტიციო პროგრამის თანახმად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზიფიცირებული იქნება 150 ათასი ახალი აბონენტი. საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას ყურადღება გაამახვილა სამეგრელოში ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე, ისაუბრა იმიდ შესახებ, რომ უახლოს პერიოდში რეგიონში ახალი ქარხნები გაიხსნება, რაც მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს და საბოლოოდ დამარცხებული იქნება სიღარიბე.

ჯანდაცვის მინისტრი მოსახლეობას თვითმკურნალობას არ ურჩევს

ე.წ. ღორის გრიპთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში პანიკა არ არსებობს. ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, გრიპით დაავადების შემთხვევები არის, კვლავაც იქნება და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია, თუმცა, კვიტაშვილის განცხადებით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ამ პერიოდისთვის სრულად არის მომზადებული.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ყოვლად დაუშვებელია თვითმკურნალობა. კვიტაშვილი მოქალაქეებს "ტამიფლუს" თვითნებურად გამოყენებას არ ურჩევს. "თუკი მოქალაქეებს მაღალი სიცხე და სუნთქვის უკმარისობა შეაწუხებს, ამ სიმპტომების გამოვლენისთანავე ექიმს უნდა მიმართონ - თვითმკურნალობა არ შეიძლება", - განაცხადა მინისტრმა.

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა

საგამოფენო ცენტრ "ექსპო ჯორჯიას" მე-11 პავილიონში სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და სასმელების, შემფუთავი და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების მე-9 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა.

ღონისძიება "ექსპო ჯორჯიას" ხელმძღვანელობის ორგანიზებით ჩატარდა, რომლის მხარდამჭერებიც არიან: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერია.

გამოფენაში მონაწილეობას 80-ზე მეტი ქართული და უცხოური, მათ შორის ავსტრიული, აზერბაიჯანული, გერმანული, იტალიური, ლიტვური და სომხური კომპანია იღებდა, რომლებმაც დამთვალიერებლებს თავიანთი პროდუქტები და მომსახურება გააცნეს. გარდა ამისა, დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, მოესმინა სპეციალისტების რჩევები და თანამედროვე ტექნოლოგიებს გაცნობოდა.

"ექსპო ჯორჯიაში" წარმოდგენილ გამოფენში, რომელიც 21 ნოემბრამდე გაგრძელდება, მონაწილეობას იღებენ მწარმოებლები, სადისტრიბუციო კომპანიები და საკონსულტაციო ორგანიზაციები შემდეგი პროდუქციით: რძის პროდუქტები, ხორცი და ხორცპროდუქტები, პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, საკვები დანამატები, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელები, შემფუთველი, გადამამუშავებელი ტექნოლოგიები და ჩამოსასხმელი ხაზები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ქიმიკატები და სადეზინფექციო საშუალებები, სასტუმროს ბარისა და რესტორნების აღჭურვილობა, ლაბორატორიული დანადგარები და აღჭურვილობა, სპეციალიზებული გამომცემლობები და სხვა. **24 საათი**

"ელიტ ელექტრონიქსისა" და "ელიტელის" მაღაზიათა ქსელში "მზიანი სამეულის" მორიგი აქცია დაიწყება

"ელიტ ელექტრონიქსისა" და "ელიტელის" მაღაზიათა ქსელში "მზიანი სამეულის" მორიგი აქცია ხვალიდან დაიწყება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" "ელიტ ელექტრონიქსიდან" აცნობეს, კომპანიის "ცხელი ფასები" ამჯერად მობილურ ტელეფონებს ეხება.

აქციის ფარგლებში ორივე მაღზიათა ქსელი ცნობილი ბრენდების მობილურებს მომხარებელს ექსკლუზიურ ფასად სთავაზობს. კონკრეტულად, NOKIA - 55 ლარად, SAMSUNG - 53, ხოლო LG - 50 ლარად იქნება წარმოდგენილი.

"მზიანი სამეულის" აქცია "ელიტელსა" და "ელიტ ელექტრონიქსში" მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება და დროდადრო სხვა ბრენდები და მოდელები ჩაენაცვლება.

თითქმის სამთვიანი პაუზის შემდეგ კომპანია "ელიტ ელექტრონიქსმა" მუშაობა რამდენიმე კვრის წინ განაახლა. კომპანიაში აცხადებენ, რომ ცდილობენ, ფასდაკლების აქციები მომხმარებელს კვლავ შესთავაზონ. **ინტერპრესნიუსი**

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები მცირედით გაიზარდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად მცირედით გაიზარდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ნიუ-იორკის ბირჟაზე Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასმა ბარელზე 0.24 აშშ დოლარით მოიმატა და 79.14 აშშ დოლარზე დაფიქსირდა.

ლონდონის ბირჟაზე კი Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.21 აშშ დოლარით 78.97 აშშ დოლარამდე გაიზარდა. **ინტერპრესნიუსი**

სამი სამინისტრო ერთიან ვებ-გვერდს შექმნის

საქართველოს ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები ერთიან ვებ-გვერდს შექმნიან, სადაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, გასაყიდად გატანილ ობიექტებზე დეტალური ინფორმაცია განთავსდება.

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელებს სათანადო დავალებები დღეს გამართულ მთავრობის სხდომაზე მისცა.

მისი თქმით, ერთიანი ვებ-გვერდის შექმნა დაინტერესებულ პირებსა და მეწარმეებს ამომწურავი ინფორმაციის გაცნობას გაუადვილებს, რადგანაც სახელმწიფო ობიექტებს დღეს სამი სხვადასხვა უწყება: ეკონომიკური განვითარების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები ყიდიან. **ინტერპრესნიუსი**

სალიბაურში სასათბურე მეურნეობის განვითარებისთვის თურქულმა "აიკონ გრუპმა" 3 მლნ ევროს ოდენობის ინვესტიცია განახორციელა

აჭარის სოფელ სალიბაურში სასათბურე მეურნეობის განვითარებისთვის თურქულმა კომპანია "აიკონ გრუპმა" 3 მლნ ევროს ოდენობის ინვესტიცია განახორციელა.

ამის შესახებ "პირველს" საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, მეურნეობის სრულად ამოქმედების შემდეგ ბოსტნეულის წარმოება აჭარაში 2000 ტონამდე გაიზრდება.

ცნობისთვის, კომპანია მომავალში 200-მდე ადამიანის დასაქმებას გეგმავს. **პირველი**

2,5 მილიონი დოლარი - ძველი დანადგარების გამოსაცვლელად

ენერგოეფექტური ტექნოლოგიები წარმოებაში

თინა შავაძე

ბაზარზე წარმოდგენილი ადგილობრივი ნაწარმის უმეტესობა უცხოურთან შედარებით ორჯერ ძვირია. ამის გამო, ხშირად მომხმარებელი არჩევანს იმპორტულ პროდუქტზე აკეთებს. ერთ-ერთი კვლევით, მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილი (ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი და მომსახურება), რომელსაც ენერგიის სახით საქართველო მოიხმარს, ევროპის საშუალო ქვეყნის იგივე მაჩვენებელს სამჯერ აღემატება. ფასების ზრდა უშუალო ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივი ბიზნესის საწარმოო დანახარჯებზე და კომპანიების გლობალურ კონკურენტუნარიან ეკონომიკაში ჩართვას ხელს უშლის. ამ პრობლემის მოსაგვარებლად 2008 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ენერგიის ეფექტურად გამოყენების მიზნით პროგრამების განხორციელება დაიწყო. საქართველომ საწარმოებში, ბინებსა და შენობა-ნაგებობში ენერგოეფექტური ტექნიკის დანერგვისა და განახლებადი ენერგიების გამოყენების მიზნით 2 მილიონი 500 ათასი დოლარის კრედიტი მიიღო. ფინანსური დახმარების გარდა, ხორციელდება საქართველოს ენერგოეფექტურობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც იურიდიული და ფიზიკური პირები მომგებიანი საინვესტიციო პროექტების შესამუშავებლად უცხოელი ექსპერტებისაგან სათანადო კონსულტაციებს იღებენ. "24 საათს" საქართველოს ენერგოეფექტურობის პროექტის მთავარი ინჟინერი დემეტრე პაპაიოანოუ ესაუბრა.

- რომელ სექტორებში გაჩნდა მოთხოვნა ენერგოეფექტურ დანადგარებზე?

- ჩვენი პროგრამა ბიზნესის ყველა სექტორისთვის არის გათვალისწინებული. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მიმდინარეობს რძის, ნაყინისა და მშენებლობის დარგებში. ელექტროენერგიის დანახარჯების შესამცირებლად საკმაოდ ეფექტურია თანამედროვე დონის მანქანა-დანადგარების საწარმოებში დამონტაჟება. საქართველოში უკვე გაჩნდა მოთხოვნა ენერგოეფექტური ბოილერების, ღუმელების, კონდიცირებისა და გათბობის სისტემების დანადგარებზე.

- საქართველოს ენერგოეფექტურობის პროექტი კომპანიებს რა სახის უფასო დახმარებას უწევს?

- მიმდინარე პროგრამის ფარგლებში ჩვენი კონსულტანტების დახმარებით კომპანიას შეუძლია ენერგეტიკასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯების გათვლები გააკეთოს, საჭირო ტექნიკა შეარჩიოს, მომწოდებელთან შეკვეთა გაგზავნოს, ბანკთან საკრედიტო ხელშეკრულება გააფორმოს და ამის შედეგად შეკვეთილი ტექნიკა შეისყიდოს და დაამონტაჟოს.

- ხშირად მეწარმეები ამბობენ, რომ ახალი ტექნოლოგიების საწარმოში დანერგვის მთავარი პრობლემა დანადგარის საწარმოო პროცესში ჩართვაა, რადგან ადგილობრივმა სპეციალისტებმა მისი მოხმარების წესები არ იციან.

- ჩვენი პროგრამა ზუსტად აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად არსებობს. უცხოელი ინჟინრები ადგილობრივ სპეციალისტებს კონსულტაციებს ვუწევთ და ტრენინგებს ვუტარებთ, როგორ უნდა იმუშაოს თანამედროვე სისტემაზე აწყობილმა ტექნიკამ. საერთოდ, როცა კომპანია დანადგარს ყიდულობს, მომწოდებელი შესყიდვის ფასში დანადგარის დამონტაჟებასა და მისი ერთი წლით გამართული მუშაობის გარანტიას უზრუნველყოფს.

- მიმდინარე კრიზისის გამო კომპანიებმა რეინვესტირების მოცულობა წარმოებაში შეამცირეს. ამან გავლენა, ალბათ, ენერგოეფექტური დანადგარების შესყიდვაზეც მოახდინა.

- გარკვეულწილად, კრიზისმა გავლენა მართლაც იქონია. მაგრამ ამ შემთხვევაში საუბარია ფინანსური დანახარჯების შემცირებაზე და არა ახალი კაპიტალდაბანდების განხორციელებაზე. ძველი ბოილერის გამოყენების დროს თუ იურიდიული პირი ყოველთვიურად 1000 ლარის ელექტროენერგიას ხარჯავს და მას ახალი, ენერგოეფექტური ბოილერით შეცვლის, არსებული დანახარჯი 300 ლარით შემცირდება. ამ გზით დაზოგილი თანხა, სწორად გათვლილი მენეჯმენტის წყალობით, კრედიტის დასაფარად გამოიყენება და კომპანიას ახალი კაპიტალდაბანდება ახალი ტექნიკის დასანერგად აღარ დასჭირდება.

- რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია, რომ თქვენგან უფასო მომსახურება მიიღოს?

- უპირველესად კომპანიას სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ მოძველები დანადგარები გამოცვალოს და ამ გზით ენერგოდანახარჯები შეამციროს. ამის გარდა, აუცილებელია ორი პირობის დაკმაყოფილება. პირველი - მას ენერგოკომპანიასთან მიმდინარე დავალიანება არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი კონტრაქტორი ბანკებია "თი-ბი-სი", "ქართუ" და "რეს-პუბლიკა". მეორე პირობაა - კომპანიამ ზემოთ დასახელებული რომელიმე ბანკისგან რეკომენდაცია მიიღოს.

- თქვენ და კომპანიები ერთმანეთს როგორ პოულობთ?

- ჩვენ შესახებ ყველგან იციან. საქართველოს ენერგოეფექტურობის პროექტის მომსახურების მიღება შესაძლებელია დასწრების პრინციპით - ვინც პირველი მოვა, მას პირველად მოვემსახურებით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მაშინ ჩვენ ინჟინრებს საწარმოებში ენერგომოხმარების - მათ შორის ელ. ენერგიის, გაზის, ნავთობის და წყლის დონის განსაზღვრის მიზნით ვაგზავნით. ამ გზით პოტენციური ენერგოდანაზოგების შესაძლებლობა გამოვლინდება.

ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგია შესაძლებელია საქართველოშიც განხორციელდეს.

ბოილერები: კონდენსაციის ფუნქციით აღჭურვილი ახალი ბოილერი გაზის მილებში არსებული სითბური ორთქლის გამოყენებით გაუმჯობესებულ (90-პროცენტიან) ენერგოეფექტურობას უზრუნველყოფს (ძველი ბოილერი 50-60-პროცენტიან ეფექტურობაზეა გათვლილი). გაუმჯობესებული კონტროლი ხელს უწყობს წვის პროცესის უკეთ მართვას და სამუშაოს ოპტიმიზაციას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საწარმოო პროცესში რამდენიმე ბოილერი ჯგუფურად არის ჩართული.

ორთქლის ეფექტურობა: ცენტრალიზებული ორთქლის წარმოება ხშირად დიდ დანაკარგებთან არის დაკავშირებული და ზოგადად უფრო ეფექტურია ორთქლის წარმოქმნა იქ, სადაც ის საჭიროა შემდგომი გამოყენებისთვის. ენერგიის დანაკარგები კიდევ უფრო დიდია, თუ ორთქლის მილები არ არიან თბოიზოლაციის მასალით შეფუთული, თუ ხდება გაჟონვები ან თუ გამოყოფილი ორთქლის და კონდენსირებული სითბოს შემდგომი გამოყენება არ ხდება.

გაუმჯობესებული კონტროლის პროცესი: კლაპანების, ვენტილატორების და სხვათა ავტომატური კონტროლი უზრუნველყოფს ენერგიის გამოყენების გაუმჯობესებულ რეგულირებას. ტემპერატურისა და წნევის მონიტორინგი, მათ შორის ავტომატური აღრიცხვა და პროცესის ამსახველი ჩანაწერების გაკეთება (მაგ. ორთქლი, წყალი და ჰაერის ნაკადები) უზრუნველყოფს დანაკარგების გამოვლენას.

კომპრესირებული აირი: გაუმჯობესებული ეფექტურობის ფუნქციის მატარებელი კომპრესორები, თანამედროვე კონტროლის სისტემები და მჟონავი მილების გამოცვლა შეიძლება გახდეს დიდი ენერგოეფექტურობის წინაპირობა კომპრესირებული აირის წარმოებაში. ამასთანავე, 1 ბარით საწარმოო წნევის შემცირებამ შეიძლება მიმდინარე ხარჯები 5 პროცენტით შეამციროს, ბევრ შემთხვევაში საწარმოს ფუნქციონირებაზე მცირე ან არანაირი გავლენის მოხდენით.

თბოენერგიის ხელახალი გამოყენება: სითბოს ორმხრივი გამტარების გამოყენება მსგავსი მასშტაბებით სითბოსა და სიგრილის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შესაძლებელს გახდის, ერთი საწარმოო პროცესიდან გამოთავისუფლებული სითბო გამოყენებული იქნას მეორე საწარმოო პროცესისთვის, მაგალითად, გასაშრობად, პასტერიზაციის ან სივრცის გასათბობად.

ძრავები: ელექტროენერგიის წვის ხარჯები შეიძლება ბევრჯერ აღემატებოდეს თავად ძრავის კაპიტალურ ხარჯებს. უპრიანი იქნება 91-პროცენტიანი ეფექტურობის ფუნქციის მატარებელი ძრავების გამოყენება. საწარმოში საჭირო პროდუქციის საწარმოებლად ავტომატური კონტროლი და ცვალებადი სიჩქარის ძრავები სასურველი წარმადობის სასურველ დროს მიღწევას შესაძლებელს ხდის.

სამომხმარებლო ფასები იზრდება

მოსახლეობა საკვებისა და მედიკამენტების გაძვირებას ელის

ნინო ნატროშვილი

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რიგ ქვეყნებში სურსათზე ფასები შემცირდა, თუმცა საქართველოში სამომხმარებლო ფასები შეუქცევადად იზრდება. კრიზისი მოსახლეობის ჯიბეზეც აისახა და წარმოების მოცულობებზეც. მოსახლეობამ საკვები პროდუქტების მოხმარება ნაწილობრივ შეზღუდა ან არჩევანი უფრო იაფფასიანი პროდუქტების სასარგებლოდ გააკეთა. მწარმოებლებმაც ფინანსური კრიზისისა და სურსათზე მოთხოვნის ვარდნის გამო წარმოების მოცულობა შეამცირეს.

ეკონომიკური კრიზისის დროს ფასები ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. ბევრი დავობს იმაზე, ფასები უძრავ ქონებასა და სამომხმარებლო საქონელზე შემცირდება თუ გაიზრდება, ანდა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში რა გაძვირდება და რა გაიაფდება. ფასების ცვალებადობასთან დაკავშირებით პროგნოზს საქართველოს მოქალაქეებიც აკეთებენ.

მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია "ეისითის" მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მომავალი 6 თვის მანძილზე ყველაზე მეტად ბინები (40 პროცენტი), ავტომანქანები (39 პროცენტი) და საყოფაცხოვრებო ტექნიკა (32 პროცენტი) გაიაფდება.



ბინების გაიაფების მოლოდინის მიუხედავად, გამოკითხული მოქალაქეების 44 პროცენტი ფიქრობს, რომ მომავალი 6 თვის მანძილზე მიწაზე ფასები გაიზრდება.

კითხვაზე, თქვენი აზრით, მომავალი ექვსი თვის მანძილზე როგორ შეიცვლება ფასები შემდეგ საქონელსა და პროდუქტებზე? - პასუხები ასე გადანაწილდა (იხ. ცხრილი).

მოსახლეობა ყველაზე მეტად საკვებისა და მედიკამენტების გაძვირებას ელის - ათიდან შვიდი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მომავალი 6 თვის მანძილზე საკვებ პროდუქტებსა (71 პროცენტი) და მედიკამენტებზე (69 პროცენტი) ფასები გაიზრდება. გამოკითხული მოქალაქეების 42 პროცენტის აზრით ფასები ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და აქსესუარებზე იგივე დარჩება. ამ პროდუქტებზე ფასების ზრდას რესპონდენტთა 40 პროცენტი ვარაუდობს.

გამოკითხვაში მონაწილეობა საქართველოს დიდი ქალაქების 1800 ზრდასრულმა მცხოვრებმა მიიღო. მარკეტინგული კვლევებისა და კონსულტაციის კომპანია "ეისითის" ინფორმაციით, მონაცემების სტატისტიკური ცდომილება 2.4 პროცენტს არ აღემატება.

ადგილობრივ ბაზარზე სურსათზე ფასების ზრდა უკვე პერმანენტული გახდა. აგვისტოს ომის შემდეგ საკვები პროდუქტების გაძვირება რუსეთიდან იმპორტის შეზღუდვას ბრალდებოდა. მოგვიანებით დეფიციტი სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქციით შეივსო, მაგრამ სურსათის ფასები დროდადრო მაინც იზრდება.

2009 წლის განმავლობაში, საქართველოს ბაზარზე თითქმის ყველა სახის სასურსათო პროდუქტი გაძვირდა. ზოგის ფასი გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. გაძვირება ერთნაირად შეეხო როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტირებულ პროდუქტს.

ერთი თვის განმავლობაში როგორც საცალო, ასევე საბითუმო ბაზარზე კიდევ უფრო გაძვირდა შაქარი. საცალო ქსელში კილოგრამი შაქრის ფასი 1,60 ლარიდან 1,80 ლარამდე გაიზარდა. საბითუმო ბაზარზე კი ტომარა შაქრის ფასმა 75 ლარს მიაღწია.

შაქრის იმპორტიორები თავს იმართლებენ, რომ საერთაშორისო ბაზრებზე შაქრის ნედლეულისა და თეთრი შაქრის დეფიციტია. მაგრამ არ გამორიცხავენ, შაქარზე ფასი კიდევ გაიზარდოს და, შესაძლოა, უახლოეს მომავალში კილოგრამი შაქარი 2 ლარიც კი ღირდეს.

უკანასკნელი დღეების განმავლობაში 3-5 თეთრით გაძვირდა კვერცხიც. კვერცხი სეზონურად ძვირდება ან იაფდება. ზაფხულობით კვერცხის ფასი 16-18 თეთრამდე ეცემა, წლეულს კი არ გაიაფებულა. ახლა კვერცხის ფასი 30-33 თეთრია.

ექსპერტების შეფასებით, შაქარი, ზეთი, ბრინჯი და კაკაო გაძვირდა. დეფიციტურია თაფლი, სოიო, ხილი, და ეს პროდუქტები, რა თქმა უნდა, გაძვირდება. კრიზისის პირობებში გაიზარდა ზეთის, ხორბლის მოხმარება და ფასიც გაიზარდა. შემოსავლების კლების ფონზე, სამომხმარებლო კალათაში მთელი ყურადღება პირველადი მოხმარების საქონელზე გადავიდა. ბაზარზე სპეკულაციური მომენტებიც არსებობს. ცნობილია, რომ შაქრის, ბრინჯის, ასანთის (სამომხმარებლო კალათის პირველ ხუთეულში შემავალი პროდუქტების) ბიზნესები მონოპოლიზებულია რამდენიმე კომპანიის მიერ. ეს ბაზარი ხშირ შემთხვევაში ყველა ქვეყანაში მონოპოლიზებულია.

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ახალი ინიციატივები წარმოადგინა

სალომე ძაძამია

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გუშინდელ მთავრობის სხდომაზე ახალი ინიციატივების შესახებ ისაუბრა. ნიკა გილაურმა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს მიმართა, მუშაობა გააააქტიურონ. კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა სამინისტროს დაავალა, შექმნას ცხელი ხაზი, რომელიც კერძო სექტორის პრეტენზიების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე იმუშავებს.

როგორც ნიკა გილაურმა აღნიშნა, თუ საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტები არასწორად მოიქცევიან, ეს საკითხი აუცილებლად იქნება განხილული; შესაბამისი ინფორმაცია უნდა ჰქონდეს როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე საგამოძიებო დეპარტამენტს.

ამასთან, ეკონომიკის სამინისტროს დაევალა, მაქსიმალურად გააააქტიუროს მუშაობა საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, ხელი შეუწყოს ქართულ კომპანიებს და ბიზნესმენებს უცხოეთში ბიუროკრატიის გადალახვის, ასევე ხშირად შექმნილი პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში.

ნიკა გილაურის განცხადებით, არის შემთხვევები, როდესაც უცხოეთში ქართულ კომპანიებს პრობლემები ექმნებათ და ეს მაქსიმალურად უნდა იყოს მოგვარებული საქართველოს მთავრობის მიერ.

"მთავრობის ერთ-ერთი ფუნქცია უნდა იყოს, რომ ქართველ ბიზნესმენებს ხელი შეუწყოს ექსპორტის განხორციელებაში, ინვესტიციების მოზიდვაში და ასევე, ვაჭრობაში," - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ამას გარდა, ეკონომიკის სამინისტრომ უნდა შექმნას მცირე განყოფილება, რომელიც სწორედ ამ მიმართულებით იმუშავებს და ქართველ ბიზნესმენებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება.

მთავრობის მორიგ სხდომაზე სამინისტროები წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოსა და მომავალი გეგმების პრეზენტაციებს გამართავენ. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა.

მისი თქმით, აუცილებელია, საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია წლის განმავლობაში სამინისტროების ანგარიშის შესახებ, ასევე, ცნობილი გახდეს 2010 წლის გეგმების შესახებაც. როგორც გილაურმა აღნიშნა, 2010 წლის პოლიტიკა უკვე განსაზღვრულია, ცნობილია ბიუჯეტიც და ამიტომ სამომავლო გეგმებზე ინფორმაციის ჩამოყალიბება აუცილებელია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური: "მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტროს მიერ ბევრი კარგი რამ გაკეთდა. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. 2010 მძიმე წელი იქნება, რადგან სახელმწიფოში ბევრი რეფორმაა ჩასატარებელი."

როგორც მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, საქართველოს ეკონომიკის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები ერთიან ვებგვერდს შექმნიან, სადაც დაიდება სრული ინფორმაცია გაყიდვაში არსებული სახელმწიფო ობიექტების შესახებ. ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა მთავრობის წევრებს სპეციალური დავალებები უკვე მისცა.

მისი თქმით, ეს მოქალაქეებს და მეწარმეებს სრული ინფორმაციის მიღებას გაუადვილებს, რადგან დღეს ობიექტების გაყიდვას სამი სხვადასხვა უწყება ახორციელებს. ეს არის ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და იუსტიციის სამინისტრო.

ნიკა გილაური ეკონომიკის სამინისტროს უცხოეთში ქართული კომპანიების პრობლემების აღმოსაფხვრელად გააქტიურებას სთხოვს. როგორც პრემიერმა განაცხადა, "ეკონომიკის სამინისტრო მაქსიმალურად უნდა გააქტიურდეს, რათა ქართულ კომპანიებს უცხოეთში ბიუროკრატიის გადალახვაში ხელი შეუწყოს. არის შემთხვევები, როდესაც ქართველ ინვესტორებს, ქართულ კომპანიებს უცხოეთში გარკვეული პრობლემები ექმნებათ. მათ დასახმარებლად ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ქართველ ინვესტორებს უცხოეთში ხელი შევუწყოთ." ამასთან, იგი გამოვიდა ინიციატივით, ჩამოყალიბდეს თუნდაც მცირე განყოფილება, რომელიც ამ კუთხით ინფორმაციას მიიღებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი ქვეყანაში კორუფციის დონესთან დაკავშირებით ორგანიზაცია "ტრანსფარანტ ინტერნეიშენალის" მიერ გამოქვეყნებულ მაჩვენებელს დადებითად აფასებს.

როგორც პოლოლიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, აღნიშნული მაჩვენებლის დაფიქსირება მნიშვნელოვანია საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისითაც. ეკონომიკის მინისტრის თქმით, ინვესტორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში კორუფციის დონე მინიმუმადე იყოს დაყვანილი.

რაც შეეხება "ტრანსფარანტ ინტერნეიშენალის" კვლევას, გასულ წელთან შედარებით, საქართველომ კორუფციის დონის თვალსაზრისით პოზიცია ერთი ადგილით გაიუმჯობესა და 66-ე ადგილზე დაფიქსირდა.

ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 80.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2009 წლის ოქტომბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 80.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. როგორც "პირველს" საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, აღნიშნული მაჩვენებელი 0.3 მლნ აშშ დოლარით ანუ 0.3%-ით მეტია სექტემბრის ანალოგიურ მონაცემზე. როგორც ბანკში აცხადებენ, ფულადი გზავნილების მოცულობის ზრდა ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების 0.7 მლნ აშშ დოლარით, ანუ 1.7%-ით მატებამ გამოიწვია. ამასთან, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 88.6% 8 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე - რუსეთზე, თურქეთზე, იტალიაზე, უკრაინაზე, აშშ-ზე, ესპანეთზე, კვიპროსსა და საბერძნეთზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ ოქტომბერში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ამავე ქვეყნებზე მიმდინარე წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 89.7% მოდიოდა. **პირველი**

მერია კერძო სახლების აშენების მსურველებს პროექტებს თავად შესთავაზებს

თბილისის მერია კერძო სახლების აშენების მსურველებს პროექტებს უსასყიდლოდ თავად შესთავაზებს.

ქალაქის არქიტექტურის სამსახურმა პროექტებზე კონკურსი სექტემბრის ბოლოს გამოაცხადა. წარმოდგენილი 100 პროექტიდან მერია 40 საუკეთესოს ამოარჩევს და თავის ვებ-გვერდზე განათავსებს. ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, ქალაქის მუნიციპალიტეტის საიტზე შევიდეს და მისთვის საინტერესო პროექტი უსასყიდლოდ ამოირჩიოს. "კონკურსი მიზნად ისახავს პროექტს თბილისის გარეუბნებში და არა ძველ თბილისში, 250 კვადრატული მეტრის ნაგებობაზე. ეს პროექტები შესყიდული იქნება ჩვენ მიერ, აქედან საუკეთესო იქნება შერჩეული და შემდეგ ნებისმიერ მსურველს შეუძლია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის არა მარტო ესკიზური, არამედ კონსტრუქციული პროექტის არჩევა," - აღნიშნა თბილისის მერმა გიგი უგულავამ, რომელმაც დღეს სახლის რამდენიმე ესკიზი დაათვალიერა. მისი თქმით, მოქალაქეს შეუძლია, ერთ დღეში აიღოს ნებართვა, პროექტი და მშენებლობა მეორე დღესვე დაიწყოს. **მედიანიუსი**

"ექსპო-ჯორჯიაში" ხვალ სავაჭრო-სამშენებლო პროფესიების ბაზრობა გაიმართება

საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიაში" ხვალ სავაჭრო-სამშენებლო პროფესიების ბაზრობა გაიმართება. გამოფენა USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის ორგანიზებით ჩატარდება. გამოფენის ფარგლებში 50-ზე მეტი კომპანია იმ კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებს გაეცნობა, რომლებმაც პროფესიული განათლების ცენტრებში სწავლების კურსი გაიარეს. კონკრეტულად საუბარია თბილისში მდებარე სასწავლო ცენტრ "სპექტრსა" და გორის რაიონის ხიდისთავის სასწავლო ცენტრზე.

დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა მიეცემა, მომავალში დასაქმების პერსპექტივით, ერთთვიან უფასო, თორმეტი სხვადასხვა სამშენებლო სპეციალობის მოსამზადებელ კურსებზე ჩაეწერონ.

USAID-ის პროფესიული განათლების ორ წლიანი პროექტი შრომის ბაზრის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სამშენებლო და ტურისტულ სფეროში პროფესიული სწავლების განვითარებას ისახავს მიზნად. პროექტში სწავლება აშშ-ს სამხედრო ინჟინერთა კორპუსის სტანდარტებზე დაყრდნობით ხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

ეროვნულ ბანკში დღეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების ორი აუქციონი გაიმართა

ეროვნულ ბანკში დღეს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების ორი აუქციონი გაიმართა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სახაზინო ვალდებულებების N20 აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 175-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში 4 კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 25 500 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 4.750 პროცენტით, მაქსიმალური 4.950 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 4.907 პროცენტით განისაზღვრა.

სახაზინო ვალდებულებების N21 აუქციონზე კი 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 350-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. აუქციონში 3 კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 23 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო შეწონილი 8.450 პროცენტით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

ხვალ საქართველო-ფლანდრიის ბიზნესფორუმი გაიმართება

19 ნოემბერს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველო-ფლანდრიის ბიზნესფორუმი გაიმართება. ბიზნესფორუმს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილი დაესწრება.

აღნიშნული ფორუმი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ტარდება.

ფორუმის ფარგლებში ქართველ და ფლანდრიელ ბიზნესწრეების წარმომადგენლებს შორის ორმხრივი შეხვედრები გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეროვნულ არქივს ახალი ცხელი ხაზი აქვს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს ახალი ცხელი ხაზი აქვს. ტელეფონის ნომერზე - 140 505 მოქალაქეებს შეუძლიათ, მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიიღონ ეროვნული არქივის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ეროვნული არქივის ცხელ ხაზზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე დასაქმდა. მას მუშაობის დაწყებამდე არქივის საქმიანობასა და ფუნქციებთან დაკავშირებით სპეციალური სწავლება ჩაუტარდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება იუსტიციის სამინისტროს პროექტია. სამინისტროს სისტემაში ამჟამად 30-მდე შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანი მუშაობს. **ინტერპრესნიუსი**

თაღლითობის ფაქტზე ორი პირი დააკავეს

შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტმა თაღლითობის ფაქტზე თამაზ ხაჩირიშვილი და ზამირი ბაკურაძე დააკავეს. დაკავებულები კერძო მეწარმეებსა და საავჭრო ობიექტების მფლობელებს საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებად ეცნობოდნენ და ფულს სძალავდნენ. თაღლითობისას ისინი შეცვლილი სახელით და გვარით მოქმედებდნენ. დაკავებულებს 4-იდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ჯი-ეიჩ-ენი**

ადვოკატებმა უზენაეს სასამართლოს ახალი მტკიცებულებები გადასცეს

ჯოზეფ ქეის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერების სიყალბე ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლომაც დაადასტურა. ამის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ განაცხადა. ბირკაიას ინფორმაციით, გუშინ პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატებმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ ახალი მტკიცებულებები გადასცეს.

მისივე თქმით, მტკიცებულებები სრულად ავსებენ სასამართლო დოკუმენტაციის სფეროში წამყვანი საერთაშორისო სამართლის ექსპერტის გას რ. ლესნევიჩის დასკვნას, რომლის თანახმადაც, ჯოზეფ ქეის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე ბადრი პატარკაციშვილის ხელმოწერები ყალბია. "ლონდონის სასამართლოს საექსპერტო ბიუროს ექსპერტიზის საგანი იყო ანდერძის თერთმეტი სხვადსხვა ვარიანტი, რომლებზეც თითქოს ბადრი პატარკაციშვილმა ერთ დღეს მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ 11-დან ოთხი ხელმოწერა სრულიად იდენტურია, ანუ "დაკოპირებულია". ასევე, ექსპერტიზა ჩაუტარდა ჯოზეფ ქეისა და ემანუილ ზელცერის ინტერესებში მოქმედი ნოტარიუსის მიერ ანდერძის წინასწარ დამოწმებულ კიდევ ოთხ დამატებით ვარიანტს, პატარკაციშვილის ხელმოწერის გარეშე," - განცხადა ბირკაიამ.

მისივე თქმით, სულ ექსპერტიზის საგანს წარმოადგენდა სამოცდაათზე მეტი ყალბი დოკუმენტი, სადაც ანდერძის განმკარგავად ზოგ შემთხვევაში ჯოზეფ ქეი, ზოგ შემთხვევაში კი ემანუილ ზელცერი იყვნენ დასახელებული. **"ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ექსპერტის დასკვნის თანახმად, ყველა ეს საბუთი ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ არის შექმნილი. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ლონდონის სასამართლომ ჯოზეფ ქეის პირადი აქტივები დააყადაღა. გარდა ამისა, განახორციელა მისი ლონდონის ოფისის ჩხრეკა, საიდანაც ამოღებულია დოკუმენტაცია, რომელსაც ლონდონის სასამართლო დამატებით შეისწავლის,"** - განაცხადა ბირკაიამ.

მისივე თქმით, ლონდონის სასამართლომ დავის საბოლოო დასრულებამდე უარი განაცხადა ჯოზეფ ქეის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე - განკარგოს პატარკაციშვილის ქონება. **"ლიხტენშტეინის სასამართლომ გამოააშკარავა ქეის წარუმატებელი მცდელობა, მიეთვისებინა პატარკაციშვილის ოჯახის აქტივები. ხოლო გიბრალტარის სასამართლომ ქეის აქტივების კონტროლის უფლება ჩამოართვა. ახლა ქართული მართლმსაჯულების ჯერია. თუ მტკიცებულებებს საქართველოს სასამართლო არ გაითვალისწინებს, საქმე სტრასბურგის სასამართლოში წავა,"** - განაცხადა ბირკაიამ.

პრესკონფერენციას ნანა და მზია პატარკაციშვილები, ასევე, ოჯახის პრესმდივანი ნონა ყანდიაშვილიც ესწრებოდნენ. **ინტერპრესნიუსი**

მუხროვანის ამბოხში ბრალდებულთა პროცესზე მოწმეთა დაკითხვა დასრულდა

თბილისის საქალაქო სასამართლოში, მუხროვანის სამხედრო ამბოხში ბრალდებულთა სასამართლო პროცესი განახლდა, რომელზეც სასამართლო მიმდინარეობის ერთი ეტაპი დასრულდა - მოსამართლემ ყველა ის მოწმე დაკითხა, რომელიც საქმესთან დაკავშირებული იყო. მომდევნო სასამარლო პროცესზე, რომელიც დღეს გაიმართება, საქმის წარმოების მორიგი ეტაპი დაიწყება - მხარეები შუამდგომლობების დაყენების ინიციატივით გამოვლენ.

დღევნდელი სასამართლო პროცესიდან მასალების გამოქვეყნება დაიწყება, რის შემდგომაც მოსალოდნელია არაერთი შუამდგომლობის დაყენებაც. ბრალდების მხარემ, საქართველოს პროკურატურამ პროცესზე მოწმეთა დაკითხვის დასრულების მიუხედავად, მაინც მოითხოვა ერთ-ერთი მოწმის, ზირაკიშვილის განმეორებთ დაკითხვა. მოსამართლემ დაკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა. ზირაკიშვილი სწორედ ის მოწმეა, რომელიც აცხადებს, რომ კობა ოთანაძე თავად მიიყვანა მუხროვანის სამხედრო ბაზაზე.

სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი ბრალდებულის კობა კობალაძის ადვოკატის განცხადებით, მართალია, ზირაკიშვილის განმეორებით დაკითხვა მოწმეთა დაკითხვის დასრულების შემდგომ პროცესუალური ნორმების დარღვევაა, მაგრამ მოცემულობაში ვერაფერს შეცვლის.

მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ამბოხებაში ბრალდებულებს ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის მცდელობა და დაუმორჩილებლობა ედებათ ბრალად.

41 ბრალდებულიდან 16-მა ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა და ბრალი არ აღიარა, 13-მა კი პროკურატურასთან საპროცესო გარიგება გააფორმა. **მედიანიუსი**

ბავშვებზე ძალადობა

საქართველოში ბევრს შეგნებული არ აქვს რას ნიშნავს არასრულწლოვანებზე ძალადობა. ფსიქოლოგების განმარტებით, ძალადობა ეს არის კონტროლისა და დათრგუნვის საშუალება, რომელიც მოიცავს ემოციურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ, სექსუალურ იძულებას, დათრგუნვას და ზიანს. ის შეიძლება იყოს ღია (მაგალითად ფიზიკური), ან ფარული (მუქარა, დევნა, მოტყუება). ძალადობაა ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შელახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება.

ოლიკო ცისკარიშვილი

ბავშვთა ძალადობის სხვადასხვა ფორმები არსებობს. მათ შორის ნებისმიერი ფიზიკური მოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმშიმის დაზიანებას (ცემა, ხელისკვრა, პანღურის ამორტყმა, დაწვა, კბენა, მოგუდვა, ნჯღრევა, ჩქმეტა, ნემსით ჩხვლეტა, განსაკუთრებული დასჯის გამოყენება - წამება, ბნელ ადგილას ჩაკეტვა, ისეთი სამუშაოების შესრულების მოთხოვნა, რომელსაც ბავშვი ვერ გაუმკლავდება, იარაღით დამუქრება და სხვა), სიტყვიერი ან ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირება (მუქარა, დაშინება, დაბრალება, დაცინვა, ურთიერთობების შეზღუდვა, ინტერესების გაუთვალისწინებლობა და სხვ), ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ან გამორჩენის მიზნით (სექსუალური რეპლიკების დევნა, ეროტიული აკლერსი, თვალთვალი, პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, ინცესტი, სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვ), ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვ) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო, ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

სპეციალისტთა მტკიცებით, ბავშვთა მიმართ ამგვარი ძალადობები უკვალოდ არ ქრება და შედეგად ხშირად ვიღებთ შედეგად: მათ სიკვდილს სკოლამდელ ასაკში, მომავლის შიშს, კონფლიქტებს, აგრესიულობას, უვითარდებათ დაბალი თვითშეფასება, იზიანებენ თავს, უქვეითდებათ სასკოლო უნარები (მეხსიერება, ყურადღება, ადაპტაცია). ხშირია ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის დარღვევები, ხშირად სახლიდანაც გარბიან, ეძალებიან ალკოჰოლს და ხდებიან ნარკოტიკების მომხმარებლები, ექცევიან კრიმინალური სამყაროს გარემოცვაში, მისდევენ პროსტიტუციას და თავადაც ხდებიან მოძალადენი.

"ბავშვები ხშირად არაფერს ამბობენ მათ მიერ გამოვლენილ ძალადობაზე, რადგან ფიქრობენ, რომ მათ არ დაუჯერებენ, ან მოძალადოს ეშინიათ, ანდა ფიქრობენ, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან, ან უხერხულობოს და სირცხვილის განცდები აწუხებთ. ბავშვებს ხშირად არ ესმით, რომ მათ ზიანი მიაყენეს, ან თავად თვლის თავს დამნაშავედ და დასჯის ეშინია. ან მოძალადეს იცავს, რომ არ დააპატიმრონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა მოძალადე ბავშვის ახლობელი ადამიანია. მშობლები კი თვლიან, რომ ოჯახში მომხდარი ძალადობის შემთხვევა ხშირად "ოჯახის საქმეა" და სხვას არ ეხება," - ამბობს ქეთევან თავართქილაძე ბავშვთა დახმარების ცენტრის წარმომადგენელი. მისივე ინფორმაციით, შარშან ივლისის თვეში ბავშვებზე ძალადობის ექვსი ფაქტი დაფიქსირდა, მათ შორის ოთხ შემთხვევაში დედა იყო მოძალადე.

ცოტა ხნის წინ, საქართველოსა და ესტონეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობენ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ჩაატარეს ერთობლივი კვლევა. (პროექტის პარტნიორები არიან ესტონეთის ღია საზოგადოება და საქართველოს ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი.) კვლევა ეხებოდა, როგორც ოჯახურ ძალადობას, ასევე ძალადობას ბავშვებზე. გამოითხა, როგორც ექიმები, ასევე პოლიციის თანამშრომლები.

გამოკითხვების თანახმად, ქართველ პოლიციელთა უმრავლესობა და პედიატრების მესამედი ფიქრობს, რომ ბავშვებზე ძალადობა საქართველოში დახურული თემაა. საქართველოში გავრცელებულია ბავშვებზე ისეთი სახის ძალადობა, როგორიცაა "შესანჯღრევი ბავშვის სინდრომი", მას ყოველდღიურ პრაქტიკაში ხვდებიან პედიატრების 17 პროცენტი.

კვლევების თანახმად, საქართველოში ბავშვებში ფართოდაა გავრცელებული ნარკომანია. ბავშვ-ნარკომანებსა და ტოქსიკომანებთან ყოველკვირეულად პედიატრების 12 პროცენტს აქვს შეხება. ბავშვები, რომლებიც არიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი ყოველთვიურად პედიატრების 10 პროცენტს აქვს შეხება.

პედიატრების 47 პროცენტის შეფასებით, საქართველოში, ოჯახებში მიღებულია ბავშვების მსუბუქად ფიზიკური დასჯა, მათ შორის შემოლაწუნება, როზგი და თმებით თრევა. საქართველოში პედიატრთა 97 პროცენტი თვლის, რომ ბავშვების ცემა დაუშვებელია. ექიმთა აზრით, ბავშვებს ძირითადად მამები ურტყავენ, იშვიათად დედები. პედიატრების 15 პროცენტს პრაქტიკაში ქონიათ შემთხვევა, როცა ბავშვი ფიზიკური და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ყოფილა, რის გამოც ბავშვი საავადმყოფოში მოუთავსებიათ. ბავშვთა ძალადობის შემთხვევების გამო, პედიატრთა 18 პროცენტო კი იძულებული იყო მიემართა დახმარებისთვის პოლიციისთვის. პედიატრთა 15 პროცენტს თითქმის ყოველწლიურად ჰქონიათ შემთხვევები, როცა მშობლები ყიდიდნენ შვილებს უცხოელებზე. თუმცა არის შემთხვევები, რომ ბავშვების კეთილდღეობის მიზნით გაუშვილებიათ უცხოელებზე, რადგან ოჯახს არ შეეძლო პატარის რჩენა. პედიატრთა 94 პროცენტი თვლის, რომ ქუჩის ბავშვების სიმრავლის პრობლემა გამოწვეულია მათი მშეობლების სიდუხჭირით, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოში გამეფებული უმუშევრობის შედეგს. პოლიციელებთა აზრით კი ქუჩაში ბავშვები იმიტომ ხვდებიან, რომ გარდა სიდუხჭირისა, გაურბიან ნარკომან ან ლოთ მშობლებს. უმთავრესი მიზეზი კი ოჯახში მათზე ძალადობაა. ასევე ფიქრობს პედიატრთა 32 პროცენტი. გამოკვლევების თანახმად, ექიმები თვლიან, რომ თბილისში საშუალოდ 1000-მდე უსახლკარო ბავშვია, რომელიც ქუჩაში ცხოვრობს.

პედიატრთა 38 პროცენტი კი თვლის, რომ ქუჩის ბავშვების სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ბევრი ოჯახია მრავალშვილიანი, ასეთ ოჯახებში მშობლებს არ შეუძლიათ ყველა ბავშვის აღზრდა. ყოველი მეოთხე ექიმის შეფასებით, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბავშვები ქუჩას ამჯობინებენ, ოჯახში მათზე სექსუალური ძალადობაა. გოგონები, რომლებიც პედოფილიის მსხვერპლები არიან ყოველი მეათე გინეკოლოგს ქონია შეხება. გინეკოლოგების ოთხ პროცენტს თავის პრაქტიკაში კონკრეტული შემთხვევა ქონია. გინეკოლოგთა 9 პროცენტი კი არ არის დარწმუნებული მსხვერლი, პედოფილიის მსხვერპლი იყო თუ არა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძალადობის შემთხვევები დაუსჯელი დარჩა. გამოკითხულ პედიატრთა 59 პროცენტი აღიარებს, რომ საქართველოში ბავშვთა პროსტიტუცია არსებობს. პედიატრთა 18 პროცენტი თვლის, რომ საკმაოდ გავრცელებულია ბავშვთა გაყიდვა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, ყოველი მეათე პოლიციელს ქონია შემთხვევა პედოფილიისა და ინცესტის ფაქტთან. მსხვერპლთა უმრავლესობა გოგონებია. სავარაუდოდ, ბიჭების შემთხვევები გაცილებით გაუხმაურებელია და პოლიციელებამდე არ მიდის. გამოკითხულ პოლიციელთა 40 პროცენტი ამბობს, რომ ქონიათ შემთხვევები, როცა მშობლები შვილებს უცხოელებზე ყიდიან და ბავშვთა პროსტიტუციაც საკმაოდ გავრცელებულია. გავრცელებულია ბავშვებით ვაჭრობა მათი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, თვლის ყოველი მეათე გამოკითხული საპატრულო პოლიცილი. გამოკითხულ პოლიციელთა აზრით, კი სახელმწიფომ აქტიურად უნდა დაიწყოს ბრძოლა ყველა იმ უფლებააყრილი ბავშვისთვის, რომლებიც არიან ძალადობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლნი. პირველ რიგში ყურადღებას მოითხოვენ ქუჩის ბავშვები და ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი.

საქართველოში დაფიქსირებულია ფაქტები, როდესაც შვილზე სექსუალური ძალადობის გამო, ცოლი კლავს მეუღლეს. ცოტა ხნის წინ ქვემო ქართლელმა ქალმა ნაჯახით მოკლა თავისი ქმარი და სარდაფში დამალა, მას შემდეგ რაც ქალიშვილზე ქმრის სექსუალური ძალადობის შესახებ შეიტყო. ამგავარი ბრალდებით ქართულ ციხე-კოლონიებში რამდენიმე ქალი პატიმარი იხდის სასჯელს.

გია არსენიშვილი "იუნისეფს" დახმარებას სთხოვს

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი გატაცებული ბავშვების დაბრუნებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ სთხოვს დახმარებას. ეს საკითხი გია არსენიშვილმა "იუნისეფის" წარმომადგენლებთან შეხვედრისას დააყენა.

როგორც შეხვედრაზე "იუნისეფის" ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბენჟამენ პერკსმა განაცხადა, "იუნისეფმა" ჟენევის მოლაპარაკების მხარეებს გაერო-ს ელჩის დახმარებით წარუდგინა თხოვნა, სასწრაფოდ გადაწყდეს საკითხი, ბავშვების უფლებები იყოს დაცული საქმის წარმოების დროს და ამ ბავშვებს ჰქონდეთ მშობლებთან შეხვედრის საშუალება. "იუნისეფი", რომელიც არის გაეროს ორგანიზაცია, იმედოვნებს, რომ რუსეთი, როგორც გაეროს წევრი ქვეყანა, "იუნისეფის" პოზიციას გაიზიარებს და ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შეიქმნება ბავშვთა უფლებების საბჭო. ამ საბჭოს მეთვალყურეობას გაუწევს გაერო-ს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში. არსენიშვილის განმარტებით, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ, თუმცა მიაჩნია, რომ მაინც რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც გამოიხატება ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლებში, მათ მიმართ ძალადობასა და სუსტი მექანიზმების არსებობაში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა საბჭო, რომელიც იხელმძღვანელებს საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების პრინციპებით.

"საბჭოს ძირითად ამოცანად სწორედ ბავშვთა უფლებათა კონვენციის განხორციელების და გაერო-ს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი იქნება," - განმარტავს არსენიშვილი და დასძენს, რომ საბჭო ასევე შეიმუშავებს საკანონმდებლო ინიციატივებისა და პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციებს.

ჯი-ეიჩ-ენი

აშშ-ს აზიური პოლიტიკის შეცვლა სჭირდება

პირველი გვერდიდან

მაგრამ ის მსოფლიო პრაქტიკულად გაქრა. იაპონია აღდგა და მსოფლიოში სიდიდით მეორე ეკონომიკის ქვეყნად იქცა. მაოისტური ჩინეთი მხოლოდ განსვენებული ლიდერის პორტრეტების სახით შემორჩა. ვიეტნამი გლობალურ ეკონომიკას შეუერთდა. სამხრეთ კორეამ ჩრდილოთ კორეას გადაუსწრო. სხვა ქვეყნები კი, ავსტრალიიდან ინდოეთამდე, მზად არიან, რეგიონში სტაბილურობა უზრუნველყონ.

ცოტა ხნის წინათ მომხდარი საზღვაო შეტაკება მოწმობს, რომ კონფლიქტის პოტენციალი ჯერ კიდევ არსებობს. თუმცა ისეთი მოწინააღმდეგის მონაწილეობის გარეშე, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ეს კონფლიქტი ნაკლებად სახიფათოა. ყველასათვის აშკარაა, რომ ჩრდილოეთ კორეა თავისი სამხრეთელი მეზობლისთვისაც კი არ წარმოადგენს საფრთხეს. სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ სეული თავისი სამხედრო ძალების გაზრდას სულაც არ ფიქრობს და სავარაუდო ანტაგონისტის სუბსიდირებას წლების განმავლობაში განაგრძობს?

ამავე დროს ამერიკის ცივი ომის დროინდელი კავშირები უცვლელი რჩება. ფაქტი, რომ ვაშინგტონი აღმოსავლეთ აზიაში დომინანტი უნდა იყოს, ისე განიხილება, როგორც სრულიად ბუნებრივი მოვლენა. ამერიკა უპასუხოდ ტოვებს იაპონიისა და სამხრეთ კორეის მოთხოვნებს მათ ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალების შემცირებისა და სამხედრო ბაზების გაუქმების შესახებ. ხოლო ჩინეთის სურვილი, შექმნას არმია, რომელიც მის საზღვრებთან ამერიკული ინტერვენციის შეჩერებას შეძლებს, ამერიკისთვის საფრთხედ განიხილება. როგორც ჩანს, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საფუძველი ასეთია: ყველაფერი ყოველთვის ისე უნდა იყოს, როგორც აქამდე იყო.

ობამას ადმინისტრაციამ სხვა კურსი უნდა აირჩიოს. მთავარი აქცენტი ეკონომიკურ ინტეგრაციაზე უნდა გააკეთოს და სხვადასხვა ქვეყნებიდან ჯარების გამოყვანაზეც დაიწყოს ფიქრი. ვაშინგტონს დღემდე აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური როლი, მაგრამ უსაფრთხოების ბერკეტები მან რეგიონის ქვეყნებს უნდა გადასცეს.

XII საუკუნეში ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობა ამჟამინდელ ზესახელმწიფოსა და მომავალ ზესახელმწიფოს შორის ურთიერთობა იქნება. ვაშინგტონმა ჩინეთთან ეკონომიკური და სავაჭრო კავშირი უნდა განამტკიცოს, რაც ღია ბაზრის შენარჩუნებასა და არსებული პრობლემების მოგვარებას მოითხოვს. გასარკვევია ისეთი სადავო საკითხებიც, როგორიც არის იუანის ფასი. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ვაშინგტონი თავის საკუთარ საბიუჯეტო პოლიტიკაშიც გაერკვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, ჩინეთს ამერიკაში ფასიანი ქაღალდების შეძენის სურვილი დაეკარგოს.

გარდა ამისა, აშშ-მ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს რეგიონის ქვეყნებთან ისეთი რთული საკითხის მოსაგვარებლად, როგორიც ჩრდილოეთ კორეის პრობლემაა. ჩინეთისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს კორეის ნახევარკუნძულზე სტაბილურობა. ამერიკის პრეზიდენტი უნდა ეცადოს პეკინის დარწმუნებას, მხარი დაუჭიროს აშშ-ს ახალ პოლიტიკას ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ ფხენიანი პრობლემის მშვიდობიან მოგვარებაზე უარს იტყვის, პეკინი გადამწყვეტი ნაბიჯებისთვის მზად უნდა იყოს. ჩრდილოკორეული გეოპოლიტიკური ბომბის წარმატებული გააუვნებელყოფა რეგიონს სწორედ იმ "სტრატეგიულ თავდაჯერებას" შესძენს, რომელსაც ადმინისტრაცია ასე ხშირად ახსენებს.

შეერთებულმა შტატებმა ღიად უნდა ილაპარაკოს ადამიანის უფლებების დაცვაში არსებულ პრობლემებზე და ამავე დროს უნდა აცნობიერებდეს, რომ ჩინეთის ქმედებებზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს. უნდა ვივარაუდოთ, რომ პეკინს თავისი მოქალაქეების პატივისცემას უფრო მეტად აიძულებს გაუმჯობესებული საერთაშორისო ურთიერთობები, ვიდრე იზოლაცია.

ამერიკელი პრეზიდენტისთვის კიდევ ერთ რთულ გამოცდად იაპონია იქცევა, რომლის სათავეშიც ჯერ კიდევ "უცნობი" ხელისუფლება დგას. აშშ იაპონიასთან ისე უნდა მოიქცეს, როგორც თანაბარ პარტნიორთან. ეს ეკონომიკური თვალსაზრისით თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას ნიშნავს, ხოლო თავდაცვის თვალსაზრისით უსაფრთხოების სფეროში ორმხრივ ურთიერთობას გულისხმობს.

იმის ნაცვლად, რომ იაპონიაში მყოფ თავის სამხედრო ძალებს საკამათო სტატუსი შეუცვალოს, ვაშინგტონმა მათ გამოყვანაზე უნდა იფიქროს და იაპონიის დაცვა ტოკიოს მიანდოს. ვაშინგტონმა უნდა სცადოს, რომ იაპონიასა და მის მეზობლებს შორის პარტნიორობა გაუმჯობესდეს. ამერიკამ უნდა შეწყვიტოს საერთაშორისო ძიძის როლის შესრულება იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც უკვე დიდი ხანია, თავიანთი ინტერესების დაცვა თავადვე შეუძლიათ. ვაშინგტონმა უნდა სცადოს, რომ ჩრდილოეთ კორეასთან ბირთვული პროგრამის გამო არსებული პრობლემები თანამშრომლობით მოაგვაროს. კარგია, რომ ორმხრივი შეხვედრა მიმდინარე თვის ბოლოსთვის არის დანიშნული. ვაშინგტონმა ფხენიანი იმაშიც უნდა დაარწმუნოს, რომ საერთაშორისო ინტეგრაცია სამხრეთ კორეის, ჩინეთის, რუსეთისა და იაპონიის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნება.

პრეზიდენტმა ობამამ ურთიერთობებში ცვლილებებს უნდა დაუჭიროს მხარი და კონკრეტული სტრატეგიები შეიმუშაოს. მან უნდა გაიზიაროს მიდგომები, რომლებიც აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს თავიანთ საგარეო პოლიტიკაში აქვთ. ეს იქნება ნამდვილი "გადახრა" დღევანდელი პოლიტიკიდან, რომელიც სათავეს უკვე არარსებული ცივი ომიდან იღებს.

ვაშინგტონი ბევრად უფრო უსაფრთხოდ იქნება, თუკი მეგობრულად განწყობილი აზიური ქვეყნები ერთად იმუშავებენ და დესტაბილიზაციის წყაროებს წინააღმდეგობას გაუწევენ. კულტურული და ეკონომიკური თანამშრომლობა ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიისთვის, შესაძლოა, გრძელვადიანი და ორმხრივად სასარგებლო იყოს. რეგიონში ამერიკის სამხედრო როლის ტრანსფორმირებას დრო დაჭირდება, მაგრამ პრეზიდენტმა ობამამ რეგიონს ახალი, ვაშინგტონზე ნაკლებად დამოკიდებული ეპოქისკენ უნდა დააწყებინოს სვლა.

"ნეიშენალ ინტერესტ"-ის (აშშ)
მიხედვით მოამზადა მარიკა იაშვილმა

"კოზა-ნოსტრა" ვეტერინარის გარეშე დარჩა

"კოზა-ნოსტრას" ერთ-ერთი მეთაური დომენიკო რაკული, სიცილიის კუნძულზე მდებარე ქალაქ ტრაპანში დააპატიმრეს. 45 წლის "მიმო" - მას ასე მაფიის წევრები ეძახდნენ, იტალიელმა სამართალდამცველებმა 15-წლიანი ძებნის შემდეგ დააკავეს. მას სასამართლომ ჩადენილი მკვლელობებისთვის, მკვლელობის მცდელობისთვის და სხვა მაფიოზური საქმიანობისთვის სამჯერ დაუსწრებლად მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა. იგი ასევე ბრალდებულია გამოძალვასა და ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვაში.

მისი სახელი დაკავშირებულია დანაშაულთან, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისში მთელი ქვეყანა შეძრა. "კოზა-ნოსტრას" წევრებმა 13 წლის ჯუზეპე დი მატეო გაიტაცეს და 779 დღის განმავლობაში ჩაკეტილი ჰყავდათ. მას აწამებდნენ, შემდეგ კი გაგუდეს და ცხედარი მჟავათი სავსე ავზში ჩააგდეს. ჯუზეპე დი მატეო "კოზა-ნოსტრას" ყოფილი წევრის შვილი გახლდათ, რომელიც სახელმწიფოსთან თანამშრომლობას დათანხმდა.

რაკულის საცხოვრებელ სახლს, სადაც მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენენ, სამართალდამცველები გამუდმებით უთვალთვალებდნენ. თუმცა, მისი მეუღლე მაინც ახერხებდა მაფიოზი ქმრის ნახვას.

რაკული სამართალდამცველებისგან გაქცევას სახლის აივნიდან შეეცადა, თუმცა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის წარმომადგენლებმა მისი დაკავება შეძლეს. სახლიდან კი რამდენიმე პისტოლეტი, ფული და დოკუმენტები ამოიღეს.

მაფიის დაკავებულ წევრს, რომელსაც ზედმეტსახელად ვეტერინარსაც ეძახდნენ, კოზა-ნოსტრას "ნათლიმამის" ჯოვანი ბრუსკის შვილობილად თვლიდნენ. თავად "ნათლიმამას" დაკავება სამართალდამცველებმა ცოტა სნის წინ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში შეძლეს.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის რობერტო მარონის განცხადებით, "მიმო" "კოზა-ნოსტრას" სიაში მეორე ადგილს იკავებდა.

"მისი დაკავება, ორგაზენული დაჯგუფების წევრებისთვის, ერთ-ერთი სერიზული დარტყმა იქნება," - აღნიშნა მარონიმ.

იტალიის პოლიცია ნაბიჯ-ნაბიჯ აკავებს სიცილიის მაფიის "ნათლიმამებს". 1993 წლიდან გისოსებს მიღმა იმყოფება სიცილიის მაფიის ყოფილი უმაღლესი მეთაური ტოტო რიინა, რომლის ხელმძღვანელობითაც "კოზა-ნოსტრამ" სახელმწიფოს "ომი" გამოუცხადა. მაფიის წევრები ტერორისტულ მეთოდებს იყენებდნენ - კლავდნენ გამომძიებლებს და აფეთქებდნენ სხვადასხვა დაწესებულებებს. ტოტო რიინას დაკავებიდან 13 წლის შემდეგ, 2006 წელს მისი შვილობილი ბერნარდო პროვენცანო დააკავეს, რომელიც სამართალდამცველებს თითქმის 40 წლის განმავლობაში წარმატებით ემალებოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი მაფიის 3 ათას 500-მდე წევრი დააკავეს. 15 მათგანი განსაკუთრებით საშის დამნაშავეტა სიაში ირიცხებოდა.

პროექტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი 28 ოქტომბერი 2009 წელი
"ძველი თბილისის რაიონის გამგეობის მიერ გაცემული
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის მოსაკრებლის
გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ"

"საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის დარეგულირებისა და მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვის უზრუნველყოფის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძველი თბილისის რაიონის გამგეობიდან ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. ფიზიკური პირები გათავისუფლდებიან საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლისაგან, თუ გადასახდელის ჯამური ოდენობა არ აღემატება 2 ლარს.
3. ძველი თბილისის რაიონის გამგეობა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდგომ, გარდა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერთან (მის: შარტავას ქ. N7) მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

რაიონის გამგებელი დავით ავალიანი
შემსრულებელი:
იოსებ ქურდაძე

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია შპს "ირმა 2008"-ს, ირმა შაინიძეს და ემინე პეტრიძეს მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 1 დეკემბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე შპს "ირმა 2008" მის. ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის N4, დირექტორი ირმა შაინიძე მცხოვრები: ქობულეთი, ბარათაშვილის N12; ირმა შაინიძე მცხოვრები: ქობულეთი, ბარათაშვილის N12; ემინე პეტრიძე, მცხოვრები ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. N2.

მსოფლიო ახლო-აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის გადარჩენას ცდილობს

ისრაელსა და პალესტინელებს შორის ბოლო დღეებში გართულებულ ურთიერთობას საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების გარეშე არ ჩაუვლია. "24 საათი" უკვე წერდა პალესტინელების სურვილზე, ცალმხრივად მოითხოვონ თავიანთი დამოუკიდებლობის აღიარება გაერო-სგან და ისრაელის ძალიან მწვავე და მკვეთრ რეაქციაზე, რომელიც ასევე ცალმხრივი მოქმედებებით - ოკუპირებული ტერიტორიების ოფიციალური ანექსიით დაიმუქრა. გუშინწინ ევროკავშირმა, კერძოდ თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, რომ პალესტინის სახელმწიფოს აღიარების საკითხში აჩქარება არ არის საჭირო. მისი სიტყვებით, ევროკავშირი პალესტინას მომავალში აღიარებს, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის სახელმწიფო გახდება.

გუშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია გამოხატა ისრაელის მიმართ, რომელიც აღმოსავლეთ იერუსალიმის რაიონ გილოში 900 ახალი ბინის აშენებას აპირებს. პრეზიდენტი ბარაკ ობამა აცხადებს,. რომ ეს ხელს შეუშლის სამშვიდობო პროცესის გაგრძელებას. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც 1967 წლის ომამდე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ზონაში შედიოდა და შემდგომ იერუსალიმს შეუერთეს. ისრაელი აცხადებს, რომ გილო იერუსალიმის ნაწილია და იქ მშენებლობისთვის ცალკე ნებართვა საჭირო არ არის. პალესტინელები მოლაპარაკებების მაგიდასთან დაბრუნებას არ აპირებენ, ვიდრე ისრაელი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალ მშენებლობებს მთლიანად არ შეაჩერებს. საქმეში აქტიურად ჩაერთო საფრანგეთიც. რეგიონში იმყოფება ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი, რომელმაც გუშინ პალესტინელებთან გამართა მოლაპარაკებები და ავტონომიის დღევანდელ ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასს მოუწოდა, შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და იანვრის არჩევნებში კვლავ იყაროს კენჭი. კუშნერის აზრით, აბასი ისრაელთან მოლაპარაკებებში შეუცვლელი ფიგურაა. დღეს კუშნერი ისრაელში შეხვდება პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუსა და ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებს.

ამავე დროს საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც ვიზიტით საუდის არაბეთში იმყოფება, განაცხადა, რომ საფრანგეთი მზად არის, შეასრულოს შუამავლის როლი ისრაელსა და სირიას შორის მოლაპარაკებებში, რომლებიც, ცხადია, ისევ 1967 წელს ოკუპირებულ გოლანის მაღლობებს შეეხება. ამ საკითხში შუამავლის როლს აქამდე თურქეთი ასრულებდა, მაგრამ მოლაპარაკებები ერთი წლის წინათ ღაზის სექტორში კონფლიქტის გამო შეწყდა. სარკოზი თურქეთის ჩანაცვლებას აქამდეც ცდილობდა, მაგრამ ამ ინიციატივას სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ცივად შეხვდა. ისრაელის პრემიერი ნეთანიაჰუ კი აცხადებს, რომ მზად არის ბაშარ ასადს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეხვდეს.

ნიუ-იორკის პოლიციამ მსხვილი გაზეთების ოფისები გაჩხრიკა

17 ნოემბერს ნიუ-იორკის პოლიციამ რამდენიმე მსხვილი გაზეთის "ნიუ იორკ ტაიმსის", "ნიუ იორკ დეილი ნიუსის", "ნიუ იორკ პოსტისა" და ესპანურენოვან "ელ დიარიო ლა პრენსას" ოფისები გაჩხრიკა. ასევე ჩატარდა ჩხრეკა პრესის გამავრცელებელთა პროფკავშირების ოფისში. ეს პროფკავშირი იმ მძღოლებსაც აერთიანებს, რომლებიც ნიუ იორკისა და ქალაქის შემოგარენის გაზეთებს ავრცელებენ. მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილ გაზეთებსაც. ამ გაზეთების თანამშრომელთა ინფორმაციით, პოლიციელებს, ძირითადად, სწორედ პროფკავშირთან დაკავშირებული დოკუმენტები აინტერესებდათ, ამოღებულ იქნა აგრეთვე მონაცემები რედაქციების თანამშრომელთა შესახებ. ჩხრეკის კომენტირებისას მანჰეტენის სამხარეო პროკურორმა რობერტ მორგენტომ განაცხადა, რომ გამოძიებას მხოლოდ რედაქციების კომერციული საქმიანობა აინტერესებს და ჩხრეკას საგაზეთო სტატიებთან არავითარი კავშირი არა აქვს. მას უფრო დეტალურად არ უსაუბრია.

გაზეთების გაყიდვის მაჩვენებლით "ნიუ იორკ ტაიმსი" ამერიკაში მესამეა, "ნიუ იორკ დეილი ნიუსი" - მეექვსე, ხოლო "ნიუ იორკ პოსტი" - მეშვიდე. ესპანურენოვანი "ელ დიარიო ლა პრენსა" ლიდერებს შორის არ არის.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ევროკავშირისა და რუსეთის რთული სამიტი

ოთხშაბათს შვედეთში რუსეთ-ევროკავშირის მორიგი სამიტი ჩატარდა. სამიტზე მხარეები შეეცადნენ, დაეძლიათ წინააღმდეგობები ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიც არის ენერგეტიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, ადამიანის უფლებები და კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლა.

რუსეთის დელეგაციის, რომელსაც პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი ხელმძღვანელობდა, მიზანი იყო, სტოკჰოლმის შეხვედრაზე დაეჩქარებინა რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ მასშტაბური ხელშეკრულების ხელმოწერა. შეხვედრის წინ რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭიროა, განიხილონ, თუ როგორ აეწყობა რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობა ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. შვედეთის პრემიერ-მინისტრმა ფრედერიკ რეინფელდტმა იმედი გამოთქვა, რომ მოხერხდებოდა კლიმატის ცვლილებისა და ეკონომიკური პრობლემების ნაყოფიერი განხილვა.

ევროკავშირის მიზანს, თავის მხრივ, წარმოადგენდა გარანტიის მიღება (შარშანდელი მწარე გამოცდილების შემდეგ), რომ რუსეთი გაზს ევროპის ქვეყნებს შეუფერხებლად მიაწვდის. **"ჩვენ მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან, ჩვენ მათ ენერგორესურსებზე ვართ დამოკიდებულნი, მათთვის კი ჩვენ ენერგიის მომხმარებლები ვართ,"** - განაცხადა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე შტუბმა.

ორშაბათს რუსეთმა და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც საგანგებო სიტუაციაში გაზის მიწოდების შეფერხების შესახებ წინასწარ გაფრთხილებას და მასზე რეაგირებას გულისხმობს. არც ერთ მხარეს არ დაუმალავს, რომ ეს დოკუმენტი რუსეთიდან უკრაინის გზით საწვავის ტრანსპორტირებისას შესაძლო კრიზისის განმეორების თავიდან ასაცილებლად არის გამიზნული. "2008 წლის იანვრის მსგავსი ენერგეტიკული კრიზისი თანაბრად ზიანის მომტანია როგორც მიმწოდებლის, ასევე ტრანზიტორისა და მომხარებლისთვის. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ მსგავსი სიტუაცია აღარ განმეორდეს," - განაცხადა ევროკომისიის კომისარმა ენერგეტიკულ საკითხებში ანდრის პიებაგლსმა.

რუსეთ-ევროკავშირის სამიტამდე არსებობდა ინფორმაცია, რომ რუსეთი სტოკჰლომში შეხვედრის წინააღმდეგი იყო, რამდენადაც შვედეთის ლიდერებმა კრემლის მისამართით არაერთხელ გააკეთეს მკაცრი განცხადებები, სადაც ისინი რუსეთს ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ნორმების დარღვევაში ადანაშაულებდნენ. იქ ჩასვლა პირადად მედვედევსაც არ უნდოდა. წყაროთა მონაცემებით, რუსეთმა პოზიცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც შვედეთმა "ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობაზე თანხმობა განაცხადა. რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა გაუარესდა აგრეთვე 2008 წლის აგვისტოდან, როდესაც რუსეთის ჯარი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებდა ომს.

ევროკავშირისთვის ასევე მნიშვნელოვანია რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული პრობლემები. ევროკავშირის წარმომადგენლები ხშირად მიუთითებდნენ კრემლს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში უამრავი დარღვევების შესახებ, ახსენებდნენ მას ჟურნალისტთა მკველობებს და ოპოზიციის დევნას.

"ჩვენ მივესალმებით პრეზიდენტ მედვედევის სიტყვას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის შესახებ, თუმცა აუცილებელია ამ სიტყვების განმტკიცება კონკრეტული საქმეებით. რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებული სიტუაცია სერიოზულ შეშფოთებას იწვევს," - განაცხადა შვედეთის მინისტრმა ევროპის საქმეებში სესილია მალმსტრომმა. საპასუხოდ მოსკოვი დასავლეთს ორმაგი სატანდარტის გამოყენებაში ადანაშუალებს, ირწმუნება, რომ ევროპელი ლიდერები რუსეთის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებებს აყენებენ და მასზე ზეწოლის მოხდენას ადამიანის უფლებების თემით ცდილობენ.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის მეორე გადაუწყვეტელ პრობლემას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო) რუსეთის გაწევრიანების საკითხი წარმოადგენს.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ბოლო დროის განმავლობაში "ვმო"-ს ირგვლივ ერთმანეთის გამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ: ხან მოსკოვს ორგანიზაციაში გაწევრიანება მის მიარ შექმნილი საბაჟო კავშირის წევრებთან - ბელარუსთან და ყაზახეთთან ერთად სურს, ხან კი თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურად გაწევრიანებას ითხოვენ. **"ერთ-ერთი სირთულე, ცხადია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაა. მართალია, მედვედევმა თავის გამოსვლებში საკმაოდ საინტერსო განცხადებები გააკეთა, თუმცა მე განცვიფრებული ვიყავი, რომ ამ თემას ის არც კი შეხებია. ეს, ცხადია, რაღაცაზე მიუთითებს. რუსებთან დისკუსიის ერთ-ერთი თემა სწორედ ეს იქნება,"** - განაცხადა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა.

გარდა ამისა, შვედეთს, როგორც ევროკავშირის ხელმძღვანელ სახელმწიფოს, სურს მიაღწიოს რუსეთის მხარდაჭერას კლიმატური ცვლილებების საკითხში, რომელიც კოპენჰაგენის სამიტზე იქნება განხილული. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყანაში 2020 წლისთვის, 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით, მავნე გამონაბოლქვის 10-15 პროცენტით შემცირებას აპირებს. თუმცა, გარემოსდამცავი ორგანიზაციების აქტივისტები რუსეთისგან უფრო სერიოზული ნაბიჯების გადადგმას ითხოვენ.

ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ აღნიშნული სამიტი თავად ევროკავშირში მიმდინარე მასშტაბური რეფორმების ფონზე ტარდება. ამიტომ ევროპის ქვეყნების ლიდერები უფრო მეტად საკუთარი პრობლემების გადაწყვეტით არიან დაკავებულნი, ვიდრე სხვა ქვეყნებთან ურთიერთობით.

"ევროკავშირში ამჟამად 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ უმნიშვნელოვანესი ტრანსფორმაცია მიმდინარეობს. ამიტომ მთელი ყურადღება შიდა პრობლემატიკაზეა გადატანილი," - განაცხადა ბრიუსელში ევროპული პოლიტიკის ცენტრის დირექტორმა ანტონიო მისიროლიმ. **"ამ მომენტში ევროკავშირს არ შეუძლია, რუსეთს სერიოზული პოლიტიკური სიგნალები გაუგზავნოს, რამდენადაც ორგანიზაცია ლისაბონის ხელშეკრულების ფარგლებში სერიოზული შიდა რეფორმების წარმატებული განხორციელებით არის დაკავებული,"** - მიიჩნევს ექსპერტი.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მხარეებმა აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან სამიტის შედეგებით და მოხერხდა ყველა საინტერესო საკითხის განხილვა.

მოამზადა თამთა კახაძემ

მოსკოველ ადამიანის უფლებათა დამცველებს ძველ ოფისებში დატოვებენ

მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა უფლება დართო შესაბამის სამსახურებს, გაეგრძელებინათ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისთვის - მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფი და საზოგადოებრივი მოძრაობა "ცხელი ხაზი" - იმ ოფისების იჯარა, რომლებსაც ისინი 90-იანი წლების შუახანებიდან იკავებენ. ამის შესახებ განაცხადა მერის მოადგილემ, საკუთრებისა და მიწის ნაკვეთების კომპლექსის ხელმძღვანელმა ვლადიმირ სილკინმა. ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა მოსკოვში ადამიანის უფლებების საკითხში ახალი რწმუნებულის ალექსანდრ მუზიკანტსკის ოფიციალური მიმართვა მერის სახელზე. მანამდე ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს ოფისებიდან გასახლებას ყურით მოთრეული და სასაცილო ბრალდებების გამო უპირებდნენ (რემონტის საჭიროება და მათი თანამშრომლების "ცუდი ქცევა"), რაც, ცხადია, პოლიტიკური ნიშნით დევნის შესახებ განცხადებების გაკეთების საფუძვლად იქცა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

რევიუ

მისი შემოდგომის გაზაფხული

ომარ სააკაშვილის ფერწერა, გრაფიკა, კოლაჟი

თამარ კიკნაველიძე





25 ნოემბერს "ბაია გალერეაში" გაიხსნება გამოფენა, რომლის ავტორია ომარ სააკაშვილი. რითი გამოირჩევა ის? უპირველესად, მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფიითა და გამოცდილებით, რომელიც დააგროვა, როგორც მხატვარმა, ისე ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების სპეციალისტმა, პედაგოგმა და ა.შ.

ომარ სააკაშვილის ფერწერულ, გრაფიკულ, თუ კოლაჟის პრინციპით შესრულებულ ნამუშევრებს რამდენიმე დღეში ნახავთ და შეაფასებთ. იქვე შედგება პრეზენტაცია სასაჩუქრედ გამოცემული წიგნის "ფერადი სურნელი", რომელშიც მხატვრის მიერ შესრულებული გრაფიკული სერიიდან, სახელწოდებით "ჩემი შემოდგომის გაზაფხული", 45 ნამუშევარია შესული. მოსალოდნელ გამოფენასა და ავტორზე დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

შემოქმედებითი ბიოგრაფია

ომარ სააკაშვილი 1942 წლის 27 აპრილს, ქ. კასპში დაიბადა. 1956-61 წლებში სწავლობდა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ხოლო 1961-62 წლებში იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის თავისუფალი მსმენელი. 1963-68 წლებში მან სწავლა მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების ფაკულტეტზე გააგრძელა. სამშობლოში 1968 წელს დაბრუნდა და 1981 წლამდე საქართველოს მოდელების სახლის მხატვარ-მემოდელედ მუშაობდა. 1969 წლიდან მონაწილეობდა საგაზაფხულო, საშემოდგომო და რესპუბლიკურ გამოფენებში. იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის ქსოვილებისა და მოდელირების კათედრის ჯერ პედაგოგი, შემდეგ კი - გამგე (1974-81 წწ.), ალჟირის მსუბუქი მრეწველობის ნაციონალური ინსტიტუტის პედაგოგი (1982-86 წწ.), თბილისის სამხატვრო აკადემიის მოდელირების კათედრის ორმანემტისა და კოსტუმის კომპოზიციის სპეცკურსის პედაგოგი (1986-2006 წწ.) 1991 წელს მან სტაჟირება გაიარა იტალიასა და ესპანეთში. 2002 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

გამოფენებს რაც შეეხება, ის წარმატებით მონაწილეობდა პარიზის, დასავლეთ ბერლინის, პლოვდივის, ბრნოს, ზაგრების საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენებსა და ფესტივალებში, საიდანაც მთავარი პრიზებითა და ოქროს მედლებით ბრუნდებოდა. მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო თბილისში (1977, 1987, 2002, 2007, 2008), ალჟირში (1985, 1986), მოსკოვში (1987), კასპში (2004).

დღეს გადალახულია ტექნიკასთან დაკავშირებული პრობლემები. არადა, იყო დრო, როდესაც წარმოების ტექნიკური უზრუნველყოფა ფუფუნებად ითვლებოდა. ომარ სააკაშვილს დიდი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ საქართველოში ტრიკოტაჟის ნაწარმის მხატვრული გაფორმება და მოდელირება განევითარებინა.

ჩვენი დიალოგი მხატვრის სახელოსნოში დაიწყო. იქ მისი ყველაზე ადრეული, 1959 წელს შესრულებული ნამუშევარი აღმოვაჩინე. ამასთან დაკავშირებით, მხატვარმა სწავლის პერიოდი, მისი პედაგოგი ჯიბსონ ხუნდაძე გაიხსენა და გვითხრა: "მაშინ ბნი ჯიბსონი ახალგაზრდა კაცი იყო და ჩვენი აზროვნება შეცვალა. ის გვიყვებოდა იმპრესიონიზმზე, ფრანგულ მხატვრობაზე... იმ დროს თბილისის სამხატვრო აკადემიაში სულ 5 ფაკულტეტი იყო და თითოეულზეც 5 კაცს იღებდნენ. იქ ვერ მოვხვდი, წავედი რუსეთში და მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტში აღმოვჩნდი. თავდაპირველად, წარმოდგენაც კი არ მქონდა სად ჩავაბარე, მაგრამ არასოდეს მინანია, რადგანაც ეს სპეციალობა ჩემს ხასიათს მოერგო. თბილისში 1968 წელს დავბრუნდი და ტრიკოტაჟის მხატვარ-მოდელირების დარგში პირველი სპეციალისტი აღმოვჩნდი. საქართველოს მოდელების სახლში გამანაწილეს. მაშინ თბილისში ერთი ფაბრიკა მუშაობდა. მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დახმარებით, გერმანული, "ოქსინოდ" წოდებული ჟაკარდული მანქანები გამოვიწერე და მუშაობაც დავიწყე. ამ საქმემ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან შრომატევადი იყო, ჩამითრია და წარმატებებსაც მივაღწიეთ განვავითარეთ დარგი, შევქმენით მრავალფეროვანი ქსოვილები, ჩვენმა მოდელებმა მოწონება დაიმსახურა საერთაშორისო გამოფენებზე, საიდანაც ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა... მოგვიანებით, მიმიწვიეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქსოვილებისა და ტექსტილის მოდელირების კათედრაზე, სადაც ტრიკოტაჟის მოდელირებას ვასწავლიდი...

- რატომ წამოხვედით?

- არ წამოვსულვარ, გამომიშვეს... ვერ გავიარე კონკურსი, მიუხედავად იმისა, რომ 2002 წლიდან ვიყავი პროფესორი... ამაზეც ისევე მეტკინა გული, როგორც იმ 50 წლიან ისტორიაზე, რომელიც მოდელების სახლს ჰქონდა და სამწუხაროდ, დაიკარგა... აკადემიაში, იმის გარდა, რომ სტუდენტებს საკუთარ გამოცდილებას ვუზიარებდი, ნოდარ ცაგარელის ინიციატივით, თანამშრომლობის ხელშეკრულება გავაფორმეთ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოსთან და გაცვლითი გამოფენები გავაკეთეთ, მაგალითად: 1975 წლის 25 აპრილს, "ცისფერ გალერეაში" მოეწყო მათი უქსოვადი ქსოვილების გამოფენა, იმავე წლის ივლის-აგვისტოში კი ჩეხოსლოვაკიაში, ძირითადად, აკადემიის სტუდენტების მიერ თექაში შესრულებული ნამუშევრები ჩავიტანეთ... 1979 წელს შარდენის ქუჩაზე ავირჩიე ბინა, რომელიც ლაბორატორიად ვაქციეთ. ახლა იქ "გობელინის მუზეუმია" და კიდევ, სამხატვრო აკადემიის გალერეა "აკადემია +". მერე ქვეყანა აირია, მსუბუქი მრეწველობა განადგურდა და ფაბრიკებიც აღარ არსებობს... მოდელების სახლის შესანარჩუნებლად ვიბრძოდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, სამწუხაროდ...

და მიუხედავად იმისა, რომ თან სდევს ტკივილი, რომელიც მოდელების სახლსა და სამხატვრო აკადემიას უკავშირდება, მხატვრობა ყველაფერს წონის... რას გვთავაზობს გამოფენაზე? დაახლოებით, 40-მდე ნამუშევარს, რომელთაგან ორი "სულ ცინცხალია". მათ შორის ერთია დიდი ზომის ზეთში შესრულებული ტილო, სახელწოდებით "აგვისტო 2008 - საქართველო", სადაც ავტორის სათქმელი სიმბოლურია - აქ ნაჩვენებია ძალა, რომელიც უპირისპირდება მშვიდობას... სწორედ მშვიდობის თემას ეხმიანება მისი მეორე, უკვე გრაფიკული ნამუშევარი, რომელშიც ასახულია ჩვენი მისწრაფება როგორმე გავწევრიანდეთ ნატოში... ამ ნახატების გარდა, ვფიქრობ, არანაკლებ საინტერესოა დანარჩენი ნამუშევრები, რომლებიც ავტორმა სხავდასხვა წლებში შექმნა. მათ შორისაა ფერწერული ტილოები, პორტრეტები, რომლებიც კოლაჟის პრინციპით არის შექმნილი და მათში გამოყენებულია მხატვრის მიერ დამზადებული ტრიკოტაჟის ქსოვილები, რომლებიც კომპოზიციაში ოსტატურად არის ჩართული და საკმაოდ გამომსახველია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოფენის გახსნის პარალელურად, "ბაია გალერეაში" შედგება პრეზენტაცია წიგნისა, რომელზეც ომარ სააკაშვილმა მუშაობა 2008 წლის ივლისში დაიწყო, მაგრამ აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა მის მომზადებაში ხელი შეუშალა და პრეზენტაციის ხალისიც დაუკარგა. ავტორი მისი გამოცემისთვის ემადლიერება ბატონ ამირან ქორთიაშვილს და სააქციო საზოგადოება "ანა ჯგუფის" ხელმძღვანელობას. სასაჩუქრედ გამიზნულ ალბომში შესულია 45 გრაფიკული ნამუშევრის რეპროდუქცია. ის ეძღვნება ქალს, რომელიც მრავალფეროვანია. ალბომი არის ტექსტის გარეშე, ნამუშევრები ნატურალურ ზომაში და ცალ გვერდზეა მოცემული, რაც მათ აღქმას აადვილებს. ის იწყება ბესიკ ხარანაულის სიტყვებით: "ქალურ სინაზეს, სჩანს, რომ ძალას მატებს ყვავილი" და ყვავილის მოტივი, მართლაც, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ციკლში. ის რაც წიგნში არ შევიდა, მცირე რაოდენობით, გალერეაშიც გამოიფინება. მხატვარს განსახორციელებელი აქვს არაერთი ჩანაფიქრი, მათ შორისაა, ორნამენტისადმი მიძღვნილი ნაშრომის წიგნად გამოცემა, რომელსაც უსახსრობის მიზეზით ვერ ახერხებს. სააკაშვილების ოჯახის ხუთივე წევრი მხატვარია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მათ ერთმანეთის კარგად ესმით და ბ-ნ ომარსაც ეძლევა თავაუღებელი მუშაობის საშუალება. მისი შრომის შედეგს დამთვალიერებელი "ბაია გალერეაში" შეაფასებს.

ნაცისტების მემკვიდრეები მდიდრდებიან...

მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, მდიდარ ნაცისტთა ძვირფასი ნახატები და სხვა ნივთები დიდი ბრიტანეთის მუზეუმებში აღმოჩნდა.

დღემდე მუზეუმთა წარმომადგენლებს არ შეეძლოთ ნივთები ნამდვილი მეპატრონეების შთამომავლებისათვის გადაეცათ, რადგან კანონით აკრძალული იყო. ამის უფლება მხოლოდ უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მუზეუმებს ჰქონდათ. აღნიშნული მუზეუმები მემკვიდრეებს, სანაცვლოდ, ფონდიდან კომპენსაციას აძლევდნენ. მაგალითად, 2001 წელს, "ტეიტის" გალერეამ ნაცისტების მემკვიდრეებს 125 000 ფუნტი გადაუხადა იანა გრიფიტის ერთ-ერთი სურათისათვის. ახლა კი, ბრიტანეთში ახალი კანონი ამოქმედდა: მუზეუმებს უფლება მიეცათ ხელოვნების ნიმუშები კანონიერ მემკვიდრეთა შთამომავლებს გადასცენ.

2000 წელს, დიდ ბრიტანეთში შეიქმნა Spoliation Advistory Panel-ის კომისია, რომლის მისიაც რეპრესირებული გერმანელების ნაქონი ნივთების აღწერა იყო. აღნიშნულმა კომისიამ კვლევის შედეგად მუზეუმებში 20-ზე მეტი ნახატი აღმოაჩინა. მათ შორის, ლუკას კრანახის სურათი "კუპიდონის ჩივილი ვენერასადმი". ეს სურათი ოდესღაც ჰიტლერის კერძო კოლექციაში შედიოდა, შემდეგ კი ნაციონალურ გალერეაში ინახებოდა.

დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრი, - მარგარეტ ჰოჯი (Margaret Hodge), ისევე როგორც ინგლისის თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია, ამ კანონს დიდი სიხარულით შეხვდა. ევროპული კომისიის, - For Looted Art In Europe-ის წარმომადგენელი, ანა ვებერი (Ann Webber) კი ამას "წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს" უწოდებს.

ახალ კანონს მიესალმება გერმანიის კულტურის მინისტრი, ბერნ ნოიმანი (Bernd Neumann). მისი თქმით, მის თანამემამულეებს შესაძლებლობა ექნებათ დაიბრუნონ ის ღირებული ნივთები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს წითელმა არმიამ ქვეყნიდან გაიტანა.

ამ სიახლეს დადებითად აფასებს ძალიან გავლენიანი ებრაული გაზეთი "ებრაული ქრონიკა" (The Jewish Chronicle), რომელიც 1841 წლიდან დღემდე გამოდის.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ
ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ "24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ"
ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ **ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ**



ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲐᲚᲐᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ქართულ მხატვრულად გაფორმებულ ოთხთავთა შორის გამორჩეული ადგილი ალავერდის სახელწოდებით ცნობილ ხელნაწერს უჭირავს (ხელნაწერი დღეს დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში). დართული ანდერძის თანახმად, კოდექსი ანტიოქიის მახლობლად, შავი მთის კალიპოსის მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში დაახლოებით 1053-54 წლებშია გადაწერილი და მოხატული. მასში ვკითხულობთ: "დაიწერა კალიპოსს ღავრასა წმიდიასა ღმრთისმშობელისასა, მეფობასა კოსტანტი მონომახისსა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფისა ნოველისიმოსისა სამეუფოეს ყოფასა."

ნუსხა-ხუცურით შესრულებული სახარების ტექსტი გადაწერილია კარგად გამოყვანილ, სპილოსძვლისფერ ეტრატზე, ორ სვეტად. ოთხთავის ტექსტი, გიორგი მთაწმინდელის ანდერძის საფუძველზე, მიჩნეულია ოთხთავზე მუშაობის პირველ ეტაპად, როდესაც ათონელ მამას ორჯერ შეუდარებია ქართული ვერსია ბერძნული ტექსტისა და ადრეული თარგმანისათვის. ალავერდის ოთხთავი იმ გამონაკლის ხელნაწერთა რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც შესრულების ადგილთან ერთად, შემორჩენილია მომგებლის, სიმონის, და გადამწერთა გიორგის, მიქაელის და იოანე დვალის სახელები.

კალიპოსის მონასტერი შუა საუკუნეების ანტიოქიის შავი მთის სავანეთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. იგი მძლავრი სამწიგნობრო ცენტრიცაა, რომლის განსაკუთრებული აყვავება ძირითადად XI საუკუნეში ჩანს. კალიპოსის მონასტრის ზუსტი ადგილ-მდებარეობა დღეისათვის უცნობია, ჟამთა სიავემ იგი სრულიად გაასწორა მიწასთან.

XI-XVII სს-ის დანარჩენი ანდერძ-მინაწერებიც საინტერესო ინფორმაციას გვანვდიან ხელნაწერის შემდგომი ისტორიისა და მის "ფართო" გეოგრაფიულ არეალში "მოგზაურობის" შესახებ: 1059 წლის წარწერით ხელნაწერი შეიძინა ივანე პროედროსმა "ძემან ლიპარიტესამან პროედროსისა და პროტარხონისამან," რომელიც ბაგრატ "აფხაზთა და ქართველთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსმან გამოიყვანა კონსტანტიპოვლიტ... და მოვიდეს კაცხს." მან ხელნაწერი კაცხის ღმრთისმშობლის მონასტერს შესწირა. კაცხში ხელნაწერი დიდხანს არ დარჩენილა. XI საუკუნისავე წარწერა გვამცნობს, რომ ვინმე გიორგიმ ოთხთავი შეიძინა და შესწირა "უდაბნოსა ხანცთისასა." XVI საუკუნეში იგი სამცხის მთავრის ქაიხოსროს და მისი მეუღლის თამარის ხელშია. ხელნაწერი მემკვიდრეობით მათმა შვილიშვილმა მზეჭაბუკმა მიიღო. 1614 წელს სამეგრელოს მთავრის, დადიანის კარის მღვდელმა ზებედემ, ოთხთავი გეგუთში, უცნობი პირისაგან შეიძინა. ზებედე 1654 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია ალავერდის ტაძრის გალავანში. ანდერძის მიხედვით, ხელნაწერი ზებედეს გარდაცვალების ადგილას უნდა შენახულიყო.

ასე მოხვდა შავი მთის კალიპოსის სავანეში გადაწერილი ხელნაწერი ალავერდის ტაძრის საგანძურში, სადაც XX საუკუნემდე ინახებოდა, შემდეგ კი გადავიდა საეკლესიო მუზეუმის ფონდში. ამდენად, ხელნაწერის სახელწოდება შენახვის ბოლო ადგილიდან მომდინარეობს.

1921 წელს, სხვა ნივთებთან ერთად, ალავერდის ოთხთავიც გაიტანეს საფრანგეთში, მისი დაბრუნება მხოლოდ 1945 წელს გახდა შესაძლებელი.

შედარებით კარგად შემონახული ხელნაწერი ხის ტყავგადაკრულ ყდაშია ჩასმული, მოჭედილია ვერცხლით და მდიდრულადაა შემკული ძვირფასი თვლებით.

ხელნაწერის მთავარ ღირსებად მასში ჩართული მინიატურები ითვლება. ისინი მთელი სიცხადით წარმოაჩენენ XI საუკუნის ქართული მინიატურული მხატვრობის მაღალ დონეს.

ოთხთავის ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ხელნაწერში მხატვრული გაფორმების სხვადასხვა ელემენტები მჭიდრო კავშირშია თავად ტექსტის კომპოზიციურ წყობასთან. ტექსტის დაწყება ორნამენტული თავსამკაულით, ინიციალთან ერთად საზედაო ასოების, ჯვრების, ვარსკვლავების, მზიური ნიშნების ჩართვაც მხატვრულ-დეკორატიული სისტემის ჰარმონიულ თანაფარდობას ქმნის და მხატვრისა და გადამწერის დახვეწილ გემოვნებაზე მიგვანიშნებს.

ალავერდის ოთხთავის თავისებურებაა, მასზე დართული და იმ დროის საქრისტიანოში ფართოდ გავრცელებული, ავგაროზ მეფისა და იესო ქრისტეს შორის გამართული მიმოწერა - "ეპისტოლე ავგაროზ მეფისა უფლისა ჩუენისა მიმართ იესუ ქრისტესა ზედა წარწერილი." ტექსტის თხრობას ზუსტად მისდევს მინიატურები და ქმნიან ნარატიულ ციკლს, რომელშიც თანმიმდევრულად გამოისახა მნიშვნელოვანი სიუჟეტები (სულ 5).

ამ ციკლის აზრობრივ დომინანტს ქმნის მანდილიონის ხელთუქმნელი გამოსახულება. მასზე გამოსახული მაცხოვარი დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა და არ ჰგავს ხელნაწერ წიგნსა თუ კედლის მხატვრობაში გავრცელებულ არც ერთ მანდილიონზე აღბეჭდილ გამოსახულებას.

საუკეთესო ხარისხის პერგამენტი, მინიატურათა მწყობრი კომპოზიციები, დახვეწილი პროპორციები, სახასიათო ფერადოვანი გადაწყვეტა, თავშეკავებულობა და ლაკონიურობისაკენ მისწრაფება ქართულ ხელნაწერს ბიზანტიურ მონინავე მხატვრულ სკოლასთან აკავშირებს.

ალავერდის ოთხთავის მხატვრული სახე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ XI საუკუნის ქართული წიგნის ხელოვნება ორიგინალობასთან ერთად, ასახავდა ეპოქის და კულტურული გარემოს მოწინავე ტენდენციებს, აგრეთვე ბიზანტიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნებასთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში ვითარდებოდა.

ნინო ქავთარია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ᲜᲐᲑᲝᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲘ

გამოსცეს მწერლის დაუსრულებელი რომანი

ქვემოთ მოთხრობილი ამბავი მის მთავარ გმირს რომ წაეკითხა ძალიან განაწყენდებოდა და მისი დანაბარების უპატივცემულობაშიც დაგვდებდა ბრალს. თუმცა, ასე ნამდვილად არ მოხდება, რადგან ამბავი ვლადიმერ ნაბოკოვს, უფრო კი მის დაუსრულებელ და შესაბამისად უკანასკნელ რომანს ეხება. რომანი სახელწოდებით "ლაურას ორიგინალი" ამერიკისა და ევროპის რამდენიმე ქვეყნის წიგნის ბაზარზე ორიოდე დღის წინ გამოჩნდა და უკვე იქცა სენსაციად - პირველ რიგში კი იმ ისტორიის გამო, რომელიც წიგნის გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი.



საქმე ისაა, რომ მწერალმა გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მეუღლეს ხელნაწერის განადგურება სთხოვა. ვერა ნაბოკოვამ, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მწერალი ქმრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენს და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მცველად მიიჩნეოდა, გადაწყვიტა არ შეესრულებინა მომაკვდავის ანდერძი და ფურცლების დასტა შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის საცავში შეინახა. მალე მისი არსებობის შესახებ ყველამ მიივიწყა, ვიდრე მწერლის ვაჟმა, დიმიტრი ნაბოკოვმა რომანის გამოცემის გადაწყვეტილება არ მიიღო. სხვათა შორის, ამ რომანის ხელნაწერის განადგურების სურვილი მემკვიდრეობით უმცროს ნაბოკოვსაც ერგო. ამის შესახებ თავის ანდერძში ამჯერად 1991 წელს გარდაცვლილი ვერა ნაბოკოვა წერდა...

გარდაცვალებამდე რვა თვით ადრე ვლადიმერ ნაბოკოვის მიერ მეგობრისთვის მიწერილ წერილში ასეთი ფრაზა იკითხება: "ამ რომანის წერა ჯერ კიდევ ავადმყოფობამდე დავიწყე, თუმცა მისი დასრულება არა ფურცელზე, არამედ მხოლოდ გონებაში შევძელი"... ამრიგად რომანი დაუსრულებელია. იქიდან გამომდინარე, რომ მისი სიუჟეტი მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და პრაქტიკულად არავინ იცოდა დიმიტრი ნაბოკოვისა და გამომცემლის გარდა, მხოლოდ მცირედ ანოტაციას შემოგთავაზებთ: ამბის თხრობა პირველი პირიდან ხდება. მოხუცი ფილიპ უაილდი, რომელიც წლების განმავლობაში არც ისე ბედნიერ ქორწინებაში იმყოფება, პირველ სიყვარულს იხსენებს. პარალელურად მკითხველი იგებს, რამდენად უკმაყოფილოა იგი საკუთარი ცხოვრებით და რომ ხანდახან თვითმკვლელობაზეც ფიქრობს. მისი მეუღლე ფლორა ახალგაზრდა ქალია, რომელიც მოხუც ქმარს ხშირად ღალატობს. ერთ დღეს კი უაილდს ფლორას ერთ-ერთი ყოფილი საყვარელი რომან "ჩემი ლაურას" ხელნაწერს გამოუგზავნის, რომელშიც ავტორი ოდესღაც მისი ტრფობის ობიექტს პრაქტიკულად ანადგურებს, ლაფში სვრის - ქმარი კი ცოლის შესახებ უამრავ ახალს იგებს.

დიმიტრი ნაბოკოვი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: "ვინაიდან "ლაურას ორიგინალი" დაუსრულებელი და ბოლომდე დაუმუშავებელი ნაწარმოებია, ეს მკითხველს საშუალებას მისცემს ავტორის შემოქმედებით ლაბორატორიაში იმოგზაუროს და მეტი გაიგოს მისი ლიტერატურული საიდუმლოს შესახებ. აქვე მკითხველს მინდა ვთხოვო, ნუ შეეცდება ეს რომანი ვლადიმერ ნაბოკოვის ადრინდელ ნაწარმოებებს შეადაროს ეს სულ სხვა რომანია, განსაკუთრებული, რადგან მამა მას სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში წერდა, ასეთ დროს კი ადამიანის ცნობიერება და გარემოს აღქმა სრულიად იცვლება".

უმცროს ნაბოკოვს არც ის დაუმალავს, რომ ბევრჯერ ჰქონდა მშობლების ანდერძის ასრულების სურვილი და მცდელობა. არც იმის ეშინია, რომ ნაბოკოვის თაყვანისმცემლები მას რომანის გამოცემის გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკებენ. "ამისთვისაც მზად ვარ, მაგრამ როგორც კი ისინი ნაწარმოებს წაიკითხავენ, ჩემი მადლობლები იქნებიან", - აღნიშნა დიმიტრი ნაბოკოვმა და იქვე დაამატა, რომ მის სამომავლო გეგმებში მამის ლექსებისა და მეუღლისადმი მიწერილი წერილების გამოქვეყნება აქვს გადაწყვეტილი.

ალბათ საინტერესოა ის მიზეზებიც, დიმიტრი ნაბოკოვმა აქამდე რატომ არ მიიღო რომანის გამოქვეყნების გადაწყვეტილება. როგორც ახლა ირკვევა, მას ჯერ კიდევ წლების წინ სურდა რომანის ხელნაწერი რომელიმე მუზეუმისთვის ან ლიტერატურის ინსტიტუტისთვის გადაეცა, რათა მისი გაცნობის საშუალება მხოლოდ მეცნიერთა და ლიტერატორთა შეზღუდულ წრეს ჰქონოდა. თუმცა 2005 წელს გაზეთ The New York Observer-ის ლიტერატურული მიმომხილველის, რონ როზენბაუმისთვის მიწერილ წერილში ხელნაწერის განადგურების მტკიცე გადაწყვეტილების შესახებ საუბრობს. საქმე ისაა, რომ ამ წერილის გაგზავნამდე ცოტა ხნით ადრე გერმანელმა ლიტერატორმა მიხაელ მაარმა აღმოაჩინა აქამდე უცნობი ბერლინელი მწერლის ჰაინს ფონ ლიხბერგის რომანი სახელწოდებით "ლოლიტა", რომელიც არა მხოლოდ სათაურით, არამედ შინაარსითაც ძალიან ჰგავდა ნაბოკოვის ყველაზე ცნობილ ნაწარმოებს. ამ აღმოჩენამ არა ერთი კრიტიკოსის რეაქცია გამოიწვია, რომლებმაც ნაბოკოვი პირდაპირ დაადანაშაულეს პლაგიატში. ამას მოჰყვა რამდენიმე ფსიქოლოგის კომენტარიც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ვლადიმერ ნაბოკოვი ბავშვობაში არა ერთხელ გამხდარა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რამაც "ლოლიტას" სიუჟეტიც განაპირობა. უმცროსმა ნაბოკოვმაც სწორედ ამ არასასიამოვნო განცხადებების გამო მიიღო ხელნაწერის განადგურების მტკიცე გადაწყვეტილება, რითიც მომავალი თავდასხმების თავიდან აცილება სურდა. თუმცა, როგორც ხედავთ, მოგვიანებით გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა და "ლაურას ორიგინალს" მკითხველამდე მისვლის თავისუფლება მიანიჭა.

ᲝᲞᲔᲠᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲕᲐ ᲮᲐᲚᲮᲗᲐᲜ

ყველაზე ელიტურმა თუ არა, ყველაზე არამასკულტურულმა - ოპერამაც კი გადაწყვიტა სანამ ხალხი მივა მასთან, თავად მივიდეს ხალხთან.

ბავარიის სახელმწიფო საოპერო თეატრის დაკვეთით სულ მალე მიუნჰენში საოპერო თეატრის ახალი ნაგებობა, ოღონდაც უკვე "მოძრავი" შენობა დაიდგმება. შენობას უკვე დაარქვეს - ფუტურისტული, ზუსტად არ ვიცი რატომ, შეიძლება იმიტომ რომ ძალიან მსუბუქი კონსტრუქციებისგან შედგება, რომელთა დაშლაც იოლია. სცენაც და 300 ადგილიანი დარბაზიც დაიშლება ნაწილებად და მთელი საოპერო შენობა იოლი გადასატანი იქნება როგორც მატარებლითა და გემით, ისე სატვირთო ავტომანქანით.

არქიტექტორი ვოლფ პრიქსი ჟურნალისტებს უმხელს, რომ მთავარი მიზანი ამ პროექტზე მუშაობისას მისი არქიტექტურული კომპანიისთვის იყო ფორმისა და ფუნქციის შერწყმა. რაც ზოგადად ძალიან რთულია, როცა საქმე საოპერო თეატრის, ანუ სპეციფიკური და განსაკუთრებული სივრცისა და აკუსტიკის შენობას ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაგებობა, რომელიც ჯერ მხოლოდ პროექტის სახით არსებობს, ბევრს 21-ე საუკუნისთვის ტიპიურ ნაგებობად და კონცეფციად მიაჩნია, მისი მთავარი იდეა - გადაადგილება - შუასაუკუნეების გერმანულ და ზოგადად ევროპულ თეატრს გვაგონებს. კონკრეტულად სახალხო თეატრებს ბორბლებზე.

მოძრავი თეატრი პირველ მაყურებელს მომავალ წელს უმასპინძლებს. იგეგმება რომ თავდაპირველად ის მთავარ საოპერო შენობასთან ახლოს დამონტაჟდება. თუმცა, რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში დაიწყებს მოძრაობას. ჯერ მხოლოდ გერმანიაში, შემდეგ კი ალბათ მთელს ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ნაგებობის მთავარი მისია საგასტროლო ტურნეების ორგანიზება იქნება, წელიწადში რამდენიმე დღით "სამშობლოშიც" დაბრუნდება და მიუნჰენშიც არაერთი ექსპერიმენტული კულტურული პროექტის მასპინძელი გახდება. უკვე ისიც აღინიშა, რომ პერიოდულად ახალი ფუტურისტულ ნაგებობას ბავარიის საოპერო თეატრი სხვა დასებსა და თეატრებსაც დაუთმობს.

ოქროს ხანის დასასრული

ვალებით დამძიმებული MGM მყიდველს ეძებს

კინოკომპანია, რომელიც ლამის ჰოლივუდის სიმბოლოდაა ქცეული, აუქციონზეა გატანილი "მეტრო გოლდვინ მეიერი" მყიდველს, უფრო კი გადამრჩენელს ეძებს, რადგან კომპანიამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ვერა და ვერ მოახერხა არა თუ განვითარება, არამედ მრავალმილიონიანი ვალების გასტუმრებაც. გაყიდვის გარდა არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, თუ ის რომელიმე მსხვილი კინოკომპანიის შვილობილად იქცევა და შეინარჩუნებს დამოუკიდებელი ერთეულის უფლებებს ეს უკანასკნელი კი ამ უდიდესი ტრადიციების მქონე კომპანიისთვის პრესტიჟის საქმეა.

მიმდინარე პერიოდში MGM-ს კრედიტორების ოთხ მილიარდ დოლარამდე ვალი აქვს, რასაც ათეულობით მილიონიანი საპროცენტო დანამატი ავსებს, აქვე არ დაგავიწყდეთ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც. მთელი ეს თანხა კი საბოლოოდ ისეთ ნიშნულს აღწევს, რომ კომპანიის ამჟამინდელ მფლობელებს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება მიაღებინა გაყიდვა, უარეს შემთხვევაში, ლიკვიდაცია.

უკვე გამოიკვეთა რამდენიმე მსხვილი კინოკომპანია, რომლებსაც MGM-ზე თვალი უჭირავთ: Time Warner, 20th Century Fox და Lionsgate. ზოგ მათგანს MGM-თან უკვე აქვს ერთობლივი პროექტი, მაგალითად, Time Warner-თან ერთად "ჰობიტზე" მუშაობს, ხოლო 20th Century Fox მისი ვიდეოპროდუქციის ოფიციალური დისტრიბუტორია. MGM-ის მყიდველი მის ფილმოთეკაზე უფლებებსაც შეიძენს, რომელშიც ოთხი ათასამდე სახელწოდება შედის, მათ შორისაა ჯეიმს ბონდის შესახებ გადაღებული ყველა სერია.

MGM, რომელიც ჰოლივუდის ერთ-ერთ უდიდეს და უძველეს კომპანიად მიიჩნევა, სულაც არ მდებარეობს ჰოლივუდში. მისი ოფისები, პავილიონები და სხვა სათავსოები ვარსკვლავების ფაბრიკისგან რამდენიმე კილომეტრით დაშორებით მდებარე ქალაქ კალვერ სიტიშია განთავსებული. სწორედ აქ დაარსდა 1915 წელს კომპანია Triangle Pictures, რომელიც შემდგომში MGM-ის ბაზისად იქცა. 9 წლის შემდეგ "ტრიანგლი" ლუის მეიერმა შეიძინა, მას შეემატა მარკუს ლოუს კომპანია "მეტრო" და იმ დროს ძალიან ცნობილი პროდიუსერი სემუელ გოლდვინი ასე გაჩნდა ცნობილი აბრევიატურა.

ჰოლივუდში ძალიან ცოტა კომპანიაა, რომელსაც შეუძლია ასეთი ტრადიციებით, ასეთი ნაწარმოებებით იამაყოს. სწორედ MGM-ის გადაღებულია ვიქტორ ფლემინგის ორი შედევრი: 1939 წლის "ოზის ჯადოქარი" და "ქარწაღებულნი", ამავე სტუდიაში იშვა "ტარზანი" ჯონი ვაისმიულერის მონაწილეობით. MGM-ის მსახიობთა სიაში ირიცხებოდა კლარკ გეიბლი, ვივიენ ლი, ჯუდი გარლანდი, ფრენკ სინატრა, ელიზაბეტ ტეილორი, ბასტერ კიტონი და სხვები. სწორედ ასეთი წარმატებული პროექტების შემდეგ გაჩნდა ერთგვარი ფრაზა: "იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც ჩვენ გვყავს, მხოლოდ ცამ შეიძლება ინატროს". "მეტრო გოლდვინ მეიერს" ეკუთვნის პირველი "საოსკარო" რეკორდიც 11 ნომინაცია და ამდენივე ჯილდო ფილმისთვის "ბენ ჰური".

MGM-ის ოქროს ხანა 60-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ამ პერიოდამდე კომპანიამ ისეთი შედევრების გადაღება მოასწრო, რომლებიც დღემდე მიიჩნევა მსოფლიო კინოს საგანძურად: მიუზიკლი "სიმღერა წვიმაში", "ექიმი ჟივაგო", "ლომი ზამთარში" და "2001: კოსმოსური ოდისეა". მთლიანობაში კინოკომპანიის პროდუქციას 205 "ოსკარი" აქვს მიღებული, აქედან 15 საუკეთესო ფილმის ნომინაციაში.

1969 წლიდან MGM-ის ისტორიაში შავი ხანა დაიწყო, რასაც ახალი ხელმძღვანელის კერკ კერკორიანის მოსვლას უკავშირებენ. იგი კინოში პრაქტიკულად ვერ ერკვეოდა და ფილმზე დასწრებას ავტომობილით სეირნობა ერჩივნა. სწორედ კერკორიანის უნიათო ბიზნეს ალღოს გამო 10 წლის განმავლობაში "მეტრო გოლდვინ მეიერის" არც ერთ ფილმს არ მიუღწევია განსაკუთრებული წარმატებისთვის, რასაც შესაბამისად შემოსავლის ვარდნაც მოჰყვა. 1979 წელს კერკორიანმა კომპანიის აქციათა უმეტესობა და სტუდიის კუთვნილი 38 აკრი მიწა გაყიდა, შემოსული თანხა ლას ვეგასში MGM-ის სახელობითი სასტუმროს მშენებლობაში ჩადო და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამიერიდან კომპანიის სახელი მხოლოდ სასტუმრო ბიზნესთან ასოცირდებოდა.

თუმცა უხეირო ბიზნესმენმა MGM-ის კინოსგან ჩამოშორება მაინც ვერ შეძლო, 1983 წელს თითქმის გაკოტრებული United Artists შეიძინა და გაერთიანებული კომპანია მედიამაგნატ ტედ ტერნერს მიჰყიდა. ტერნერი კერკორიანის მეორე უკიდურესობა აღმოჩნდა - იმის ნაცვლად, რომ ფული ახალი პროდუქციის შექმნაში ჩაედო, შავ-თეთრი ფილმების გაფერადებას მიჰყო ხელი, რაც პრაქტიკულად არავის სჭირდებოდა. ამის შემდეგ კომპანია ისევ კერკორიანმა იყიდა, მერე იტალიელმა ფინანსისტმა ჯანკარლო პერეტიმ, მერე ფრანგულმა ბანკმა, მერე ისევ კერკორიანმა და ასე შემდეგ. ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული ისტორია 90-იანი წლების შუაში დამთავრდა, როდესაც კომპანია Sony Entertainment-მა შეიძინა, მის აღორძინებაში 100 მილიონი დოლარი ჩადო და რამდენიმე მეტ-ნაკლებად ნორმალური ფილმის გამოშვებაც მოახერხა: რონალდ ემერიხის "ვარსკვლავური კარიბჭე", პოლ ვერჰოვენის "შოუ გოგონები", რიდლი სკოტის "ჰანიბალი", მაიკ ფიგისის "ლას ვეგასის დატოვება" და ცხადია, ჯეიმს ბონდის ახალი სერიები. თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, "მეტრო გოლდვინ მეიერის" ოქროს ხანისგან აღარაფერია დარჩენილი, ხოლო ახალი მყიდველი მისგან ნამდვილად მეტ მოგებას ნახავს, თუ კომპანიას მუზეუმად გადააკეთებს.

მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) საქართველო

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
16 ნოემბერი, 2009
ბაკურიანის წყალგამწმენდი ნაგებობა
კონტრაქტიN MCG/CW/BAKUR/ICB/02 - 08

წინამდებარე სატენდერო მოწვევა წარმოადგენს სატენდერო განცხადების გაგრძელებას ზემოხსენებულ პროექტზე, რომელიც გამოქვეყნდა 2008 წლის 8 ივლისს *Development Business*-ში.

საგრანტო ხელშეკრულების, რომელიც დადებულია 2007 წლის 11 ივნისს („საგრანტო ხელშეკრულება") თანახმად, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (სმგფ), შემდგომში მოხსენებული როგორც „დამკვეთი", მიიღო გრანტი („MCG გრანტი") ფონდიდან - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს, და აპირებს გრანტის ნაწილით დააფინანსოს ბაკურიანის წყალგამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია, კონტრაქტი N MCG/CW/BAKUR/ICB/02 - 08, შემდგომში მოხსენებული როგორც „პროექტი". ტენდერის პროცესის მართვასა და კონტრაქტის შესრულებას ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

მგფ იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ბაკურიანის წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირებასა და მონტაჟზე. კურორტი ბაკურიანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე, 1700 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, 30 კმ მანძილზე ბორჯომიდან. ობიექტზე მისვლა შესაძლებელია თბილისი-ხაშური-ბორჯომის ავტომაგისტრალის მეშვეობით.

პროექტის საბოლოო მიზანს წარმოადგენს წყალგამწმენდი ნაგებობის მშენებლობა წყაროდან აღებული ნედლი წყლის გასაწმენდად, სასმელი წყლის სტანდარტთან შესატყვისობისათვის. კონტრაქტორი განახორციელებს ყველა სამუშაოს, რაც საჭიროა ახალი წყალგამწმენდი ნაგებობის პროექტირების, მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გაშვებისათვის. ყველა სამუშაო შესატყვისობაში უნდა იყოს კონტრაქტთან და საქართველოს კანონმდებლობასთან. სამუშაოები ზოგადად განხორციელდება დამკვეთის კონცეფტუალური პროექტის მიხედვით.

სამუშაოების დასრულების სავარუდო თარიღია 2010 წლის 30 ოქტომბერი.

ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების თანახმად, და ზოგადად შესაბამისობაში იქნება მსოფლიო ბანკის *სახელმძღვანელო პრინციპებთან: შესყიდვები IBRD-ის სესხებისა* და *IDA-ის კრედიტების საფუძველზე,* 2004 წლის მაისი, შესწორებული 2006 წლის ოქტომბერში, იგი ღია იქნება ნებისმიერი უფლებამოსილი ქვეყნის კონკურსანტისათვის, საკონსკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად.

MCG-ის გრანტით დაფინანსებული სამუშაოების შესასრულებლად გამოცხადებულ ღია ტენდერში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფირმებმა ნებისმიერი ქვეყნიდან, გარდა შემდეგი გამონაკლისებისა: ემ-სი-ჯი-ს გრანტის ნაწილით არ დაფინანსდება პიროვნების ან ერთეულების, ან საქონლის იმპორტის ხარჯები, თუ (I) რომელიმე კანონით ან ოფიციალური წესდებით საქართველო კრძალავს სავაჭრო ურთიერთობას მათი წარმოშობის ქვეყნებთან, იმის გათვალისწინებით, თუ ემ-სი-ჯი დარწმუნდება, რომ ასეთი გამონაკლისი ხელს არ შეუშლის ეფექტური კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას, რომელიც საჭიროა საქონლის მიწოდებისთვის ან კონტრაქტორის შერჩევისთვის; (II) ასეთი გადახდები ან იმპორტი აკრძალულია გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანებული ერების წესდების VII მუხლის საფუძველზე; (III) ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, რომელსაც აკრძალული ან შეჩერებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის მიერ დაფინანსებულ შესყიდვებში მონაწილეობის მიღების უფლება, ან ამერიკის შეერთებული შტატების კანონით ან ა.შ.შ. პრეზიდენტის განკარგულებით ან შეერთებული შტატების პოლიტიკის თანახმად, უფლებამოსილი არ არის მონაწილეობა მიიღოს ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაფინანსებულ შესყიდვებში, არსებული ანტი-ტერორისტული პოლიტიკის ჩათვლით.

დეტალური ინფორმაცია მონაწილეობის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით შეიძლება იხილოთ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ინტერნეტ გვერდზე: www.mcc.gov

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ქვემოთმოყვანილ მისამართზე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, 10:00-დან 18:00 საათამდე.:

იმისათვის, რომ მინიჭებულ იქნას კონტრაქტი კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს:

a) კონკურსანტის საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ 3.4 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტისა;

ბ) ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების მინიმალური თანხა სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გათვალისწინებით უნდა იყოს არანაკლებ 0.6 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტისა.

ადგილობრივ კონტრაქტორებს/ერთობლივ საწარმოებს არ მიენიჭებათ უპირატესობა.

სატენდერო დოკუმენტაციის სრული კომპლექტი ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომი იქნება 2009 წლის 16 ნოემბრიდან ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 350 ლარის (სამასორმოცდაათი) ან 200 აშშ დოლარის (ორასი) გადახდისას.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

"ბანკი რესპუბლიკა" - გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი საქართველო
SWIFT: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with
Deutsche Bank Trust Company Americas, NY
SWIFT: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104
ა.შ.შ. დოლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 341 800 01
ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი: 340 80001
ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

წინასატენდერო შეხვედრა ჩატარდება 2009 წლის 7 დეკემბერს 11:00 საათზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

საკონკურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2009 წლის 28 დეკემბრის, 12:00 სთ. ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი წინადადებები არ მიიღება. დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად. წინადადებები გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას 2009 წლის 28 დეკემბრის, 12:00 სთ.

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია, რომლის ფორმაც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში, არანაკლებ 60 000 (სამოციათას) ლარის ექვივალენტისა.

კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 413
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია" აცხადებს კონკურსს:

ქ.თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტირებაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციამ მიმდინარე წლის 25 ნოემბრამდე საკონკურსო მოთხოვნების მისაღებად შეუძლია მიმართოს პროექტების ხელმძღვანელს აუდრიუს ბიკმანასს.

ქ. თელავი, აჩინებულის ქ.N1
ტელ: 895 32 40 90
ელექტრონული ფოსტა: bikmanas@hotmail.com

ქართულ-თურქული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპი
GEORGIAN-TURKISH JOINT COMPANY BLACK SEA GROUP
B. S. GROUP

თბილისი
12/11/2009

განაცხადი ასანიზატორის მანქანის შესყიდვაზე 24 საათში

თურქულ-ქართულ კომპანია შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" აცხადებს ტენდერს ასანიზატორის მანქანის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გვსურს შევისყიდოთ ახალი ან მეორადი კარგ მდგომარეობაში მყოფი ასანიზატორის მანქანა.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი"-ს შესყიდვების მენჯერს მათე ოქროპირიძეს (877) 990 304.

გმადლობთ

საინფორმაციო ცნობა

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტი N1. შაუმიანის ტერიტორიულ ერთეულში(სოფ. ხიხანი) მდებარე 70კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N831008002
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 420ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 168ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 21 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N2. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N830223032
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 1300 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 520 ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 65ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N3. კაპანახჩის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 370 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N832003583
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 2220 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 888ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 111 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N4. შულავრის ტერიტორიულ ერთეულში(სოფ. შულავერი) მდებარე 450 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N830911677
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 11250 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 4500ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 563ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N5. ქ. მარნეულში, იაღლუჯის ქუჩაზე მდებარე 316 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N830216045
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 4424 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 1770 ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 222 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N6. შულავრის ტერიტორიულ ერთეულში(სოფ. ენიკენდი) მდებარე 100კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N830910649
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 600ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 240ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 30 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N7. ქ. მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 86 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N83.02.18.061
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 2236 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე -895ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 112 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N8. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 60 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N83.02.23.147
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 1560ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 624ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 78 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N9. ყიზილაჯლოს ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N83.01.02.487
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 1250ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე -500ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 63 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი N10. ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1241 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N83.02.14.071
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 32266 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 12907ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 1614 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

მყიდველის მიერ საპრივატიზებო მიწის ღირებულებასთან ერთად, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი პირობები:

a) ქ. მარნეულში ქობულეთის ქუჩაზე შესასვლელი გზის მშენებლობა
b) ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე რუსთველისა და ნიზამის ბარელიეფების დემონტაჟი და მის ნაცვლად მათივე სახელობის ბიუსტების მონტაჟი მიმდებარე ტერიტორიაზე.
გ) ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე კორპუსი N86-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერში დასასვენებელი პარკის კეთილმოწყობა.

Lლოტი 11. ახკერპის ტერიტორიულ ერთეულში მდებარე შენობა-ნაგებობები მიწის ნაკვეთთან ერთად (ყოფ. "ჰესი")

1) 298კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, განაშენიანების ფართით 298 კვ.მ.
2) 147კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, განაშენიანების ფართით 85 კვ.მ.
3) ხაზოვანი ნაგებობა- 500მმ-იანი დიამეტრის 23 გრძ. მ. რკინა-ბეტონის მილი.

ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 1) N831703453; 2) N831703454; 3) 8300054
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 4620 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 1848ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 231 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი 12. წერეთლის ტერიტორიულ ერთეულში(სოფ. წერეთელი) მდებარე 294კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.
ა) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N83.04.08.064
ბ) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 1764 ლარი
გ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე -706ლარი
დ) ბიჯის სიდიდე - 89 ლარი
ე) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი 13. ა/მანქანა ჟიგული ვაზ-2105 გამოშვებული 1984 წელს სახ NZAK-074
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 520,20 ლარი
ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 208ლარი
გ) ბიჯის სიდიდე - 27 ლარი
დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი 14. ა/მანქანა ბმვ-316 გამოშვებული 1986 წელს სახ NEAK-100
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 884 ლარი
ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 354ლარი
გ) ბიჯის სიდიდე -45 ლარი
დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

ლოტი 15. ა/მანქანა ოპელ-ვექტრა 1,8i გამოშვებული 1990 წელს სახ NBAQ-760
ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი - 1918,80 ლარი
ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარ შესატანი "ბე"-ს სიდიდე - 768ლარი
გ) ბიჯის სიდიდე -96 ლარი
დ) მონაწილის ბილეთის ფასი - 100 ლარი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი მიიღება პრესაში ამ საინფორმაციო ცნობის გამოცხადებიდან 30 კალენდარული დღის განმვალობაში, 11 საათიდან 16 საათამდე მისამართზე: ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73 (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, 1 სართული).

აუქციონი ჩატარდება გაზეთში გამოქვეყნებიდან ოცდამეათე დღეს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის მეორე სართულზე, სააქტო დარბაზში 16 საათსა და 30 წუთზე. იმ შემთხვევაში თუ განაცხადის მიღების ოცდამეათე დღე და აუქციონის ჩატარების დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს, მაშინ განაცხადების მიღება შეწყდება და აუქციონი ჩატარდება მომდევნო სამუშაო Dდღეს, ამ საინფორმაციო ცნობაში მითითებულ დროში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, ქონების დასახელებას, და საწყის გასაყიდ ფასს;

- "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შემოტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის ასლს თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- "ბე"-ს საფასურის გადახდა უნდა მოხდეს:

მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N33060011 ს/კ 234232149, ს/ს "სახალხო ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი კოდი 220101408

- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს:

ანგარიშზე N1133030001 ს/კ 234232149 ს/ს "სახალხო ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი კოდი 220101408

დამატებითი ცნობისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N73 (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, I სართული) ტელეფონი: 2-22-48

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა

სპორტი

ზაზა ფაჩულია: "ჰოუქსში" ყველა ყველას ენდობა

პირველი გვერდიდან

ნაყოფიერია თავად ფაჩულიაც. უფრო სწორად, მაქსიმუმს აკეთებს იმ დროში, რასაც მას აძლევენ. საქართველოს ნაკრების კაპიტნის საშუალო მონაგარი ასეთია: 11 მატჩი, 13.4 წუთი, 5.5 ქულა, 3.3 მოხსნა (1.5 შეტევაში), 0.4 შედეგიანი გადაცემა, ამდენივე დაფარება და 0.3 ჩაჭრა.

ზაზამ გამორჩეულად კარგად, გუნდისთვის სასარგებლოდ ორ საკვანძო დაპირისპირებაში ითამაშა, კერძოდ, "ბოსტონთან" (97:86) და "პორტლენდთან", რომელიც მისმა გუნდმა, 15-ქულიანი ჩამორჩენის მერე, დამატებით დროში 99:95 მოიგო. ამ მატჩში ზაზამ გრეგ ოდენის წინააღმდეგ ჭიდილში 7 ქულა და 9 მოხსნა (4 შეტევაში) დააგროვა და თამაშის ბედიც სწორედ მისმა და ჯო ჯონსონის აქტიურობამ შეაბრუნა მასპინძელთა სასარგებლოდ.

ზაზა და კომპანია ზედიზედ ხუთი მოგებული შეხვედრით ტკბებიან, თუმცა, ცხადზე ცხადია, რომ საეიფორიო ნამდვილად არაფერია, რადგან ეს ჯერ მარტო სეზონის დასაწყისია, მთავარი მატჩები კი გუნდს წინ აქვს. არ ყოფილა ტეხასური გასვლითი სერია, ბლომად სათამაშო აქვს "ჰოუქსს" თანაკონფერენციელ გრანდებთან - "კლივლენდთან", "ბოსტონთან" და "ორლანდოსთან". დასავლელებიც რიგში დგანან. მოკლედ, ჯერ ყველაფერი წინაა. ზაზასთან ამ ინტერვიუში კი აქცენტი გავაკეთეთ "პორტლენდთან" მოგებულ შეხვედრაზე, თუმცა დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო წარმომადგენელმა სხვა საინტერესო საკითხებზეც ისაუბრა.

- ზაზა, "პორტლენდთან" მატჩით დავიწყოთ. ხვდებოდით ძალიან კარგ ფორმაში მყოფ გუნდს, რომელსაც მანამდე რამდენიმე ფავორიტი ჰყავდა დამარცხებული.

- კი, "პორტლენდი" კარგ ფორმაში იყო, ჩვენთან მატჩამდე ჰქონდა წაუგებელი სერია და ბედნიერი ვარ, რომ ეს სერია "ატლანტამ" დაასრულა. ძალიან რთული შეხვედრა გამოვიდა. ცუდად დავიწყეთ და თავიდან 15 ქულასაც კი ვაგებდით. მერე მაიკ ვუდსონმა შეცვალა კალათბურთელები, მომხდარიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და ნელ-ნელა შევამცირეთ უპირატესობა. ბოლოს კი არ გაგვიმართლა, რომ შეხვედრა დამატებით დროში გადავიდა. ბევრს რომ ვაგებდით, რამდენიმე მნიშვნელოვანი მოხსნა გავაკეთეთ. ბოლო ძალიან კარგად ათამაშდა ჯო ჯონსონი. საკუთარ თავზე ლიდერობა აიღო, ბევრი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ზუსტი სროლით დაასრულა და დიდი როლი ითამაშა ჩვენი გუნდის გამარჯვებაში. ოთხი წამი რჩებოდა, როდესაც ძირითად დროში 3 ქულას ვიგებდით, მაგრამ რუდი ფერნანდესმა სამიანი ჩააგდო და დაიწყო ოვერტაიმი.

- იმ მომენტში ფერნანდესს ვინ იჭერდა?

- გაცვლაზე ვითამაშეთ, სროლისას კი ფერნანდესზე მგონი ალ ჰორფორდი იყო. მაგრამ "პორტლენდის" ფორვარდმა ძალიან რთული სიტუაციიდან ისროლა ბურთი და ცოტათი გაუმართლა კიდეც, რომ ჩააგდო. დამატებით დროში ბევრად უკეთ ვითამაშეთ, შეცდომებიც თითქმის არ დაგვიშვია და მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. "პორტლენდი" ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და მის წინააღმდეგ თამაში წელს ყველას გაუჭირდება. "ატლანტამ" წარმატებული სერია გააგრძელა და ვეცდებით, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშოთ წაუგებლად.

- "პორტლენდს" რამდენიმე კარგი მაღალი მოთამაშე ჰყავს. ვის წინააღმდეგ მოგიხდა ძირითადად თამაში: გრეგ ოდენის, ლამარკუს ოლდრიჯის თუ ჯოელ პრჟიბილასი?

- ძირითადად ოდენს და პრჟიბილას ვიჭერდი. საერთოდ, ამ შეხვედრაში ჩვენი გამარჯვება ორივე ფარზე დიდმა უპირატესობამაც განაპირობა. ვდომინირებდით სამწამიანში, სადაც "ბლეიზერსს" 56:36 მოვუგეთ. როდესაც ორი თანაბარი ძალის გუნდების მატჩში ერთ-ერთი ასეთ უპირატესობას ფლობს, გაცილებით იოლი ხდება წარმატების მოპოვება. დიდი იყო ჩვენი უპირატესობა მეორე ფაზაში მოპოვებული ქულების მხრივაც. უბრალოდ, თავიდან შეცდომები დავუშვით, ბევრი იოლი შეტევა ზუსტი სროლით ვერ დავასრულეთ და "პორტლენდის" სასტარტო უპირატესობაც ამან გამოიწვია. საერთოდ, ჰორფორდმა თითქმის მთელი თამაში ოლდრიჯის წინააღმდეგ ჩაატარა. მას სწრაფი, მოძრავი მაღლების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო უადვილდება, ვიდრე ოდენის სტილის ცენტრების აყვანა. გრეგს ძირითადად მე ვეთამაშებოდი, ან, როდესაც მოედანზე იყო, ჯო სმიტი იჭერდა. ჰორფორდმა დიდი ყურადღებით, სერიოზული შეცდომების გარეშე ჩაატარა მატჩი. იგივე შემიძლია ვთქვა საკუთარ თავსა და სმიტზე. იყო მომენტი, როდესაც ხუთეულში მე და ჰორფორდი ერთად ვიდექით. სწორედ იმ მომენტში მოხერხდა 15-ქულიანი დეფიციტის ხუთ ქულამდე დაყვანა. მერე "პორტლენდი" კვლავ წინ გავიდა. ამის შემდეგ ანგარიში გავათანაბრეთ და ასე, ბოლო წამებამდე ძალიან დაძაბული თამაში გვქონდა.

- ოდენი ფიზიკურად ძალიან ძლიერია, არა?

- კი, ძალიან.

- დუაიტ ჰოვარდის მერე ყველაზე ძალისმიერი ცენტრია?

- ჰოვარდი, შაკილ ო`ნილი და ოდენი. ამ სამის წინააღმდეგ თამაში, მათი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ძნელია, თუმცა, ჩვენც არაფერს ვთმობთ და ჯერჯერობით ყველაფერი მშვენივრად მიდის. მაქსიმალურად აკურატულად და, ამავე დროს, ძალისმიერად ვეთამაშებოდით და "პორტლენდის" მაღლებს საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ჰქონიათ. კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ ძალიან კარგად ითამაშა ჯო ჯონსონმა. 35 ქულის ასეთ თანაბარ და დაძაბულ შეხვედრაში დაგროვება ნამდვილად არ არის ადვილი.

- ზაზა, სეზონის წინ გავაკეთეთ პროგნოზი, რომლითაც ჯამალ კროუფორდი საუკეთესო სათადარიგო უნდა გამხდარიყო.

- კი, ძალიან კარგად შეეწყო გუნდს და დიდ როლს თამაშობს ჩვენს წარმატებაში.

- თუმცა, "პორტლენდთან" ათი სროლიდან მხოლოდ ორი გამოიყენა და ხუთივე სამქულიანი გააფუჭა.

- ხანგრძლივი, დამღლელი სეზონია, რომლის დროსაც ჩავარდნისგან არავინაა დაზღვეული, მათ შორის, არც კროუფორდი. ყველამ კარგად იცის, რა შეუძლია კროუფორდს და მას ყველა მატჩში დიდ ყურადღებას უთმობენ. ჯამალმა მაღალ დონეზე ჩაატარა წინა მატჩები, ახლა კი თამაში არ წაუვიდა. ამიტომაცაა გუნდში ამდენი მოთამაშე, რომ თუნდაც ერთის ცუდი თამაში საერთო გამოსვლაზე არ აისახოს. "პორტლენდთან" სხვებმა ითამაშეს კარგად, კროუფორდის დასამახსოვრებელი შეხვედრები კი ჯერ წინაა. დიდი ძალა დაგვემატა და იმედი მაქვს, დიდ წარმატებასაც მოგვაპოვებინებს. ასევე მინდა ვთქვა, რომ მარვინ უილიამსი, რომელსაც "პორტლენდთან" მხოლოდ 4 ქულა ჰქონდა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და სეზონის მსვლეობისას მოუმატებს. მას ყველა ენდობა და უილიამსი ამას გრძნობს.

- ჯოელ პრჟიბილას მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ უსვრია ბურთი. ეგრე მაგრად ამოკეტეთ?

- პრჟიბილა მაგარი შემტევი არასოდეს ყოფილა. ის ძირითადად "შავი სამუშაოს" შესრულებითაა დაკავებული. ხსნის ბურთებს შეტევაში, კარგად თამაშობს დაცვაში, თუმცა, რა თქმა უნდა, თუ თავისუფალია, პასს არავინ დაუგვიანებს. ცუდად არც ახლა უთამაშია, თუმცა, შესატევად მაქსიმალურად პატარა სივრცე დავუტოვეთ და შეხვედრაც უქულოდ დაასრულა. მის წინააღმდეგ ძირითადად მე მიწევდა თამაში.

- კარგი მატჩი ჩაატარა ჯოშ სმიტმაც.



- ჯოში გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და ყველა შეხვედრაში დიდი სარგებელი მოაქვს "ჰოუქსისთვის". ძალიან სწრაფია და დაცვაში არავის არაფერს უთმობს. ცდილობს, ყოველი სანტიმეტრი მაქსიმალურად გამოიყენოს. პრინციპში, ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშე იგივეს აკეთებს და სწორედ ამის გამოა "ატლანტა" პირველ ადგილზე დივიზიონსა და მთლიანად კონფერენციაში.

- სეზონის წინ სპეციალისტების უმრავლესობა აღმოსავლეთიდან სუპერფინალში გასვლის ფავორიტებად "დიდი სამეულის" წევრებს - "კლივლენდს", "ბოსტონსა" და "ორლანდოს" თვლიდა, თუმცა, ხომ არ გამორიცხავ, რომ "სამეული" "კვარტეტით" შეიცვალოს?

- მე ყველას აზრს პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბოლო წლებში თავისი სტაბილური თამაშით "ატლანტა" ნამდვილად შედის აღმოსავლეთის კონფერენციის ფავორიტებში. წლიდან წლამდე ვაუმჯობესებთ თამაშის ხარისხს და მჯერა, წელს ამ სამ გუნდთან ერთად დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

- რატომ ჩააგდეს სტარტი "კავალიერსმა" და "მეჯიქმა"?

- ორივე გუნდი გამოასწორებს თამაშის ხარისხს და ეს ყველაფერი უახლოესი ორი-სამი კვირის განმავლობაში მოხდება. "კლივლენდმა" დაიმატა შაკილ ო`ნილი, რომელიც პირდაპირ სასტარტო ხუთეულში დააყენეს. შაკი გამოცდილია, მაგრამ "კლივლენდის" სისტემასთან შესაჩვევად დრო დასჭირდება. ასე რომ, აკლიმატიზაციას გაივლის თუ არა, "კლივლენდიც" გაცილებით სახიფათო გახდება. იგივე შემიძლია ვთქვა "ორლანდოზეც". გუნდიდან წავიდა ჰედო თურქოღლუ. მის ადგილზე კი ხუთეულში დადგა ვინს კარტერი, რომელსაც, ისევე როგორც შაკს, ახალ თანაგუნდელებთან შესაჩვევად გარკვეული დრო დასჭირდება. თანაც, გაითვალისწინეთ, რომ "მეჯიქს" პირველ ათ მატჩში არ ჰყოლია ერთ-ერთი ლიდერი რაშარდ ლიუისი, რომელიც ჰოვარდის მერე გუნდის ყველაზე სახიფათო მოთამაშეა. ლიუისმა მხოლოდ წინა მატჩში მიიღო მონაწილეობა და როგორც კი საუკეთესო ფორმაში შევა, "ორლანდოს" წინააღმდეგ თამაში გაცილებით რთული იქნება. იგივეს თქმა შემიძლია დასავლეთის კიდევ რამდენიმე გუნდზე, კერძოდ, "სან ანტონიოზე", რომელმაც მძიმედ დაიწყო რეგულარული, მაგრამ ეს დროებითია. "სპურსი" ყოველთვის ცდილობს, ზედ პლეი-ოფის წინ შევიდეს საუკეთესო ფორმაში, რაც სწორია, მანამდე კი მოთამაშეებს ენერგიის გადანაწილების კარგი შანსი აქვთ. ასე რომ, ვნახოთ, ჯერ მხოლოდ 10-11 შეხვედრა გვაქვს ჩატარებული და წინ უამრავი რთული მატჩია. ბევრი რამ შეიცვლება და ვინ რას გააკეთებს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

- შეიძლება თუ არა აღმოსავლეთის ფავორიტებში "მაიამის" შეყვანა? ამ გუნდს მშვენიერი სტარტი გამოუვიდა და კონფერენციის ლიდერთა შორის იმყოფება.

- გუნდს ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი დუეინ უეიდის სახით. მწვრთნელებმა კარგი შემადგენლობა დააყენეს და პლეი-ოფში ულაპარაკოდ მოხვდებიან. მეტს ვერაფერს გეტყვით. ცხადია, რომ "მაიამისთან" იოლი თამაშები არ გვექნება. მწვრთნელებიც გვეუბნებიან, რომ "ჰიტი" წელს ჩვენს წინააღმდეგ განსაკუთრებული მოტივაციით ითამაშებს, რადგან შარშანდელ პლეი-ოფში სწორედ "ატლანტასთან" დამარცხდა და რევანშის აღების დიდი სურვილი ექნება.

- "ბოსტონი"? რამდენად გააძლიერა გუნდი რაშიდ უოლასმა?

- უოლასს მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ძლიერ გუნდებსა და უმაღლეს დონეზე აქვს ნათამაშები. თავისთავად, იგი "სელტიქსისთვის" დიდი ძალაა, მაგრამ ჩავედით ბოსტონში და "სელტიქსი" ჭკვიანური, ძალისმიერი თამაშით დავამარცხეთ. ბუნებრივია, "ბოსტონის" მისსავე მოედანზე დამარცხება სხვების თვალში აგამაღლებს, უფრო სერიოზულად მოეკიდებიან შენთან ნებისმიერ მატჩს, შენი მეტი რიდი ექნებათ. "ბოსტონს" ჰყავს ბევრი ვარსკვლავი, მაგრამ უმეტესობა 30 წლის და მეტისაა. ამის გამო, თუ შეხვედრა ქულა-ქულაში მიდის, ბოლოს "სელტიქსი" იღლება. სწორედ ეს ფაქტორი გამოიყენა თავის სასარგებლოდ "ჰოუქსმა", რომელმაც სამწამიანში აჯობა მეტოქეს და ეს, მიუხედავად იმისა, რომ "სელტიქსს" ჰყავს კევინ გარნეტი, კენდრიკ პერკინსი და უოლასი.

- აღმოსავლეთის გუნდებზე, ასე თუ ისე, ვისაუბრეთ. დასავლეთის ფავორიტებში ვის შეიყვან?

- აღმოსავლეთში ოთხი, დიდი-დიდი, ხუთი ძლიერი გუნდია, დასავლეთში კი ბოლომდე დაძაბულობა იქნება. რა თქმა უნდა, კარგი გუნდია "ლეიკერსი", რომელიც პო გასოლის გარეშეც ახერხებს ლიდერებში ყოფნას. გასოლთან ერთად გუნდი ბევრად სახიფათო გახდება და, თავისთავად, წელსაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. როგორც გითხარით, მძიმედ დაიწყო სეზონი "სან ანტონიომ", მაგრამ გუნდს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს და მჯერა, რომ "სპურსი" რეგულარულის ბოლოს ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. გააძლიერა "სან ანტონიო" რიჩარდ ჯეფერსონმა, მაგრამ, ჩემი აზრით, "სპურსს", "ბოსტონისა" არ იყოს, ერთი ნაკლი აქვს - გუნდში ბევრი ვეტერანია და რამდენად დასვენებულები შეხვდებიან ლიდერები გადამწყვეტ ფაზას, ამაზე ახლა ვერაფერს გეტყვით. ძალიან მომწონს "დენვერი", რომელმაც შარშან ბოლო წლებში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და წელსაც ეცდება "ლეიკერსისა" და "სან ანტონიოს" დამარცხებას. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ჯანმრთელები შეხვდებიან ფავორიტები პლეი-ოფს და ეს უშუალოდ "ატლანტასაც" ეხება. რაც შეეხება დასავლეთის დანარჩენ გუნდებს: "ნიუ ორლეანს" არავითარი შანსი არა აქვს. გუნდმა დაკარგა კრის პოლი, რომელიც ტრავმირებულია, ბაირონ სკოტი კი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაუშვეს. ოკაფორისა და ჩენდლერის გაცვლას კი "ჰორნეტსისთვის" ბევრი არაფერი შეუცვლია, რადგან დაახლოებით ერთი დონის მოთამაშეები არიან. პლეი-ოფში გავლენ, მაგრამ მეტისთვის ვერ იბრძოლებენ "დალასი", "ჰიუსტონი" და "იუტა". სიურპრიზებს უნდა ველოდოთ "პორტლენდისგან", რომელიც დასავლეთის კონფერენციის "ატლანტაა". ახალგაზრდა, მშიერი გუნდია და ადვილად არავის არაფერს დაუთმობს.

- რა მოიტანა "ატლანტაში" ჯო სმიტმა?

- პირველ რიგში, გამოცდილება. სმიტი არაჩვეულებრივი ადამიანია, სულ ცდილობს გაგამხნეოს. მისგან შენიშვნებსაც ყველა იღებს, რადგან ჯოს უმაღლეს დონეზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ყველაფერი მშვენივრად იცის. თავის დროზე სმიტი დრაფტის პირველი ნომერიც იყო და მას ყველა დიდ პატივს სცემს. მისი მოვალეობაცაა, რომ ახალგაზრდებს დროული რჩევა-დარიგება მოგვცეს და გაგვამხნეოს. ჯოს ტრანსფერს დადებითად ვაფასებ.

- და ბოლოს, როგორ შეაფასებდი საკუთარ გამოსვლას წლევანდელ რეგულარულში?

- გუნდის წარმატებისთვის ყველაფერს ვაკეთებ და მომავალშიც ასე იქნება. ბევრი რამ სათამაშო დროზეა დამოკიდებული, მაგრამ რამდენ ხანსაც უნდა ვითამაშო, ვცდილობ, გუნდს მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო. "ჰოუქსის" პროგრესი აშკარაა, გუნდში ყველა ერთმანეთს ენდობა და გვერდში უდგას. "ატლანტა" ერთი ოჯახივითაა, რომელშიც წინა პლანზე გუნდის ინტერესები დგას. ასე რომ, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და ყველანაირად ვეცდები, "ჰოუქსს" დიდი სარგებელი მოვუტანო. ისევე როგორც "ბოსტონთან". ისევე როგორც "პორტლენდთან". და, საერთოდ, ყველასთან, მეტოქის განურჩევლად.

რაული "რეალში" დაასრულებს კარიერას

მადრიდის "რეალის" ცოცხალი ლეგენდა რაული აცხადებს, რომ "სამეფო კლუბში" სურს კარიერის დასრულება. ეს ინფორმაცია ესპანურმა მედიამ გაავრცელა. ამაში გასაკვირი არაფერია. მოულდონელი და სენსაციური ის იქნებოდა, რაულს ეთქვა, კარიერას სადმე სხვაგან დავამთავრებო.

"თამაშის ისევ მინდა. ფეხბურთი სიამოვნებას მანიჭებს. ამიტომ ვერ ვიტყვი, როდის დავასრულებ კარიერას. არასდროს დამიმალავს, რომ მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერის გატარება "რეალში" მინდოდა. მაგრამ გარემოება ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს. ჩემსა და "რეალს" შორის არსებული ურთიერთობის დანგრევა ადვილი არ არის. ამიტომ, იმედი მაქვს, კარიერას აქ დავასრულებ", - ამბობს რაული.

შემდეგ 32 წლის ფორვარდმა მანუელ პელეგრინის გარშემო შექმნილ ვითარებაზე გააკეთა კომენტარი: "პელეგრინი კარგად იცნობს პრიმერას. ის მიზანდასახული და კარგი ფეხბურთის მოყვარულია. მისი იდეები "რეალის" ისტორიის შესაბამისია. დრო გვიჩვენებს, რომ პელეგრინი სწორედ ის არის, ვინც ჩვენ გვჭირდება. ის საჩემპიონო გუნდს აანყობს".

გაუფრთხილდით რონალდუს!

ბოლოს და ბოლოს, საშველი დაადგა კრიშტიანუ რონალდუს. ექიმებმა პორტუგალიელს ვარჯიშის განახლების უფლება მისცეს და, შესაძლოა, კრიშტიანუმ ელ კლასიკოშიც კი მიიღოს მონაწილეობა.

რონალდუს დაბრუნებას გამოეხმაურა ემილიო ბუტრაგენიო, რომელმაც "რეალის" ფეხბურთელებს სთხოვა, ვარჯიშზე რონალდუს გაუფრთხილდნენ.

"ახლა რონალდუს გაფრთხილება სჭირდება. მართალია, ფეხბურთელს უკვე უნდა თამში, მაგრამ გუნდმა არ უნდა გარისკოს. რაც შეეხება ვარჯიშებს, თანაგუნდელები მასთან თამაშისას ფრთხილად უნდა იყვნენ, რათა შემთხვევით ტრავმა არ მიაყენონ", - ამბობს ბუტრაგენიო.

პრეზიდენტსაც არ აპატიეს

ზოგიერთ ქვეყანაში სტადიონზე ალკოჰოლიანი სასმელების დალევა კანონით იკრძალება. თუმცა, VIP პერსონებისთვის ასეთ ქვეყნებშიც კი უშვებენ გამონაკლისს. სერბეთში კი, ეტყობა, არავისთვის აკეთებენ გამონაკლისს. უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი, ამავე ქვეყნის სპორტის მინისტრთან და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენთან ერთად, სტადიონზე ალკოჰოლის მიღებაშია ბრალდებული.

ეს ფაქტი სერბეთისა და რუმინეთის მატჩის მსვლელობისას მოხდა. თამაშის მეორე დღეს სერბულ გაზეთებში, შამპანურით სავსე ჭიქით ხელში, ტადიჩის ფოტოები დაიბეჭდა.

სერბეთის კანონმდებლობით, სტადიონზე დალევა იკრძალება. მართალია, ტადიჩი ირწმუნება, შამპანურით მხოლოდ სადღეგრძელო ვითქვი და წვეთი არ დამილევიაო, მაგრამ მას, ეტყობა, მაინც მოუწევს ჯარიმის გადახდა - 150-დან 1500 დოლარამდე.

ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო მიმდინარე წლის 1 დეკემბერს გამოიტანს განაჩენს.

ნანი "ფიორენტინაში" გადადის

"მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ნანი გუნდს ალბათ ზამთარში დატოვებს. ფეხბურთელმა ღიად გააკრიტიკა ალექს ფერგიუსონი, შოტლანდიელი კი, როგორც ცნობილია, ამას არავის პატიობს.

ნანის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა "ფიორენტინამ", რომელიც ფეხბურთელში 15 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებს.

"იებს" ახალი ფეხბურთელის შესაძენად საჭირო თანხა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც გასულ ზაფხულს ტურინის "იუვენტუსს" ნახევარმცველი ფელიპე მელუ 20 მილიონ გირვანქად მიჰყიდა. ადრე პორტუგალიელი ფეხბურთელის შეძენის სურვილი "მილანმა" და "იუვენტუსმა" გამოთქვეს. თავად ნანის კი "მანჩესტერის" დატოვება საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი.

"ლივერპულს" საშველი დაადგება

რთულ ვითარებაში მყოფი "ლივერპული", როგორც ჩანს, მალე ამოისუნთქებს. ტრავმა მოიშუშა და გუნდს უბრუნდება მერსისაიდელთა უპირობო ლიდერი სტივენ ჯერარდი. ის პრემიერლიგის გათამაშების მე-13 ტურში "სიტისთან" მატჩში მიიღებს მონაწილეობას.

"წინა თამაშისთვის, რომელშიც ჩვენი მეტოქე "ბირმინგემი" იყო, 100%-ით მზად არ ვიყავი. ამიტომ შეხვედრის შემდეგ ძლიერი დაღლილობა ვიგრძენი. ძალების აღსადგენად ორი-სამი დღე მჭირდებოდა. გასულ კვირაში თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი. ახლა თავს კარგად ვგრძნობ. ასე რომ, ვფიქრობ, "მანჩესტერ სიტისთან" თამაშში პრობლემა არ შემექმნება", - ამბობს ჯერარდი.

დროგბა ოქტომბერში გამოარჩიეს

კომპანია Castrol Ranking-მა ევროპაში ოქტომბრის საუკეთესო ფეხბურთელად ლონდონის "ჩელსის" კოტდივუარელი თავდამსხმელი დიდიე დროგბა დაასახელა.

Castrol Ranking-ი თანამედროვე ფეხბურთში სიახლეა. ამ რეიტინგში გათვალისწინებულია ფეხბურთელთა სტატისტიკური მაჩვენებლები. დროგბა სწორედ სტატისტიკის გამო გახდა საუკეთესო.

ოქტომბერში ინგლისის პრემიერლიგაში გამართულ ოთხ მატჩში დროგბამ სამი გოლი გაიტანა. "არისტოკრატებმაც" ამდენჯერვე გაიმარჯვეს. შედეგად, რეიტინგში დროგბამ 50 ადგილით წინ წაიწია და ახლა 23-ე ადგილზეა. საერთო რეიტინგს სათავეში უდგას ტიერი ანრი, რომელსაც ფეხდაფეხ მიჰყვება ლიო მესი.

ქართული დღე იაპონიაში

იაპონიის ქალაქ ფუკუოკას საერთაშორისო ცენტრში მიმდინარე სუმოისტთა წლის უკანასკნელ სუპერტურნირზე ქართული დღე დადგა. ბაშოზე საინტერესო ტენდენცია დაფიქსირდა - ტურნირის მეოთხე დღეს სამივე ქართველს უნდა მოეგო. ასეც მოხდა. ტურნირის პირველ დღეს სამივე ქართველმა წააგო, კოკაიმ და ტოჩინოშინმა - მაკუჩი დივიზიონში, გაგამარუმ კი - რანგით დაბალ ძუროს დივიზიონში. მეორე დღეს მოიგო ტოჩინოშინმა, კოკაი და გაგამარუ კი ისევ დამარცხდნენ. შემდეგ ტოჩინოშინმა და გაგამარუმ გაიმარჯვეს და მხოლოდ კოკაიმ გაგვაწბილა. გუშინ კი სამივე ქართველმა მოიგო.

ძუროს დივიზიონში მოასპარეზე თემურაზ ჯუღელმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა გამარჯვება. ახლა მის ბალანსზე ორ-ორი მარცხი და მოგებაა. კოტენაგეს ილეთით გაგამარუმ შირონონამი დაამარცხა.

რაც შეეხება მაკუჩი დივიზიონს, პირველ დღეს განცდილი მარცხის შემდეგ ზედიზედ მესამე ბრძოლა მოიგო ტოჩინოშინმა, თუმცა ამჯერად ქართველ სუმოისტს დოჰიოზე გასვლაც არ დასჭირვებია - მისი მეტოქე, აღმოსავლეთის მეხუთე მაიგაშირა ტოინოშიმა ვადამდე გამოეთიშა ტურნირს.

კოკაიმ ნოემბრის ბაშოზე პირველად გაგვახარა. ვეტერანმა ქართველმა სამი წაგებული ბრძოლის შემდეგ აღმოსავლეთის მერვე მაიგაშირა არანს სძლია და აქტივში პირველი ქულა ჩაიწერა.

თავად ბაშო სენსაციების გარეშე მიმდინარეობს. ორივე იოკოძუნას ოთხ-ოთხი ბრძოლა აქვს მოგებული. იმპერატორის თასისთვისაც ალბათ სწორედ ისინი შეეჭიდებიან ერთმანეთს.

დღეს ბაშოს მეხუთე დღეა. გაგამარუ ხვდება ვაკაკოუის, რომელსაც ოთხიდან სამი ბრძოლა აქვს მოგებული. კოკაის მეტოქეა დასავლეთის მეცამეტე მაიგაშირა მაკონამი, რომელიც ბაშოს მაღალ დონეზე ატარებს - უკვე სამი მოგება დაუგროვდა. ტოჩინოშინი კი ზედიზედ მეოთხე გამარჯვების მოპოვებას დასავლეთის მეექვსე მაიგაშირა კუკუტენოსთან შეეცდება. კუკუტენოს ოთხიდან ორი ბრძოლა აქვს მოგებული.

პიტბულის პროგნოზი



ედგარ დავიდსი

"იუვენტუსის", "ინტერის", "მილანის", "ბარსელონასა" და "აიაქსის" ყოფილმა ვარსკვლავმა, ჰოლანდიელმა პიტბულმა ედგარ დავიდსმა სააგენტო Goal.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა მომავალ მუნდიალზე, ჩემპიონთა ლიგასა და თავის ახალ გატაცებაზე "სტრიტ სოკერზე".

დავიდსი, რომელმაც კარიერის უდიდესი ნაწილი იტალიურ სერიაში გაატარა, ახლა ქუჩის ფეხბურთით ერთობა. თავის გუნდში ის რონალდინიოს, კრიშტიანუ რონალდუს, ზლატან იბრაჰიმოვიჩს და სხვებს აიყვანდა, მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად კი ესპანეთს მიიჩნევს.

ამავე დროს პიტბული თვლის, რომ მილანის "ინტერს" აქვს რეალური შანსი მოიგოს ჩემპიონთა ლიგა. აგერ უკვე 45 წელია, "ნერაძურის" ევროპული საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი არ მოუგია.

"მსოფლიო ჩემპიონატი? ვფიქრობ, ესპანეთს მუნდიალის მოგება შეუძლია, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ სამხრეთამერიკული და ევროპული ფეხბურთის ბობოლები. ვფიქრობ, დიდ სიურპრიზს შემოგვთავაზებს კოტ დ`ივუარის ნაკრები. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, მინდა, რომ ტურნირი იმ გუნდმა მოიგოს, რომელიც ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს. მილანის "ინტერს" მოგების კარგი შანსი აქვს. ეს გუნდი კარგად არის დაკომპლექტებული და მწვრთნელიც მაღალი დონისა ჰყავს. "მილანი"? რაოდენ დიდი კრიზისიც არ უნდა იყოს ამ გუნდში, "რესონერის" ყოველთვის შეუძლია მნიშვნელოვანი ტურნირის მოგება", - აცხადებს დავიდსი.

შემდეგ დავიდსმა ქუჩის ფეხბურთზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ მთავარია სისწრაფე და ტექნიკა. როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ ვის აიყვანდა თავის გუნდში, პიტბულმა დაუფიქრებლად უპასუხა: "ჩემს გუნდში აუცილებლად იქნებოდა რონალდინიო, რადგან მას შეუძლია, თამაში სპექტაკლად აქციოს, რობინიო, იბრაჰიმოვიჩი, კრიშტიანუ რონალდუ და რობინ ვან პერსი. აი, ამ ფეხბურთელებსაც ავიყვანდი."

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის (PCC)

განცხადება

2009 წლის 11 ნოემბერს გამოქვეყნებულ განცხადებას "ცენტრის შესყიდვების ოფიცრის ვაკანსიის შესახებ" ვაცხადებთ გაუქმებულად.

განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერობის სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 17 ივლისს №160 გაზეთში "24 საათი" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტად გამოვლინდა №1 ლოტზე ფიზიკური პირი გიორგი მახარაშვილი, რომელსაც 2009 წლის 06 ნოემბერს გაუფორმდა №3214010304/03/121 ხელშეკრულება ღირებულებით 98555 (ოთხმოცდათვრამეტი ათას ხუთასორმოცდათხუთმეტი) ლარი.

საქმე N3-58/09

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

03 ნოემბერი 2009 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლო მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე

მოსარჩელე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

მოპასუხე - ჯემალ აბაშიძე

დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 78-ე, 284-285-ე მუხლებით

დაადგინა:

1. ადმინისტრაციულ საქმეზე ჯემალ აბაშიძის სარჩელისა გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2009 წლის 26 ნოემბერს, 15.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს №4 სხდომის დარბაზში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

2. ჯემალ აბაშიძეს განემარტოს, თუკი ის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებული არიან გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობონ სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს.

3. ჯემალ აბაშიძეს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში "24 საათი" ან გაზეთ "აჭარაში". სჯარო შეტყობინება განხორციელდეს მოსარჩელის ხარჯზე.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე: ჯ. ბეჟანიძე

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მის: (ქ. თბილისი თამარაშვილის ქ. №15ა) აცხადებს ტენდერს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების შენახვის ხარჯებიდან კომპაქტურად განსახლების ობიექტების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ერთ ლოტად და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტი:

ლოტი	ობიექტების მისამართი ქ. თბილისი	შესასრულებელ სამუშაოების მოკლე აღწერა
1	მოსკოვის გამზირი 17 ბ, შპს "ნიკოლო"-ს ს/ს	დაზიანებული სახურავის აღდგენა
	ტურბაზა "თბილისის ზღვა"	
	საქსტანდარტი, ნაძალადევი, სანზონა	
	გლდანი VII მ/რ, №124 ბაღი	
	გლდანი III მ/რ,134-ე ბ/ბაღი	
	ს.ს. "ოპტიკა", მუხიანის II მ/რ, კორპ.33	
	რკინიგზის საავადმყოფო, თ.მღვდლის ქ. 13	
	ლილო 63-ე.პროფ სასწავლებელი	
	ტუბდისპანსერი, მე3 კორპუსი, სამგორის №8	
	არაშენდა, თემქა, 11 მ/რ, II კვ	
	ც. დადიანის №134, რკინიგზის პროფ. სასწ. №1 შენობა	
	უწერის №11, სამხედრო კათედრა, ავჭალა	
	გარდაბნის გზატკეცილი №6, 78-ე საჯარო სკოლა	
	ხუდადოვის №173, სამხედრო ქალაქი	

1. მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 30 დეკემბრამდე.

2. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებელის გადახდა 200 ლარის ოდენობით შეუძლიათ შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი №220101222, ა/ა 200122900, სახაზინო კოდი 302003174. აუცილებლად უნდა მიეთითოს: სატენდერო მოსაკრებელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვისთვის. გადახდის დამადასტურებელი ქვითარი წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის № 15ª მე-6 სართული ოთახი № 624, რის შემდეგაც დაინტერესებულ პირებს დაუყოვნებლივ გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

3. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 10 დეკემბრის 18 ^{00} სთ-მდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დახურულ კონვერტში 2009 წლის 11 დეკემბრის 10:00-დან 16:00 საათამდე, მისამართზე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, ქ. თბილისი თამარაშვილის № 15ª მე-6 სართული ოთახი № 624.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1. იურიდიული პირებისათვის

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ ტენდერში მონაწილის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა ან სანაციის საქმე.

გ) ცნობა შესაბამის სამსახურიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

დ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი მუშაკები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

5.2. ფიზიკური პირებისათვის

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, სბანკო რეკვიზიტები, ელექტრონული ფოსტის მისამართი.

ბ) ცნობა შესაბამისი სამსახურიდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ.

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი.

ე) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან კეთილსინდისიერების შესახებ

6. წარმოდგენილ უნდა იქნეს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

9. ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 1%-ის ოდენობით (გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას).

11. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

12. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი.

13. ტენდერი ჩატარდება 2009 წლის 11 დეკემბრის 16:00 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ª მე-6 სართული №605 ოთახში.

14. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი;

ბ) წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად.

15. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

16. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2009 წლის 11 დეკემბრის 16:00 სთ-ზე.

17. სატენდერო დოკუმენტაციით წარმოსადგენი სავალდებულო მოთხოვნები:

ა) ერთობლივი შემოსავალი ბოლო სამი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1 000 000 ლარს. ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ბოლო სამი კალენდარული წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის ასლი ან დუბლიკატი.

ბ) პრეტენდენტს ბოლო სამი წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ერთი მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70%-ს ფულად გამოსახულებაში. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით.

18. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს: იულია ტყეშელაშვილი, ნინო ღუდუშაური, ტელ: (822) 31 13 43

სატენდერო კომისია.

"მანჩესტერს" ბრაზილიელი ნახევარმცველი უბრუნდება

იმის გამო, რომ მანკუნიანელთა პორტუგალიელი ნახევარმცველი ნანი ზამთარში გუნდს დატოვებს, "მანჩესტერი" ბრაზილიელი პოსებონის დაბრუნებას აპირებს. ეს ფეხბურთელი "მანჩესტერმა" 2008 წელს იყიდა, თუმცა იჯარით "ბრაგაში" გაუშვა.

ბრაზილიელმა პორტუგალიის ჩემპიონატში ვერაფრით გამოიჩინა თავი. "მანჩესტერის" მესვეურებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს მომავალში ის სასურველ დონეზე ითამაშებს.

ჯეკო "მილანისკენ" იყურება

"ვოლფსბურგისა" და ბოსნიის ნაკრების ფორვარდი ედინ ჯეკო სეზონის დასრულების შემდეგ "მილანში" გადასვლას აპირებს.

"მილანთან დაკავშირებული ისტორია არ დასრულებულა. "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელობას უკვე ვუთხარი, რომ "მილანში" გადასვლა მინდა. ყოველთვის "როსონერის" ვგულშემატკივრობდი, ამიტომ სწორედ ამ გუნდში მინდა ვითამაშო," - განაცხადა ჯეკომ.

გასულ ზაფხულს "მილანი" ცდილობდა ჯეკოს გადაბირებას, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. გამორიცხული არ არის, რომ "როსონერიმ", რომელიც მაღალი კვალიფიკაციის ფორვარდის დეფიციტს განიცდის, ზამთარშივე სცადოს ბოსნიელი მეგოლის შეძენა.

მუტკო თანამდებობას ტოვებს

რუსეთის ფედერაციის სპორტის მინისტრი ვიტალი მუტკო მომავალ კვირაში ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებს.

საფეხბურთო მოხელის ეს გადაწყვეტილება რუსეთის პრეზიდენტის დმიტრი მედვედევის მიერ ცოტა ხნის წინ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება - მედვედევმა მოითხოვა, რომ სპორტულ ფედერაციებს, რომლებსაც მთავრობის მოხელეები შეთავსებით ხელმძღვანელობენ, მხოლოდ პროფესიონალი ფუნქციონერები ჩაუდგნენ სათავეში. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ახალ პრეზიდენტს, სავარაუდოდ, თებერვალში აირჩევენ. მანამდე კი ამ ფუნქციებს საფეხბურთო კავშირის პირველი ვიცეპრეზიდენტი ნიკიტა სიმონიანი შეასრულებს. ვიტალი მუტკო რუსულ ფეხბურთს 2005 წლიდან თავკაცობდა.

ხელგაშლილი ეტო`ო

კამერუნის ნაკრები მეტწილად ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და თითოეულ მათგანს მაღალი ანაზღაურება აქვს. თუმცა, სიმდიდრის მხრივ, სამუელ ეტო`ოს ვერც ერთი კამერუნელი ფეხბურთელი ვერ შეედრება. ეტო`ო საოცრად კეთილი ადამიანიც ყოფილა. მას შემდეგ, რაც კამერუნის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა, სემიმ თანაგუნდელები ძვირფასი საათებით დაასაჩუქრა (თითო საათი 30 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.)

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ეტო'ომ თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის წარმომადგენლები მატერიალურად წაახალისა. ოთხი წლის წინ, საშინაო მატჩში კოტდივუარელთა დამარცხების შემდეგ, "ბარსელონას" ყოფილმა თავდამსხმელმა კამერუნის ნაკრების თითოეულ ფეხბურთელს ორი ათასი აშშ დოლარი გადასცა.

ინძაგი ბოლომდე მილანელი იქნება

"მილანის" ვეტერანი ფორვარდი პიპო ინძაგი აცხადებს, რომ კარიერას "როსონერიში" დასასრულებს. 36 წლის თავდამსხმელი "მილანის" ძირითადში ვერ ხვდება. ამავე დროს პიპოს სარფიანი შეთავაზებები აქვს "პარმასა" და "მანჩესტერ სიტისგან", თუმცა მას მხოლოდ "როსონერიში" სურს კარიერის დასრულება. "მშვიდად ვარ, რადგან მახსოვს ცოტა ხნის წინ შემდგარი საუბარი გალიანისთან და დარწმუნებული ვარ, ჩემი მომავლის შესახებ კლუბი იანვარ-თებერვალში იმსჯელებს. თუ ხელმძღვანელობა მოისურვებს, დავრჩები, რადგან ვოცნებობ, კარიერა "მილანში" დავასრულო. რაც შეეხება სპორტიდან წასვლას, კარიერას მაშინ დავასრულებ, როდესაც ვიგრძნობ, რომ შესაბამისი მომენტი დადგა. მანამდე კი მინდა გუნდს გამოვადგე", - აცხადებს ინძაგი.

ფიფას მუქარა

ფიფამ ერაყის ხელისუფლება მოსალოდნელი სადისციპლინო სანქციების შესახებ გააფრთხილა. იმ შემთხვევაში, თუ ერაყში ფეხბურთის ფედერაცია ძველი უფლებებით არ აღდგება, ამ ქვეყანას ფიფა სადისციპლინო სანქციებს დააკისრებს. ფიფას ხელმძღვანელობას მიუღებლად მიაჩნია ის, რომ ერაყის ოლიმპიურმა კომიტეტმა ფეხბურთის ასოციაცია დაშლილად გამოაცხადა. მსოფლიო ფეხბურთის თავკაცთა მოთხოვნით, ერაყის ფეხბურთის ასოციაცია 72 საათის განმავლობაში უნდა აღდგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეში ფიფას საგანგებო კომიტეტი ჩაერევა.

"იუვეს" დელ პიერო დაუბრუნდა

ტრავმა მოიშუშა და გუნდს უბრუნდება ალექს დელ პიერო, რომელიც იმედოვნებს, რომ იტალიის ჩემპიონატის უახლოესი ტურის შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.. მომავალ კვირას "იუვენტუსი" სერია A-ს მე-13 ტურის შეხვედრას "უდინეზეს" წინააღმდეგ გამართავს. ფორვარდი აცხადებს, რომ ამ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება. "საკვირაო მატჩისთვის მზად ვარ. აუცილებლად კარგი ფეხბურთი უნდა ვაჩვენოთ. შემადგენლობაში არსებული კონკურენცია პრობლემას არ მიქმნის. ფერარას უკვე ვესაუბრე და ის ისე გამომიყენებს, როგორც გუნდისთვის უკეთესი იქნება", - დასძენს 34 წლის ფორვარდი, რომლის კომენტარსაც Football Italia ავრცელებს.

"ოქროს უნიტაზის" ნომინანტები

წლის ბოლოს გამორჩეულებს აჯილდოებენ: ასახელებენ "ოქროს ბურთის" მფლობელს, ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელს. სხვადასხვა გამოცემებმაც გამოიდეს თავი და, ვინ მოთვლის, რამდენი ჯილდო თამაშდება. იტალიელებმა კი შვიდი წლის წინ დაიწყეს "ოქროს უნიტაზის" მფლობელის გამოვლენა. ეს ტიტული გადაეცემა იტალიურ სერია ა-ში მოთამაშე ფეხბურთელს, რომელმაც წლის განმავლობაში "განსაკუთრებით" გამოიჩინა თავი. უფრო მარტივად, ყოველგვარი სარკაზმის გარეშე, ისეთ ფეხბურთელს, რომელმაც ყველაზე მეტად გაგვიცრუა იმედი.

იტალიელებმა "დინიო" "ოქროს უნიტაზისთვის" გაიმეტეს

უკვე ცნობილია იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაგანაც იქნება არჩეული "საუკეთესო". სანამ მათ შესახებ ვისაუბრებდეთ, გეტყვით, თუ ვის მოუგია ეს "საპატიო" ჯილდო. 2003 - რივალდო, 2004 - ნიკოლა ლეგროტალიე, 2005 - კრისტიან ვიერი, 2006-2007 - ადრიანო, 2008 - რიკარდო კვარეჟმა.

ახლა კი იმ "იღბლიანების" შესახებ, რომლებიც 2009 წლის "ოქროს უნიტაზის" ნომინანტებად დაასახელეს.

რიკარდო კვარეჟმა ("ინტერი") - მიზეზი იმისა, რომ პორტუგალიელი ზედიზედ მეორედ აცხადებს პრეტენზიას "ოქროს უნიტაზის" მოგებაზე, მარტივია: გასულ სეზონთან შედარებით კვარეჟმას იოტისოდენადაც არ მოუმატებია. მეტიც, "ინტერიდან" გაგდების მთავარი კანდიდატია, მიუხედავად იმისა, რომ მილანურ კლუბს მისი თანამემამულე და ახლოებლი ჟოზე მოურინიო წვრთნის.

კრისტიან პოულსენი ("იუვენტუსი") - ამ შემთხვევაში იტალიელთა არჩევანი აშკარად ტენდენციურია. "იუვენტუსში" დანიელი ურიგოდ არ თამაშობს და ნამდვილად არ იმსახურებს ამ "საპატიო ჯილდოს". ეტყობა, აპენინებზე ვერაფრით ვერ დაივიწყეს ის ეპიზოდი, რომელიც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხდა, როდესაც პოულსენმა ტოტის შეაფურთხა.

ამანსიანო მანსინი ("ინტერი") - აქ კი ყველაფერი ნათელია. მანსინი "რომაში" და მანსინი "ინტერში" - ორი რადიკალურად განსხვავებული ფეხბურთელია. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმენება, რომ "ინტერში" ბრაზილიელის უვარგისი დუბლიკატი თამაშობს.

ნელსონ დიდა ("მილანი") - გასულ წელს მეკარის პრობლემა "როსონერიში" მწვავედ იდგა. დიდას შეცდომები ხშირად ფატალურიც იყო. ყველაფერს ისიც ამძიმებს, რომ ბრწყინვალედ თამაშობს "მილანის" მთავარ კონკურენტ "ინტერში" დიდას თანამემამულე ჟულიო სეზარი.

კლას-იან ჰუნტელაარი ("მილანი") - ჰოლანდიელი მილანური კლუბის მთავარ იმედგაცრუებად იქცა. მართალია, ჰუნტელაარი სულ ახლახან გადავიდა "მილანში" და შესაძლოა ნაადრევიცაა მისი წარდგენა "ოქროს უნიტაზზე", მაგრამ, მეორე მხრივ, იტალიელები მართლები არიან - კლას-იანს გოლები ვერ გააქვს და, როგორც ჩანს, მისგან მეორე ვან ბასტენიც არასდროს გამოვა.

ჟულიო ბაპტისტა ("რომა") - "რომასა" და ბაპტისტას დეგრადაცია ერთმანეთს ემთხვევა. ტოტის არყოფნაში ჟულიო ვალდებული იყო საკუთარ თავზე აეღო თამაში, თუმცა, არაფერი გამოუვიდა. ის საკუთარ აჩრდილს ჰგავს.

ხუან პაბლო კარისო ("ლაციო") - კიდევ ერთი მეკარე, თუმცა, დიდასგან განსხვავებით, რომელიც მილანელთათვის სიმბოლოდ იქცა და მას ბევრს პატიობენ, კარისო "ლაციოს" ფანებისთვის ერთი წარუმატებელი არგენტინელი მეკარეა და მეტი არაფერი.

ფელიპე მელო ("იუვენტუსი") - აქ კი "ოქროს უნიტაზის" ორგანიზატორებმა აშკარად გადააჭარბეს. ჯერ ერთი, მელო სეზონის დასაწყისში გადავიდა "იუვენტუსში" და სულაც არ არის აუცილებელი, რომ სადებიუტო სეზონშივე გაიბრწყინოს. მეორეც, 2009 წლის პირველი ნაწილი მელომ "ფიორენტინაში" გაატარა და ბრწყინვალედ თამაშობდა.

ტიაგუ ("იუვენტუსი") - ლოგიკურია, რომ ამ სიაში მოხვდა. ალბათ ეს მისი უკანასკნელი ნომინაცია არ იქნება ამ ჯილდოზე.

რონალდინიო ("მილანი") - დინიომ, შესაძლოა, თავისი თანამემამულის რივალდოს გზა გაიმეოროს. თანაც, რივალდოსა და რონალდინიოს ბედი გარკვეულწილად ჰგავს ერთმანეთს. ორივე "ბარსელონიდან" გადავიდა "მილანში", ორივეს, როგორც მშველელს, ისე ელოდნენ "როსონერიში".

თუმცა, მსგავსება აქ მთავრდება. ბოლო დროს ბრაზილიელი ჯადოქარი ათამაშდა და ნელ-ნელა ღიმილიც დაიბრუნა. ვფიქრობთ, "გაუჩო" არც "ფახთაქორში" აპირებს გადასვლას და არც "ბუნედკორში". ვნახოთ, რა ელის რონალდინიოს. შეიძლება ითქვას, ახლა მას მეორე სუნთქვა ეხსნება.

იტალიაში ფეხბურთი ზედმეტად პოლიტიზებული ყოფილა

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ინტერიდან" "ბარსელონაში" გადასული შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჟურნალისტებთან საუბარში იტალიურ და ესპანურ ფეხბურთს ადარებს. მას მიაჩნია, რომ აპენინებზე ფეხბურთი ზედმეტად პოლიტიზებულია. იმასაც ამბობს, რომ იტალიელებისთვის მთავარია საკუთარი კარის მშრალად შენახვა და არა გოლის გატანა. ესპანეთში კი ფეხბურთი უფრო სპექტაკლს ჰგავს.

იბრაჰიმოვიჩს ესპანური ფეხბურთი სპექტაკლად მიაჩნია

შვედი ფორვარდის თქმით, იტალიაში მედიაც კი გაყოფილია. ზოგიერთი გაზეთი "იუვენტუსს" უჭერს მხარს, ზოგიერთი კი - მილანურ კლუბებს.

"როდესაც "იუვენქტუსთან" ერთად სკუდეტო მოვიგე, "ტუტოსპორტი" გახარებული იყო, "გაძეტა დელო სპორტი" კი - განაწყენებული. შემდეგ "ინტერთან" ერთად გავხდი ჩემპიონი და ყველაფერი შეიცვალა. მიმაჩნია, რომ იტალიაში ფეხბურთი ზედმეტად პოლიტიზებულია", - აცხადებს იბრაჰიმოვიჩი.

ზლატანის სიტყვები სიმართლეს ჰგავს. თუმცა, აქ ერთ დეტალზე გვსურს ყურადღების გამახვილება. თუ იბრაჰიმოვიჩი ამას იტალიური ფეხბურთის ნაკლად თვლის, მაშინ ისიც უნდა თქვას, რომ ასეთი რამ ესპანეთშიც ხდება. მაგალითად, გაზეთები "ასი" და "მარკა" "რეალს" ლობირებენ, "სპორტი" და "მუნდო დეპორტივო" კი "ბარსელონას" მხარდამჭერ გაზეთებად ითვლება.

რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩის მოსაზრებებს წმინდა საფეხბურთო მხარეზე, აქ ძნელია შვედს შეეკამათო.

"იტალიური ლიგა ძალიან მძიმეა. ძნელია ფორვარდისთვის იტალიაში თამაში, რადგან გუნდები 100 პროცენტით დაცვაზე არიან კონცენტრირებული. მათი მთავარი ამოცანა საკუთარი კარის მშრალად შენახვაა და არა გოლის გატანა. ესპანეთში უფრო რისკიან ფეხბურთს თამაშობენ. აქ გუნდებს გოლების გატანა სურთ. ესპანური ფეხბურთი უფრო სანახაობრივია და მეტად ჰგავს სპექტაკლს", - ამბობს იბრაჰიმოვიჩი.

განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერობის სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" და "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების" პროგრამების დაფინანსების ფარგლებში საგანმნათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 07 სექტემბერს №193 გაზეთში "24 საათი" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ №7 და №8 ლოტებზე შ.პ..ს "ჭიათურმშენი" რომელსაც 2009 წლის 19 ოქტომბერს გაუფორმდა №3214010304/03/119 ხელშეკრულება ღირებულებით 281 726,36 (ორასოთხმოცდაერთი ათას შვიდასოცდაექვსი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი, №1, №3 და №14 ლოტებზე შ.პ.ს. "გრანდმშენი", რომელსაც 2009 წლის 15 ოქტომბერს გაუფორმდა №3214013216/03/110 ხელშეკრულება ღირებულებით 169 595 (ასსამოცდაცხრა ათას ხუთასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი,№9 და №11 ლოტებზე შ.პ.ს. "მ.კ", რომელსაც 2009 წლის 15 ოქტომბერს გაუფორმდა №3214010304/03/109 ხელშეკრულება ღირებულებით 231 061,78 (ორასოცდათერთმეტი ათას სამოცდაერთი ლარი და სამოცდათვრამეტი თეთრი) ლარი, №4, №6 და №17 ლოტებზე შ.პ.ს. "მშენებელი" რომელსაც 2009 წლის 13 ოქტომბერს გაუფორმდა №3214013216-04/03/108 ხელშეკრულება ღირებულებით 166 964,98 (ასსამოცდაექვსი ათას ცხრაასსამოცდაოთხი ლარი და ოთხმოცდათვრამეტი თეთრი) ლარი, №5, №13 და №16 ლოტებზე შ.პ.ს. "იმერეთმშენი" რომელსაც 2009 წლის 15 ოქტომბერს გაუფორმდა №3214013216-04/03/112 ხელშეკრულება ღირებულებით 203 365,35 (ორასსამი ათას სამასსამოცდახუთი ლარი და ოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი.

განცხადება ტენდერის შედეგების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერობის სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში საქართველოს საჯარო სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სახელმწიფო შესყიდვაზე 2009 წლის 01 ივლისს №146 გაზეთში "24 საათი" გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ №2 და №6 ლოტებზე ფიზიკური პირი დავით ლეჟავა, რომელსაც 2009 წლის 01 ოქტომბერს გაუფორმდა №3214010304/03/106 ხელშეკრულება ღირებულებით 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, ხოლო №1 ლოტზე შ.პ.ს "ტექნიკური დიზაინის სტუდია", რომელსაც 2009 წლის 15 ოქტომბერს გაუფორმდა №3214010304/03/113 ხელშეკრულება ღირებულებით 28 899.91 (ოცდარვა ათას რვასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცდათერთმეტი თეთრი) ლარი.

ცვლილება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიერ 2009 წლის 06 ნოემბერს გამოცხადებულ ტენდერში

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი
შესყიდვის ობიექტი – ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით)

განცხადების პირველი პუნქტი შეცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ვიდეოსათვალთვალო სისტემების (მონტაჟით) შესყიდვაზე.

შესყიდვის ობიექტი:

საქონლის დასახელება		განზომილების ერთეული	რაოდენობა
ვიდეოსათვალთვალო სისტემები (მონტაჟით)	ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა, დღე/ღამის რეჟიმით, გარე გამოყენებისთვის	ცალი	11
	ქსელური მართვის მოძრავი (IP) ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით, შიდა გამოყენებისთვის	ცალი	4
	ქსელური (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა დღე/ღამის რეჟიმით ინფრაწითელი განათებით, გარე გამოყენებისთვის	ცალი	25
	ქსელური ფერადი (IP) ფიქსირებული ვიდეოკამერა შიდა გამოყენებისთვის	ცალი	69
	ვარიფოკალური ლინზა	ცალი	69
	ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 8 არხიანი (NVR/DVR)	ცალი	17
	ქსელური ჩამწერი მოწყობილობა 16 არხიანი (NVR/DVR)	ცალი	2
	სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა)	ცალი	1
	სერვერის აქსესუარი (გადამყვანი მოწყობილობა)	ცალი	1
	კედლის რეკი	ცალი	19
	უწყვეტი კვების ბლოკი UPS, ჩამწერებისთვის და კამერებისთვის	ცალი	19
	გარე მიერთების მყარი დისკი	ცალი	2
	სვიჩი 16 პორტიანი	ცალი	17
	სვიჩი 24 პორტიანი	ცალი	2
	სერვერის ოპერაციული სისტემა	ცალი	1

შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სატენდერო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, მე-8 სართული, ოთახი №8-9; ტელეფონი: (+995 32) 261-337, 261-335; საკონტაქტო პირები: ალექსანდრე თევდორაძე, ირაკლი თადიაშვილი, ელ-ფოსტა: **a.tevdoradze@mof.ge, i.tadiashvili@mof.ge.**

USAID ამერიკელი ხალხისგან | COMMUNITY CONNECTIONS

www.ccgeorgia.ge

სტაჟირება ამერიკაში
იწყება ქართველი პროფესიონალების შერჩევა საზოგადოებრივი კავშირების 2010 წლის პროგრამებისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ამერიკული ორგანიზაცია PH International (ადრე ცნობილი როგორც „პროექტი ჰარმონია") მოხარულები არიან გამოაცხადონ 2010 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის დაწყება. საზოგადოებრივი კავშირები, ეს არის სამკვირიანი პროგრამა აშშ-ში, რომელიც ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საქართველოში. პროგრამა მოიცავს სემინარებს აშშ-ში, ანალოგიურ ორგანიზაციებში ვიზიტებს, ამერიკელ პროფესიონალებთან პირისპირ შეხვედრებს და ცხოვრებას ამერიკელ მასპინძელ ოჯახებში. ყველა ხარჯს, როგორიცაა მგზავრობის ღირებულება აშშ-ში, დაზღვევა, პროფესიული და კულტურული პროგრამები, ცხოვრება და კვება აშშ-ში ფარავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გარდა პროგრამის მონაწილეთა პასპორტის ღირებულებისა და საქართველოს ფარგლებში მგზავრობისა.

2010 წელს, საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2010 წლის მარტ - აპრილში გაივლიან:

ფილმების დაარქივება - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)
ფილმების დაარქივების პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქართული კინო ცენტრის, ეროვნული არქივის, კულტურის სამინისტროს, ქართული ფილმის და ფილმის მუზეუმის წარმომადგენლებს, პროფესიონალებს, მენეჯერებს და ტექნიკურ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ფილმის არქივის შექმნაზე. აგრეთვე სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქართული ფილმის არქივის შექმნას და განვითარებას. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა: **2009 წლის 21 დეკემბერი, 17:00 საათი.**

საზოგადოებრივი მაუწყებელი - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)
საზოგადოებრივი მაუწყებლის პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებს, გადაცემების პროდიუსერებს და ჟურნალისტებს, აგრეთვე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრებს, სამოქალაქო საზოგადოების იმ აქტიურ წევრებს, რომლებიც კონკრეტულად მედიის განვითარებაზე მუშაობენ, მედია ადვოკატირების ჯგუფების ლიდერებს, სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, და კანონმდებლებს, რომლებიც სპეციალიზირებული არიან მედია საკითხებში. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა: **2009 წლის 22 დეკემბერი, 17:00 საათი.**

ნარჩენების გადამუშავება - ქვეყნის მასშტაბით (10 მონაწილე)
ნარჩენების გადამუშავების პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანიების მენეჯერებს, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც გააჩნიათ ნარჩენების გადამუშავების შესაბამისი სამუშაო გამოცდილება და ხელს უწყობენ ამ პროცესის განვითარებას საქართველოში. საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა: **2009 წლის 23 დეკემბერი, 17:00 საათი.**

აპლიკაციების მიღება და ჩაბარება:
იჩქარეთ! პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ სააპლიკაციო ფორმა და ჩააბარონ იგი საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში თბილისში. დაგვიანებით შემოტანილი აპლიკაციები არ განიხილება. ასევე გაითვალისწინეთ, რომ აპლიკაციები ელექტრონული ფორმით არ მიიღება. აპლიკაციები შეიძლება მიიღოთ საზოგადოებრივი კავშირების ოფისში ან ჩამოტვირთოთ პროგრამის ვებ.გვერდიდან: www.ccgeorgia.ge

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაუკავშირდით საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისს თბილისში:

ვ. ანჯაფარიძის ქ. N7, II სადარბაზო, II სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელ/ფაქსი: +995 (32) 223847, 250071
ელ.ფოსტა: tamuna.pruidze@ph-int.org
ვებ.გვერდი: www.ccgeorgia.ge & www.ph-int.org

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს იაპონიის გრანტის პროგრამა 2KR-VII-ით მიღებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რეალიზაციის შესახებ

ლოტი	№	ლოტში შემავალი ტექნიკის დასახელება	შასის №	ძრავის №	ლოტში შემავალი ტექნიკის რაოდენობა	ლოტის ფასი (ლარი)	ტექნიკის აღწერილობა
ლოტი	1	ტრაქტორი ბელარუს-1025	10300939	199394	1	23 200.00	ვიზუალურად ტრაქტორი კარგ მდგომარეობაშია, ძრავიდან და გადაცემათა კოლოფიდან გასდის ზეთები, განათების სისტემა დაზიანებულია, ცენტრალური მკლავი არ აქვს, ბარედან აქვს რამდენიმე ადგილზე მცირეოდენი დაზიანება, ძრავის ჩამქრობი ბაბირი გაფუჭებულია.
ლოტი	2	ტრაქტორი ბელარუს-1025	10300905	199922	1	23 600.00	„სალნიკებიდან" გასდის ზეთი, განათების სისტემა დაზიანებულია, უკანა სისტემას აკლია ჯაჭვი, ცენტრალური მკლავი არ აქვს.
ლოტი	3	ტრაქტორი ბელარუს-1025	10300917	199407	1	19 881.00	ტურბო კომპრესორი დაზიანებულია, ძარა გატეხილია და შედუღებულია რამდენიმე ადგილზე, დგარები გაბზარულია, უკანა საბურავები დაზიანებულია, კლავები შედუღებულია.
ლოტი	4	ტრაქტორი ბელარუს-1025	10300920	199403	1	19 881.00	ტურბო კომპრესორი დაზიანებულია, ძარა სეცვლილია და შედუღებულია, დგარები გაბზარული, კლავები შედუღებულია, უკანა საბურავი დაზიანებულია, წინა ხიდის ამძრავი მექანიზმი დაზიანებულია.
ლოტი	5	ტრაქტორი, ბელარუს-1025	10300922	199388	1	25 200.00	ვიზუალურად ტრაქტორი კარგ მდგომარეობაშია, „სალნიკებიდან" გასდის ზეთი, განათება მოუწესრიგებელია, გიდრავლიკურ ამწევ სისტემას აკლია ჯაჭვი, ცენტრალური მკლავი არ აქვს, ბარედან აქვს რამდენიმე ადგილზე მცირეოდენი დაზიანება.
ლოტი	6	ტრაქტორი, ბელარუს-1025	10300914	199915	1	24 300.00	ვიზუალურად ტრაქტორი კარგ მდგომარეობაშია, წინა ხიდის ამძრავი მექანიზმი ჩაშლილია და საჭიროებს შეკეთებას, საწვავი გადააქვს ძრავში და ფილტრში, განათების სისტემა დაზიანებული აქვს, საჭიროებს მიმდინარე რემონტს.
ლოტი	7	ტრაქტორი, ბელარუს-512	5709254	687535	1	14 300.00	„სტარტერი" აქვს დაზიანებული, აკუმლიატორი მწყობრიდანაა გამოსული, ჰიდრავლიკის სისტემა საჭიროებს შეკეთებას, წინა ხიდს ამძრავი მექანიზმი დაზიანებულია, საწვავის გადასატუმბი ნასოსი საჭიროებს შეკეთებას.
ლოტი	8	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709230	687739	1	14 500.00	ზეთი ჟონავს ძრავიდან, მკლავების ამწე მექანიზმი დაზიანებულია, საჭიროებს სხვა მცირეოდენ შეკეთებას.
ლოტი	9	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709241	687745	1	13 100.00	გიდრავლიკა ცუდად მუშაობს, მატორიდან გასდის ზეთი, წინა ხიდს ამძრავი მექანიზმი დაზიანებულია, ძარა გაბზარულია.
ლოტი	10	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709228	687729	1	13 400.00	ღვედები დაზიანებულია, სავარძელი გატეხილია, განათების სისტემა დაზიანებულია, საჭიროებს სხვა მცირეოდენ შეკეთებას.
ლოტი	11	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709246	687743	1	14 400.00	ვიზუალურად ტრაქტორი კარგ მდგომარეობაშია, ძრავის „ბალოვკა" არის დაზიანებული, გატეხილი, მაგრამ აღდგენილია წებოთი
ლოტი	12	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709245	694229	1	14 900.00	საჭიროებს უმნიშვნელო სარემონტო სამუშაოებს, ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაშია და არ გააჩნია მნიშვნელოვანი დაზიანება.
ლოტი	13	ტრაქტორი, ბელარუს-512	O5709331	687740	1	24 763.00	ახალი
ლოტი	14	4 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X4	E06.06.E05		1	3 031.00	გუთანი იყო ოთხფრთიანი, მაგრამ გადაკეთდა სამფრთიანად, კარკასზე არის შედუღებული.
ლოტი	15	4 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X4	E06.06.E12		1	3 031.00	გუთანი კარგ მდგომარეობაშია, არის ნაცვეთი დანები, ერთი ფრთა არ აქვს, კარკასს არ აქვს დაზიანებები.
ლოტი	16	4 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X4	E06.06.E13		1	3 500.00	გუთანის კარკასი და კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, შესაცვლელი არის დანები
ლოტი	17	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F09		1	2 965.00	ახალი
ლოტი	18	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F12		1	1 800.00	გუთანის კარკასი და კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, შესაცვლელი არის დანები
ლოტი	19	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F02		1	1 800.00	გუთანის კარკასი და კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, შესაცვლელი არის დანები
ლოტი	20	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F04		1	1 900.00	გუთანის კარკასი და კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, შესაცვლელი არის დანები
ლოტი	21	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F05		1	1 500.00	გუთანი გადაკეთებულია 4 ფრთიანად, ფრთები და სახნავები გაცვეთილია და არის შედუღებული , ნაცვეთი არის დანები, კარკასს არ აქვს დაზიანებები.
ლოტი	22	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F19		1	1 482.50	გუთანი დაზიანებულია, არ აქვს კორპუსები და დანები
ლოტი	23	2 ფრთიანი გუთანი, მოდელი - BP16-16''X2	E06.06.F17		1	2 100.00	გუთანის კარკასი და კორპუსები კარგ მდგომარეობაშია, შესაცვლელი არის დანები
ლოტი	24	დისკებიანი ფარცხი, მოდელი – EPL28A	E06.06.G08		1	3 000.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	25	დისკებიანი ფარცხი, მოდელი – PL14A	E06.06.H07		1	1 800.00	კარგ მდგომარეობაში
ლოტი	26	დისკებიანი ფარცხი, მოდელი – EPL14A	E06.06.H08		1	2 000.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები
ლოტი	27	დისკებიანი ფარცხი, მოდელი – EPL14A	E06.06.H05		1	1 800.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	28	როტარული ფრეზი, მოდელი – URT222H	E06.06.C07		1	1 886.50	კბილანები და ამძრავი ჯაჭვი არ აქვს, ვერ მუშაობს გამართულად, საჭიროებს შეკეთებას.
ლოტი	29	როტარული ფრეზი, მოდელი – URT222H	E06.06.C06		1	2 200.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	30	როტარული ფრეზი, მოდელი – URT222H	E06.06.C10		1	2 000.00	არ აქვს შემაერტებელი კარდანი, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	31	როტარული ფრეზი, მოდელი – URT132	E06.06.D06		1	1 500.00	კარგ მდგომარეობაში
ლოტი	32	როტარული ფრეზი, მოდელი – URT132	E06.06.D08		1	1 308.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	33	ლაფეტი, მოდელი - AT50P/GEM	E06.06.A03		1	2 381.50	აქვს შედუღებები კარკასზე და საჭიროებს გამაგრებებს.

ლოტი	34	ლაფეტი, მოდელი - AT50P/GEM	E06.06.A05		1	2 381.50	კარგ მდგომარეობაში არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	35	ლაფეტი, მოდელი - AT20B	E06.06.B01		1	2 616.00	კარგ მდგომარეობაში
ლოტი	36	ლაფეტი, მოდელი - AT20B	E06.06.B06		1	1 308.00	აქვს შედუღებები კარკასზე და საჭიროებს გამაგრებებს.
ლოტი	37	ლაფეტი, მოდელი - AT20B	E06.06.B04		1	1 308.00	კარგ მდგომარეობაში, არ აქვს მნიშვნელოვანი დაზიანებები.
ლოტი	38	ლაფეტი, მოდელი - AT20B	E06.06.B05		1	1 308.00	ტრაქტორთან მისამბელი აქვს შედუღებული, აქვს შედუღებები კარკასზე და საჭიროებს გამაგრებებს.

საკონკურსო პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველების განაცხადების მიღება დაიწყება 2009 წლის 30 ნოემბერს და დამთავრდება 2009 წლის 11 დეკემბერს. საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10:00-დან 16:00 საათამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მისამართზე: ქ.თბილისი, მარშალ ალექსანდრე გელოვანის გამზირი №6, საკონტაქტო ტელ: 37-80-15

3. კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 11 დეკემბერს 16:30 საათზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკონფერეციო დარბაზში.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში დაინტერესებულმა პირმა დალუქული კონვერტით (შესაბამისი აღნიშვნით) უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, სადაც სავალდებულოა მითითებული იყოს ლოტი, მაძიებლის თანხმობა საკონკურსო პირობების შესრულებაზე და „ბე"-ს ოდენობა ლოტის ღირებულების არანაკლებ 20%-ისა;ბ) ბიზნეს გეგმა;გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;დ) ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება კონკურსში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;ე) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს კონკურსში მონაწილე პირის გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;ვ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ კონკურსში მონაწილე პირის ხელმძღვანელის ან ხელმძღვანელობის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ძებნაში არ იმყოფებიან;ზ) ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ;თ) ნოტარულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;ი) პირადობის დამადასტურებელი მონაცემები (ასლი) (ფიზიკური პირის შემთხვევაში)

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია

1. კონკურსის ჩატარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს „ბე"-ს ჩარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში: №200122900;
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: 220101222;
სახაზინო კოდი: 302004400
დამატებითი ინფორმაცია: საქართველოში სასურსათო წარმოების ზრდის იაპონიის გრანტის პროგრამა 2KR-VII;

2. „ბე"-ს ჩარიცხვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში გააფორმოს ხელშეკრულება და უზრუნველყოს მისი ნოტარული დამოწმება;
3. დაიცვას ტექნიკის მოვლა-შენახვის საექსპლუატაციო წესები;
4. უზრუნველყოს ლოტის ღირებულების სრული დაფარვა არაუგვიანეს 2011 წლის 11 მარტისა.

საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმებია

ა) ლოტის ღირებულების სრული დაფარვა;
ბ) „ბე"-ს ოდენობა ლოტის ღირებულების 20%-ზე ზევით.

სსიპ რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად

1) ზოგადი რადიობიოლოგიის ლაბორატორია:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
გ) მეცნიერ თანამშრომელი - 4 საშტატო ერთეული

2) რადიაციული ნეირობიოლოგიის ლაბორატორია:
ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
გ) მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

3) რადიაციული ეკოლოგიის ლაბორატორია:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული

4) ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია:
ა) უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული
ბ) მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს: ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (**CV**); გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი; დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 3 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი; ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამენიერო პოტენციალს/კვლევის უნარს; ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა; ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია); თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალი (სასურველია).

საკონკურსო საბუთების ჩაბარება იწარმოებს სსიპ რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრში, მისამართი: ქ. თბილისი, თელავის ქ.51, 1 სართული, ოთახი 15. ვებ-გვერდი: **www.Radiobiology.org.ge.**

პასუხისმგებელი პირი - თეა მუსელიანი. **e-mail: tea.piko@gmail.com**; ტელ: **772137**; საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1 თვე.

საქმე N2/629-07

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

18 ნოემბერი 2009 წელი თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

მოსარჩელე: სერგო ჯაბაური
მოპასუხე: ზურაბ შანიძე
დავის საგანი: საცხოვრებელი სადომის საბაზრო ღირებულების 10%-ის გადახდის სანაცვლოდ უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართორს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სერგო ჯაბაურის სარჩელი. სერგო ჯაბაურს დაეკისრა მოპასუხე ზურაბ შანიძის სასარგებლოდ სადგომის ღირებულების 10%-ის - 217 ლარის გადახდა. სერგო ჯაბაურის მიერ ზურაბ შანიძის სასარგებლოდ 217 ლარის გადახდის შემდეგ ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა და მასზე განვთავსებულ საცხოვრებელი სადგომის 31 კვ.მ ფართზე აღირიცხა სერგო ჯაბაურის საკუთრების უფლება.

2009 წლის 20 აგვისტოს განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში შევიდა შესწორება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "სერგო ჯაბაურის მიერ ზურაბ შანიძის სასარგებლოდ 217 ლარის გადახდის შემდეგ ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში მდებარე 31 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღირიცხოს სერგო ჯაბაურის საკუთრების უფლება".

სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან მოპასუხე ზურაბ შანიძის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია და მისთვის უსწორობის გასწორების შესახებ 2009 წლის 20 აგვისტოს განჩინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულის თაობაზე მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით. მითითებული მუხლის დანაწესით, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. გაზეთი "24 საათი" კი მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 201-ე, 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ეცნობოს მოპასუხე ზურაბ შანიძეს, რომ 2009 წლის 20 აგვისტოს განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტში შევიდ შესწორება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: "სერგო ჯაბაურის მიერ ზურაბ შანიძის სასარგებლოდ 217 ლარის გადახდის შემდეგ ქ. თბილისში, ქარელის ქ. №25-ში მდებარე 31 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აღირიცხოს სერგო ჯაბაურის საკუთრების უფლება";
2. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ "24 საათში";
3. განჩინების გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში" საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;
4. მოპასუხეს - ზურაბ შანიძეს განემარტოს, რომ უსწორობის გასწორების შესახებ განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასაამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით განჩინების ასლის ჩაბარებიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში.
5. მოპასუხეს - ზურაბ შანიძეს განემარტოს, რომ უსწორობის გასწორების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 აგვისტოს განჩინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება განჩინების საჯარო შეტყობინებით გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

მოსამართლე: ე. ცისკარიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

ექსპერტები საგნის სწავლების მეთოდიკის გზამკვლევზე სამუშაოდ

შესავალი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტს (შემდგომში - პროექტი), რომლის მიზანია დაწყებითი საბაზო და საშუალო განათლების რეფორმის განხორციელება, სწავლებისა და სწავლის პროცესის ახლებურად წარმართვა და თითეული სკოლისთვის ახალი სტანდარტების დასახვა. პროექტის დაფინანსება ხდება სახელწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით (კრედიტის ნომერი 4246 GE) და იაპონიის მთავრობის მიერ ტექნიკური დახმარების პროგრამის ეგიდით გამოყოფილი გრანტით (PHRD GrantNo.TF057515).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის ფარგლებში დააფუძნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: ა) მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესის წარმართვა; ბ) მასწავლებლის სტანდარტის შემუშავება და მასწავლებელთათვის შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდება; გ) აკრედიტაციის მექანიზმების შემუშავება მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის; დ) მასწავლებელთათვის, მასწავლებლობის კანდიდატებისა და ტრეინინგ-პროგრამებისათვის რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

მიზანი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი (შემდგომში - სტანდარტი) წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს, რომელშიც თავმოყრილია ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და საგნის სწავლების მეთოდიკა, რომელსაც უნდა ფლობდეს მაღალკვალიფიციური მასწავლებელი. სტანდარტის მიხედვით მზადდება სასერტიფიკაციო ტესტები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების პროგრამული აკრედიტაცია.

სტანდარტი დამტკიცდა 2008 წელს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი იწყებს მუშაობას საგნის სწავლების მეთოდიკის გზამკვლევზე (შემდგომში - გზამკვლევი). გზამკვლევმა მასწავლებელს უნდა მისცეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვის საშუალება.

გზამკვლევმა უნდა ასახოს ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველების, მუსიკის, ხელოვნების, უცხო ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლების მეთოდიკა დაწყებით და საბაზო/საშუალო საფეხურზე; აგრეთვე, ის მსგავსება და განსხვავება, რაც დაწყებითი და საბაზო/საშუალო საფეხურის სხვადასხვა კლასში სწავლებას ახლავს თან. გზამკვლევში მოცემული უნდა იყოს სასწავლო აქტივობები და სტრატეგიები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება სწავლების კონკრეტულ საფეხურზე. მომზადებული გზამკვლევი შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს არსებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

გზამკვლევზე სამუშაოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს ესაჭიროება შემდეგი სპეციალობის ექსპერტები:

- 1 ექსპერტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
- 1 ექსპერტი მათემატიკაში;
- 3 ექსპერტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება);
- 3 ექსპერტი საზოგადოებრივ მეცნიერებებში (გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება);
- 2 ექსპერტი უცხო ენებში (ინგლისურსა და გერმანულში);
- 1 ექსპერტი ხელოვნებაში;
- 1 ექსპერტი მუსიკაში;
- 1 ექსპერტი ფიზკულტურაში.

სამუშაოს აღწერა

ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტები შეისწავლიან: დაწყებით და საბაზო/საშუალო საფეხურზე საგნის სწავლების მეთოდიკაში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას, საქართველოში დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის მასწავლებლის სტანდარტის არსებულ ვერსიას, 2009-2010 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში განხორციელებულ ცვლილებებს, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული წინასწარი ტესტირების შედეგებს.

ექსპერტები შეიმუშავებენ და სტანდარტზე პასუხისმგებელ საკონსულტაციო საბჭოს წარუდგენენ გზამკვლევის სამუშაო ვერსიას, რომელმაც უნდა ასახოს საგნის სწავლების მეთოდიკა დაწყებით და საბაზო/საშუალო საფეხურზე თითოეულ საგანში.

საკონსულტაციო საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რჩევების საფუძველზე ექსპერტები შეიტანენ ცვლილებებს გზამკვლევის სამუშაო ვერსიაში. სტანდარტების კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფენ გზამკვლევის სამუშაო ვერსიის განხილვას მოქმედ მასწავლებლებთან (მინიმუმ 2 სამუშაო შეხვედრა თითოეული საგნისთვის). თითოეული მიმართულების ექსპერტი ვალდებულია საკონსულტაციო საბჭოსთან და მასწავლებლებთან გზამკვლევის განხილვის შესახებ ანგარიშების მომზადებაზე.

ექსპერტები საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებითა და სამუშაო შეხვედრებზე გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით შეიმუშავებენ გზამკვლევის საბოლოო ვერსიას და წარუდგენენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- შესაბამისი უმაღლესი განათლება (დაწყებითი ან საბაზო-საშუალო საფეხურის შესაბამისი საგნის სპეციალისტი);
- განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;
- ეროვნული სასწავლო გეგმის ცოდნა;
- მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ცოდნა;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების ცოდნა;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარი: MS Office, e-mail;
- უცხო ენის (ინგლისური ან გერმანული, ან ფრანგული ან რუსული) ცოდნა;
- სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის და/ან დაწყებითი საფეხურის აკრედიტებული საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამის ავტორობის გამოცდილება.

ანგარიშგება

ექსპერტები ანგარიშვალდებულნი იქნებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორთან.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა

თითოეული ექსპერტისათვის ხელშეკრულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 თვით.

ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები შემდეგ მისამართზე:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი
0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52, ოთახი 123
ტელეფონი: 95-58-36
ელ-ფოსტა: tbakradze@tpdc.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **თამუნა ბაქრაძე**

განაცხადის ფორმა განთავსებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინტერნეტ გვერდზე:
www.tpdc.ge
ვაკანსიები და განცხადებები

განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2009 წლის 27 ნოემბერი.

შ.პ.ს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" აცხადებს ფასთა გამოკითხვას

გაზგასამართი სადგურის სახურავის დაზიანებული ფრაგმენტების შეკეთებისა და წყალმდეგი საღებავით გადაღებვის თაობაზე, სახურავის ფართი 80 მ/კვადრატი. სადგურის მისამართია აღმაშენებლის მე-11 კილომეტრი.

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 ნოემბერი.

დამატებითი ინფორმაციისთვის და საჭირო დოკუმენტაციისთვის დაგვიკავშირდით: საკონტაქტო პირი - თამაზ ყვავილაშვილი 895 - 33 44 95

სს "კახეთის ენერგოდისტრიბუცია" აცხადებს კონკურსს:

კახეთის რეგიონში მდებარე 10/0.4 კვ-იანი სატრანსფორმატორო ქვესადგურების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებაზე. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ ყველა კომპანიას საკონკურსო მოთხოვნების მისაღებად შეუძლია 2009 წლის 24 ნოემბრამდე მიმართოს პროექტების ხელმძღვანელს აუდრიუს ბიკმანასს

ტელ: 895 32 40 90
ელექტრონული
ფოსტა: bikmanas@hotmail.com

განცხადება

შპს „საქართელოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" სატენდერო (ტენდერი #T-1009 G-031) განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2009 წლის 10 ნოემბერს გაზეთ „24 საათში" გამოქვეყნებულ განცხადებაში მოცემული ცხრილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	საქონლის დასახელება	ტიპი	განზ. ერთეული	რაოდენობა
1	სპილენძის ეკრანირებული საკონტორლო კაბელი პოლივინილქლორიდის იზოლაციით	4X4 მმ^2	მეტრი	6 500
2		4X6 მმ^2	მეტრი	26 500
3		24X2.5 მმ^2 ან 27X2.5 მმ^2	მეტრი	9 000
4		19X2.5 მმ^2	მეტრი	18 500
5		14X2.5 მმ^2	მეტრი	24 800
6	სპილენძის ეკრანირებული ძალოვანი კაბელი პოლივინილქლორიდის იზოლაციით	4X25 მმ^2	მეტრი	4 000
7	0,4 კვ სპილენძის მოქნილი ძალოვანი ელ.კაბელი პოლივინილქლორიდის იზოლაციით	ВВГ ტიპის ან ანალოგიური 3X150+1X70მმ^2	მეტრი	300

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. №2.
საკონტაქტო პირი: შესყიდვების მენეჯერის მოადგილე
გივი სულავა. ტელ: 201700 (11-20); მობ. 877 715194